# არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1 (44). 11 – 24 იანვარი. 2008. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი



## რუსეთი ქართული არმიის ბოსნიურ „ქარიშხალს" უფრთხის

1425
2008

## ნაპოლეონის „მეათე ლეგიონი"

## სპეცსამსახურები კიბერსივრცეში

## თურქული „კობრა" ჩვენს სამსახურში

## გერმანული MP7

## ბიოლოგიური საფრთხეები და ბიოუსაფრთხოება

„არსენალი" თვეში ორჯერ გამოდის

ეროვნული ბიბლიოთეკა




არმიამ უმაღლესი მთავარსარდალი აირჩია

6





რატომ უფრთხის მოსკოვი ქართულ არმიაში ბოსნიური „ქარიშხლის“ გამოჩენას

10





სუსტ სქესს კამუფლაჟი უხდება...

14

ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში

(გაგრძელება)

30







ნაპოლეონის „მეათე ლეგიონი“

35





თავდაცვის პერსონალური იარაღი გერმანული MP7

53

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 უცხოური ამბები

**მოსაზრება**

6 არმიამ უმაღლესი მთავარსარდალი აირჩია

8 გზა საბრძოლო ქვედანაყოფიდან დიპლომატიურ კარიერამდე

10 „რატომ უფრთხის მოსკოვი ქართულ არმიაში ბოსნიური „ქარიშხლის" გამოჩენას

**ქალები ჯარში**

14 სუსტ სქესს კამუფლაჟი უხდება...

**სპეცსამსახურები**

17 სომხეთის სპეცსამსახურები

**ვირტუალური სამყარო**

20 სპეცსამსახურები კიბერსივრცეში

**საქართველოს ისტორია**

22 გარნისის ბრძოლა

**იარაღი**

26 თურქული „კობრა" დასაზვერავად და ტანკების ასაფეთქებლადაც...

**ომების მსოფლიო ისტორია**

30 ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში

**ლეგენდა**

35 ნაპოლეონის „მეათე ლეგიონი"

**საფრთხე**

39 ბიოლოგიური საფრთხეები და ბიოუსაფრთხოება

**პროფესიონალები**

42 ცივი გონებით, დაუნდობლად

**სპეცრაზმის იარაღი**

45 მსხვილი კალიბრის ნიუანსები

**კროსვორდი**

47 არსენალვორდი

**ფლოტი**

48 უკრაინა მშენებლობას გეგმავს

50 ცივი ომის გამოძახილი: მზვერავი ხომალდები

**არსენალის იარაღის მაღაზია**

53 თავდაცვის პერსონალური იარაღი - PDW გერმანული MP7


## რედაქტორის სვეტი

„არსენალი" გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ წარმატებებს.

ახალ 2008 წელს ახალი პრეზიდენტით, — შეიარაღებული ძალების ახალი უმაღლესი მთავარსარდლით ვიწყებთ. ახალ მთავარსარდალს არმიის შეიარაღების განახლებაც ფეხდაფეხ მოსდევს, — არმიის სპეცდანიშნულების დანაყოფების შეიარაღებაში პირველად გამოჩნდა ამერიკული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი M4 — ლეგენდარული ამერიკული შაშხანა M-16-ის შვილობილი. ქართულ ტანკებში, T-72-ებში, დამიზნების თანამედროვე ოპტიკურ-ელექტრონული აპარატურა მონტაჟდება, შსს-მ საახალწლოდ თურქული მობილური ჯავშანმანქანები „კობრები" შეიძინა...

ნელ-ნელა ქართული არმია დასავლურ შეიარაღებაზე გადადის. არმიის გაძლიერება შეუჩერებელ პროცესად უნდა იქცეს, რადგან გამოწვევები საქართველოს, ალბათ, არც ამ წელს მოაკლდება...

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკელები უპილოტო თვითმფრინავების მართვას სწავლობენ



აშშ-ის არმია სულ უფრო ხშირად იყენებს უპილოტო სამხედრო თვითმფრინავებს, რომელთაც შეუძლიათ უთვალთვალონ და ზოგ შემთხვევაში, გაანადგურონ ტერორისტები. PREDATOR-ის, SHADOW-სა და RAVEN-ის ტიპის უპილოტო აპარატებს აქტივში 500000 საფრენი საათი აქვთ, 2007 წლის ოქტომბრიდან კი მათი გამოყენების სიხშირე სადაზვერვო და საბრძოლო ოპერაციებში თითქმის გაორმაგდა. ამიტომაც გაიზარდა მოთხოვნილება ასეთი თვითმფრინავების ოპერატორებზეც, რომელთაც „დრონების" სამართავად ამზადებენ. ბოლო დროს დაახლოებით 120 სამხედრო მფრინავი მომზადდა. უპილოტო თვითმფრინავების გამოყენების ძირითადი რეგიონია ერაყი. მიუხედავად ამერიკული კონტინგენტის თანდათან შემცირებისა, „დრონების" გამოყენების სიხშირე ამ რეგიონში საეჭვოა, შემცირდეს. მხოლოდ ერაყში აშშ-ის არმიას 361 უპილოტო აპარატი აქვს, რომლებმაც 2007 წლის ათ თვეში დაახლოებით 300000 საათი იფრინეს. PREDATORI-ის ტიპის თვითმფრინავების ყოველთვიური გაფრენები ავღანეთში 3000-დან 3500 საათს შეადგენს. უახლოეს 25 წელიწადში უპილოტო აპარატების გამოყენების სიხშირე უფრო გაიზრდება. თუმც საჭიროა მათი სრულყოფისათვის ინტენსიური მუშაობაც, კერძოდ, დამიზნების სიზუსტესა და რეკოგნოსცირებისა და თვალთვალის შესაძლებლობების გაზრდაზე.

# ესპანეთი ახალ ჯავშანტექნიკას შეიძენს და ევროკავშირის საბრძოლო ჯგუფს უმეთაურებს



ესპანეთს განზრახული აქვს შეიძინოს 575 ჯავშანტრანსპორტიორი, რომლებიც აღჭურვილი იქნება ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებისგან დამცავი სისტემით. ავღანეთსა და ლიბანში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად საჭირო ამ მანქანებში ესპანეთი 321 მილიონ ევროს გადაიხდის. ლაპარაკია ხუთადგილიან ჯავშანავტომობილზე, რომელიც აღჭურვილია 190 ცხ.ძ-ის მქონე ძრავათი და ნაღმებისგან დამცავი სისტემით. უფრო მძიმე ჯავშანტრანსპორტიორების შეძენა ჯერ არ გადაწყვეტილა. უახლოეს სამ თვეში ქვეყნის ხელისუფალნი გადაწყვეტენ, იყიდონ თუ არა „COUGAR"-ის ტიპის მანქანები ამერიკული ფირმა FORCE PROTECTION-ისგან თუ არჩევანი შეაჩერონ ისრაელის ფირმა Rafael-ის წარმოებულ „გოლან"-ზე. ესპანეთი ახალ ჯავშანტრანსპორტიორებით უკვე მოძველებულ BMR-ის, VAMTAC-ისა და ARENAL-ის ტიპის ჯავშანტრანსპორტიორებს შეცვლის, რომელიც ქვეყნის სახმელეთო ჯარების შეიარაღებაშია.

ესპანეთმა ევროკავშირის დამრტყმელ საბრძოლო ჯგუფს (BATTLE GROUP) თავისი სამხედრო მოსამსახურეები შესთავაზა და 1-ელი იანვრიდან (6 თვით) თავად ჩაუდგა მას სათავეში. დამრტყმელი ჯგუფის შექმნის იდეა, რომელსაც სამშვიდობო და სხვა მიზნებისათვის გამოიყენებენ, 2005 წელს დაიბადა. ჯგუფის ბირთვს, რომელიც ესპანეთის სარაგოსაში ბაზირებს და მისი მოქმედების რადიუსი (ბრიუსელიდან) 6000 კილომეტრს შეადგენს, მოტომსროლელი ბრიგადა „CASTILLEJOS II" და ბრიგადა „ARAGON 1"-ის სამთო მსროლელები შეადგენენ, სულ 2000 კაცის შემადგენლობით. დამრტყმელი საბრძოლო ჯგუფის საერთო რაოდენობა 2603 კაცს ითვლის და მას ბრიგადის გენერალი ხუან კარლოს მედინა ფერნანდესი მეთაურობს. გარდა ესპანელებისა, ჯგუფში არიან გერმანელი, ფრანგი და პორტუგალიელი სამხედრო მოსამსახურეები.



# აზერბაიჯანელი სამშვიდობოები ავღანეთში

აზერბაიჯანმა 4 იანვარს ავღანეთში მიავლინა სამშვიდობო ძალების დამატებითი ოცეული, რომელიც 23 კაცისგან შედგება. ოფიციალურმა ბაქომ ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 2007 წელს მიიღო და ეს ქვეყნის პარლამენტმაც მოიწონა. აზერბაიჯანის სამხედრო კონტინგენტი ავღანეთის, ერაყისა და კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობს. მისი უმრავლესობა (150 კაცი) ერაყში ასრულებს სამშვიდობო მისიას.

# დაძაბულობა სპარსეთის ყურეში



აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების ორი გამანადგურებელი F-18 გეგმური ფრენისას სპარსეთის ყურის რაიონში ჩამოვარდა. გამანადგურებლები მიწერილი იყო ავიამზიდ „ჰარი ტრუმენზე“. აშშ-ის თავდაცვის უწყებამ დააზუსტა, რომ ერთ-ერთი F-18-ის ბორტზე ორი კაცი იმყოფებოდა, მეორეზე კი ერთი. ორივე თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრებმა კატაპულტირება მოასწრეს, – ისინი არ დაშავებულან. პენტაგონის წარმომადგენლის განცხადებით, „გამანადგურებლების ჩამოვარდნასა და ირანის და აშშ-ის ხომალდებს შორის მომხდარ ინციდენტს ერთმანეთთან კავშირი არ აქვს“. შეგახსენებთ, რომ 7 იანვარს აშშ-ის ხელისუფლებამ გააკეთა განცხადება ირანისგან მოწყობილი პროვოკაციის თაობაზე. კერძოდ, 5-6 იანვრის ღამეს ირანის ხომალდები ძალზე მიუახლოვდნენ აშშ-ის სამ ხომალდს – „პორტ როიალს“ „ჰოპერსა“ და „ინგრემს“ და გადასცეს რამდენიმე რადიოშეტყობინება თავდასხმაზე. აშშ-ის წარმომადგენლები მზად იყვნენ გაეხსნათ ცეცხლი, მაგრამ ირანის ხომალდები უკან გაბრუნდნენ. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მოჰამად ალი ჰოსეინმა ორმუზის ყურეში მომხდარ ინციდენტს „ჩვეულებრივი შემთხვევა“ უწოდა. მისი თქმით, ასეთი სიტუაციები დროდადრო წარმოიქმნება და ინციდენტიც მაშინვე ამოიწურება ხოლმე, „როცა მხარეები ერთმანეთს ამოიცნობენ“. თეთრმა სახლმა გააფრთხილა ირანის ხელისუფლება, მომავალში თავი შეიკავონ ამგვარი სიტუაციის განმეორებისაგან, რათა არ გამწვავდეს ისედაც დაძაბული სიტუაცია რეგიონში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტია დაგეგმილი.



**ყურადღება! „არსენალი“ თვეში ორჯერ გამოდის!**



26028

# ლატვიაში შორი აღმოჩენის ამერიკული რადარები დაიდგმება

ლატვიის შეიარაღებული ძალები რადიოლოკაციური სადგურის პარკს შეავსებენ. საჰაერო სივრცეში შორ მანძილზე თვალთვალის ოთხი რადიოლოკატორი AN/TPS-77-ის მიწოდებაზე კონტრაქტი გაფორმდა კორპორაცია lockheed martin-თან, რომელმაც ადრე უკვე მიაწოდა ლატვიას ამ ტიპის ერთი რადარი. AN/TPS-77 რადიოლოკაციური სადგური საჰაერო სამიზნეს 400 კილომეტრის მანძილზე აღმოაჩენს. მას NATO-ს წევრი ბევრი ქვეყნის შეიარაღებული ძალები იყენებენ, მათ შორის გერმანია, დანია, იტალია, ბელგია, რუმინეთი და ხორვატია.

# საფრანგეთი ატომურ წყალქვეშა ნავს ააგებს



საფრანგეთში დაიწყო ახალი თაობის ატომური წყალქვეშა ნავის მშენებლობა. BARRACUDA-ს ტიპის ნავის კორპუსის ძირს ფოლადის პირველი ფურცელი 2007 წლის დეკემბრის ბოლოს, შერბურში მიაკრეს. ახალ სუბმარინას „სიუფრენი“ დაარქვეს, მე-18 საუკუნის ცნობილი ფლოტის სარდლის პატივსაცემად. ახალი სერიის წყალქვეშა ნავის მშენებლობა 2016 წელს დასრულდება. მისი წყალწყვა 4750 ტონას შეადგენს, სრული სვლით სიჩქარე – 25-28 კვანძს, შეიარაღებაში ექნება ოთხი სატორპედო აპარატი. „ბარაკუდას“ წინამორბედი თაობების სუბმარინებისგან განსხვავებით „სიუფრენს“ უფრო მეტი უხილავობის ხარისხი ექნება. უახლოესი 15 წლის განმავლობაში საფრანგეთს განზრახული აქვს „ბარაკუდას“ ტიპის კიდევ 6 წყალქვეშა ნავის აგება, რომლებითაც ქვეყნის ფლოტში არსებულ RUBIS-ის ტიპის ატომურ წყალქვეშა ნავებს შეცვლის.

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა



# არმიამ უმაღლესი მთავარსარდალი აირჩია

## შეიარაღებული ძალების გამოყენება პოლიტიკურ დაპირისპირებაში დაუშვებელი და საშიშიცაა

5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ცესკოს მიერ დამტკიცებული საბოლოო მონაცემები ამ სტატიის დაწერისას არ იყო ცნობილი. 6-7 იანვარს ცხადი გახდა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი არჩევნებში იმარჯვებდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებისა და ბაზების ტერიტორიებზე 43 საარჩევნო უბანი იყო გახსნილი. მათგან სამი საზღვარგარეთ – ორი ერაყში და ერთი კოსოვოში (ამ დროისათვის საზღვარგარეთ სამშვიდობო მისიებით სულ 2280 სამხედრო მოსამსახურე იმყოფება).

საარჩევნო კანონის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ნაწილებში გახსნილი 40 საარჩევნო უბნიდან დალუქული ყუთები საარჩევნო ოლქებში გაიზიდა, სადაც სხვა უბნებიდან მოტანილ ყუთებთან ერთად დაითვალეს საარჩევნო კონვერტები.

ასე რომ, წესით, შეუძლებელი იყო იმის დადგენა, კონკრეტულად რომელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო ნაწილიდან რომელ კანდიდატს რამდენი ხმა ერგო (ერაყიდან და კოსოვოდან ჩამოტანილი კონვერტები ცესკოში დაითვალეს). მიუხედავად ამისა, თითქმის ეჭვს არ იწვევს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის უდიდესმა ნაწილმა ხმა სწორედ პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილს მისცა.

შეიარაღებული ძალების სრული რიცხოვნობა (თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო თანამშრომლებთან ერთად) დაახლოებით 30 ათასს აღწევს. ეს საერთო ამომრჩეველთა რაოდენობის ერთი პროცენტიც არ იყო და თითქოს არჩევნების შედეგზე დიდი ზეგავლენა არ უნდა მოეხდინა, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ამ 30 ათასი კაცისა და ქალის უკან მათი ოჯახები და ახლობლები დგანან, რომლებიც კარგად ხედავენ, რომ სამხედრო სამსახურში მყოფ მათ შვილებს თუ მამებს სამხედრო სამსახურისათვის კარგი პირობები აქვთ შექმნილი, კარგად იკვებებიან და ხელფასის ყოველთვიური თუ არა წელიწადში ორჯერ მაინც ზრდის რეალური პერსპექტივა აქვთ. ახალგაზრდა ოფიცრებისთვის კეთილმოწყობილი სამხედრო ქალაქები შენდება თბილისსა და სხვა ქალაქებში...

ჯარში დღეს მოსამსახურეთა უდიდესი ნაწილი კონტრაქტით მსახურობს, სამხედრო სამსახურში ისინი იძულებით არავის წაუყვანია. ეტყობა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ არაერთხელ დაფიქრდნენ, ვისთვის მიეცათ ხმა და ჩანს, არც გადაწყვეტილების მიღება გაუჭირდათ, მეთაურობისგან ზეწოლის გარეშე, — ისინი საკონტრაქტო სამსახურში სწორედ სააკაშვილს პრეზიდენტობის დროს შეგნებულად მოვიდნენ და სურთ მისი პრეზიდენტობის პერიოდი კვლავ გაგრძელდეს!

ამასთან, პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილს კონკურენტებთან შედარებით უფრო დახვეწილი წინასაარჩევნო პროგრამა ჰქონდა, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებას ისახავდა მიზნად.

ამის ფონზე რამდენიმე ოპოზიციონერი კანდიდატი მისი გამარჯვების შემთხვევაში არმიის შემცირებას ან საერთოდ დაშლას(?!) ქადაგებდა და, რა თქმა უნდა, ისინი სამხედროების ხმას ვერ მიიღებდნენ.

ოპოზიციონერმა კანდიდატებმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს, როდესაც ცესკოსგან ითხოვდნენ, არ გამართულიყო არჩევნები ერაყსა და კოსოვოში მყოფი ქართველი სამხედროებისთვის. ამან საზღვარგარეთ მყოფ ჩვენს ჯარისკაცებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მათ კონსტიტუციით მინიჭებულ საარჩევნო უფლებას ართმევდნენ. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, არ იყო მოსალოდნელი, რომ ერაყიდან და კოსოვოდან ჩამოსული ორი ათასზე მეტი ხმიდან ოპოზიციონერები კანდიდატები მნიშვნელოვანი რაოდენობის ხმებს მიიღებდნენ.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა თავისი მომავალი უმაღლესი მთავარსარდალი აირჩია, — სავარაუდოდ, ის მიხეილ სააკაშვილი იქნება. რა თქმა უნდა, იგი გააგრძელებს ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაძლიერებას. მთავარია, მან აღარ გაიმეოროს ის შეცდომები, რაც პირველ საპრეზიდენტო პერიოდში დაუშვა.



კერძოდ, მიხეილ სააკაშვილმა როგორც საპრეზიდენტო კანდიდატმა, ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის დროს, პირდაპირ ეთერში, მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ აღიარა, რომ მისი, როგორც პრეზიდენტის, ყველაზე დიდი შეცდომა... ირაკლი ოქრუაშვილი იყო!

სააკაშვილის შეცდომა მარტო ის კი არ იყო, რომ ყოფილ უახლოეს მეგობარს ყველაფერში ენდობოდა და ნაცვლად საშინელი ბრალდებები მიიღო, არამედ ის, რომ მან მაშინდელ თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილს მთლიანად მიანდო თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების მართვა და როგორც უმაღლესი მთავარსარდალი არ ამოწმებდა უახლოესი მეგობრის ნამუშევარს და არც სხვების კრიტიკულ ინფორმაციას ითვალისწინებდა.

თავდაცვის მინისტრი, რომელიც პრეზიდენტის, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის უკითხავად თავის პოლიტიკას ატარებს და რადიკალურ განცხადებებს აკეთებს, საშიშია როგორც არმიისთვის, ისე ქვეყნისთვის.

ამჟამინდელ თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილს „არსენალთან" ინტერვიუში ნათქვამი აქვს, — „ჯარში უნდა იყოს დისციპლინა და არა პოლიტიკა!"

ეს აბსოლუტურად სწორია, რადგან არმიის პოლიტიკაში ჩარევა არა მარტო დაუშვებელი, არამედ საშიშიცაა!

**ირაკლი ალადაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა საბრძოლო ქვედანაყოფიდან დიპლომატიურ კარიერამდე



თავდაცვის სამინისტროს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ავსტრიასა და შვეიცარიის კონფედერაციაში ახალი თავდაცვის ატაშე ჰყავს. მაიორი გიგა ბაბუნაშვილი იმ წარმატებულ ოფიცერთა სიას ეკუთვნის, ვინც სამხედრო კარიერა 12 წლის წინ, საკმაოდ რთულ პერიოდში დაიწყო.

მშობლების გადაწყვეტილებას, რომ შვილის დალვინებას სამხედრო დისციპლინა სჭირდებოდა, მისი სურვილიც დაემატა და 1995 წელს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ჩაბარა. კურსანტმა ბაბუნაშვილმა სწავლა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბუნდესვერის სამხედრო სასწავლებელში გააგრძელა. სამი წლის შემდეგ ისევ აკადემიას დაუბრუნდა. ოფიცრის პირველი წოდების – ლეიტენანტის მიღების შემდეგ სამსახური კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადაში, ოცეულის მეთაურის, შემდეგ ასეულის მეთაურის მოადგილის, ბოლოს კი ასეულის საშტაბო და უზრუნველყოფის მეთაურის თანამდებობაზე გააგრძელა. 2001 წელს მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიურ მისიებთან უფროს ოფიცრად, 2003 წელს კი გერმანიის მიმართულების ოფიცრად.

2004 წელს სერჟანტთა მომზადების სკოლის უფროსად დაინიშნა. 2005 წელს II ქვეითი ბრიგადის 23-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის მეთაურის თანამდებობაზე



ერაყის დედაქალაქ ბაღდადში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაინაცვლა, საიდანაც სამშვიდობო მისიით 7 თვის განმავლობაში ერაყში, ქალაქ ბაქუბაში იმყოფებოდა. ბოლო პერიოდში კი ისევ სენაკში II ბრიგადის შტაბის უფროსის მოვალეობას ასრულებდა.

დეკემბერში გერმანიაში დიპლომატიურ სამსახურში მეუღლესთან, ნინო კილტავასთან ერთად გაემგზავრება. როგორ ამბობს, კარგად აქვს გაცნობიერებული დაკისრებული მისიის სირთულე და პასუხისმგებლობა. თუმცა მიაჩნია, რომ გერმანია მისთვის ახლობელი ქვეყანაა და მუშაობა არ გაუჭირდება. უკვე დაგეგმილი აქვს, რომ სამშობლოში მესამე ოჯახის წევრთან ერთად დაბრუნდება. მთავარი მიზანი კი მაინც საკუთარი ქვეყნის ჯარისკაცობა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა.

— **საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დაინიშნეთ. როგორ ემზადებით ამისათვის და რა გეგმები გაქვთ?**

– ეს თანამდებობა საკმაოდ საპასუხისმგებლოა. მე ამისათვის სპეციალური მომზადება გავიარე. ფაქტობრივად, საბრძოლო ქვედანაყოფიდან გადავედი ისეთ თანამდებობაზე, რომელიც დიპლომატიურ მისიებთან ძალიან დიდ მუშაობას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, უნდა გადავერთო სხვა სფეროზე, თუმცა, რა თქმა უნდა, ისევ სამხედრო მოსამსახურედ ვრჩები.

ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ საქართველოსა და გერმანიას შორის ურთიერთთანამშრომლობა უფრო გაიზარდოს, გაღრმავდეს და განვითარდეს.

— **კონკრეტულად, რა შედის თქვენს ფუნქციებში?**

– ყველაფერი ის, რაც გერმანიისა და საქართველოს სამხედრო ურთიერთობას ეხება. მათ შორის, ქართველი სამხედროები, რომლებიც მიემგზავრებიან იქაურ სასწავლებლებში და სხვადასხვა სახის კურსებს გადიან. ასევე, ქართული ქვედანაყოფები, რომლებიც კოსოვოში ასრულებენ სამშვიდობო მისიას, სადაც გერმანული კონტინგენტის დაქვემდებარებაში უწევთ ყოფნა.

მე პირველ რიგში ჩემი ქვეყნის სახე ვიქნები. ამაღლებული განწყობით მივდივარ. იმედი მაქვს ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც ჩემს ქვეყანასა და ჩემს საქმეს შეეფერება.

— **ცოტა ხნის წინ იმყოფებოდით გერმანიაში, სადაც გაეცანით იქაურ სიტუაციას. რა მდგომარეობა დაგხვდათ, ვის შეხვდით, რაზე მოილაპარაკეთ?**

– გერმანიაში გავეცანი იმ ატმოსფეროს, სადაც მუშაობა მომიწევს. ჯერ ოფიციალური შეხვედრები არ გამიმართავს, უფრო წინამოსამზადებელი პერიოდი გავიარე.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ წლების განმავლობაში ვიმყოფებოდი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, არ უნდა გამიჭირდეს ამ ქვეყანასთან შეჩვევა, ხალხთან ურთიერთობა და მუშაობა...

სიტუაციასთან შეჩვევა გიგა ბაბუნაშვილის ოჯახის წევრებს უწევთ. მას სახლში იშვიათად ხედავენ, მონატრებას კი ტელეფონის ან ინტერნეტის საშუალებით იქარვებენ. სხვა მეუღლეების მსგავსად, ოფიცრის ცოლობა თავიდან ნინო კილტავასაც გაუჭირდა, თუმცა მოგვიანებით მეუღლის პროფესიით იმდენად დაინტერესდა, რომ სამხედრო კარიერის შექმნა გადაწყვიტა.

— **როგორია თქვენი მეუღლის დამოკიდებულება თქვენი პროფესიისა და ახალი თანამდებობისადმი?**

– ნინო მუდამ გვერდით მიდგას. 7-8 წელია, შაბათ-კვირას თუ ვნახულობთ ერთმანეთს, ხანდახან ამასაც ვერ ვახერხებდი. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიწევდა მუშაობა, ერაყში ყოფნისას კი ინტერნეტით ვუკავშირდებოდით და ვამხნევებდით ერთმანეთს.

სანამ ჩემი მეუღლე გახდებოდა, ასე მწვავედ არ აღიქვამდა ჩემი პროფესიის სირთულეს, მაგრამ ნელ-ნელა შეეგუა და დღეს შემიძლია ვთქვა, რომ პატარა სამხედროა, ჩემი თანაშემწეა.



— **კარგია, რომ ერთად მიემგზავრებით, თუმც საქართველოდან შორს მოუწევს ყოფნა.**

– მგონი, ჩემზე მეტად უხარია, რადგან შინ, ალბათ, უფრო ხშირად ვიქნები, ვიდრე აქამდე ვახერხებდი. რაც მთავარია, თვითონაც აპირებს განათლების გაღრმავებას. შესაძლოა, დაბრუნების შემდეგ სამხედრო სამსახურშიც კი იმსახუროს, უფრო სამოქალაქო განხრით. ამის დიდი სურვილი აქვს.

— **რატომ გადაწყვიტეთ სამხედრო ყოფილიყავით, ეს იყო შეგნებული ნაბიჯი თუ სხვა პროფესიაზეც ოცნებობდით?**

– სულ ახალგაზრდა გავხდი სამხედრო. მაშინ სხვა დრო იყო და რთული იყო ამ არჩევანის გაკეთება. ეშმაკი და ხულიგანი ვიყავი და ჩემმა ოჯახმა გადაწყვიტა,რომ სამხედრო დისციპლინა დადებით როლს შეასრულებდა ჩემს ჩამოყალიბებაში. ასე ჩავაბარე სამხედრო აკადემიაში. ეს იყო ჩემი დიდი სურვილიც. ჩემი ბიძა გენერალი იყო და, ალბათ, ამანაც იქონია ზეგავლენა.

— **რამდენად რთულია სამხედრო ცხოვრება და რა არის დადებითი ამ პროფესიაში?**

– რთული დასაწყისშია, მერე უკვე შენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი ხდება. სამხედრო ცხოვრება სულ სხვაა, სისხლში უნდა გქონდეს გამჯდარი. ჩემთვის ძნელი მხოლოდ ოჯახიდან შორს ყოფნა და მონატრებაა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამშვიდობო მისიით შენი ქვეყნიდან შორს, ცხელ წერტილში ხარ.

— **კარიერის დასაწყისში თუ ელოდით, რომ ამდენს მიაღწევდით?**

– მაშინ სხვა სისტემა და სხვა ჯარი იყო. როცა 17 წლის ვიყავი, წარმოუდგენელი იყო მომავალზე ფიქრი. თუმც ჩემმა კურსელებმა და მე ისეთი დრო და სიტუაციები გამოვიარეთ, ისეთი ოთხწლიანი სასწავლო პერიოდი, რომ დღეს თითქმის ყველა საკმაოდ წარმატებული ოფიცერია. როცა მე და ჩემი მეგობრები ვლაპარაკობთ მაშინდელ და დღევანდელ ჯარზე, ყოველთვის ვამბობთ, რომ შედარებაც კი არ შეიძლება.

— **დღეს რასაც მიაღწიეთ, ეს თქვენი კარიერის მაქსიმუმია?**

– როდესაც დავბრუნდები, მინდა ისევ საბრძოლო ქვედანაყოფში ვიმსახურო იმ მიზნის მისაღწევად, რაც მთელ ქვეყანასა და მთავარსარდალს აქვს დასახული, — ეს არის ქვეყნის გაერთიანება.

რუსუდან ციმაკურიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ უფრთხის მოსკოვი ქართულ არმიაში ბოსნიური „ქარიშხლის“ გამოჩენას

**რამდენიმე თვის წინ ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ საქართველომ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები შეიძინა, მათ შორის „სმერჩი“ და „ორკანი“. ამ ინფორმაციაში, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი უზუსტობა იყო, მაგრამ ყურადღება მიიქცია ერთმა ფაქტმა. როგორც თავადაც მიხვდებოდით, რუსული „სმერჩების“ ყიდვის საკითხი პოლიტიკურ ნიუანსებში ზედმეტად გაუთვითცნობიერებელი ადამიანისთვისაც უტოპიურად ჟღერს, რადგან რუსეთს საქართველოსთვის „სმერჩს“ კი არა, შავ პურს ველარ გააგდებინებ ხელიდან. აი, ბოსნიურ-იუგოსლავიური „ორკანები“ კი, მართლაც იმსახურებს მკითხველის ყურადღებას. მით უმეტეს, რომ ამის შესახებ მხოლოდ ქართულ პრესაში არ იწერება.**

რუსულ ინტერნეტგამოცემა, ყოველდღიურ საქმიან გაზეთ РБК daily-ს 2007 წლის 28 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით „ისლამისტები საქართველოს აიარაღებენ“, სადაც აღწერილი იყო, რამხელა ძალისხმევა დასჭირდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ბოსნიელი მაჰმადიანებისაგან საქართველოს 262 მმ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები „ორკანები“ არ ეყიდა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, თუ ბოსნია საქართველოს ამ ტიპის იარაღით მოამარაგებდა, რუსეთი მას გაზს გაუძვირებდა. რუსეთი თავის ძალისხმევას იმით ასაბუთებდა, რომ ამ სისტემების ყიდვის შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მყოფ „რუსეთის მოქალაქეებს“ კარგი დღე არ დაადგებოდათ. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 2007 წლის გაეროს რეესტრში საქართველომ გააკეთა განაცხადი, რომ მას სურს 262 მმ „ორკანის“ 500 ცალი ჭურვის შეძენა. ანუ, მიუხედავად რუსული ინტერნეტგამოცემის ტენდენციურობისა და ბევრი უზუსტობისა, სტატიაში სიმართლის მარცვალი მართლაც არის.

მაინც რას წარმოადგენს ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა და, კერძოდ, იუგოსლავიური „ორკანი“, რომლის საქართველოს შეიარაღებაში გამოჩენას ასე უფრთხის ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი.

დავიწყოთ იმით, რომ უკანასკნელ პერიოდში ომის ქართული ღმერთი საგრძნობლად გაძლიერდა. მიზეზთა გამო ჩვენ ვერ შევუდგებით საქართველოს შეიარაღებაში არსებული საარტილერიო დანადგარების სახეობებისა და რაოდენობის განხილვას, მაგრამ გეტყვით იმას, რომ ბოლო წლების განმავლობაში, ქართულმა არტილერიამ განიცადა როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი ცვლილება უკეთესობისაკენ.



Оркан M87 საცეცხლე პოზიციაზე



„ორკანები“ აღლუმზე

საარტილერიო შეიარაღებაში განსაკუთრებული ადგილი სწორედ სარაკეტო სისტემებს უჭირავს. მათგან აღსანიშნავია ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები. ეს არის სარაკეტო-საარტილერიო სისტემის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც განკუთვნილია შორ დისტანციებზე ნებისმიერი ჯგუფური სამიზნის გასანადგურებლად.

მეტი ინფორმაციულობისათვის, პატარა

ისტორიული ექსკურსი მოვაწყოთ. რეაქტიული არტილერიის ჩანასახები ჯერ კიდევ 2000 წლის წინ ჩინეთში წარმოიშვა. აქ პირველად გამოიგონეს და სამხედრო მიზნებისათვის გამოიყენეს დენთი. ჩინელი მეომრები მომცრო მილაკში მოთავსებულ დენთს ისარზე ამაგრებდნენ და მშვილდით ისროდნენ. ეს „რაკეტები" დაახლოებით ისეთივე მოწყობილობის იყო, როგორსაც დღეისათვის ფეიერვერკებისათვის იყენებენ.

„რეაქტიულ რაკეტებს" მოგვიანებითაც იყენებდნენ. ცნობილია შუა საუკუნეებში თურქული საზღვაო ფლოტის მიერ მოწინააღმდეგის ციხესიმაგრეების დაბომბვის ფაქტები, ჩეხი ჰუსიტების მიერ ფრინველის ფორმის რაკეტების გამოყენება და ა.შ.


„კატიუშების" ზალპი

ევროპაში სარაკეტო არტილერიის განვითარებას ბიძგი ინდოეთის დაპყრობამ მისცა. აქ ინგლისის საოკუპაციო ჯარები შეხვდნენ ინდოელების ჯარებს, რომელთაც სპეციალური სარაკეტო ბატარეები ჰყავდათ და მათ ინტენსიურად იყენებდნენ. ინგლისელი პოლკოვნიკი კონგრევი ძალიან დაინტერესდა ამ მათთვის უცნობი იარაღით და მისი წარმოება ინგლისში გადაწყვიტა. გამოცდის პირველი ეტაპი მარცხით დასრულდა, მაგრამ ძალიან მალე კონგრევმა იმდენად გააუმჯობესა თავისი რაკეტები, რომ მოგვიანებით ინგლისმა მისი გამოყენება უკვე ინტენსიურად დაიწყო. 1804 წელს ინგლისის ფლოტმა კოპენჰაგენი დაბომბა, რაც ისტორიაში შევიდა სახელწოდებით „კოპენჰაგენის დაწვა რაკეტებით". მომავალ წლებში რაკეტები წარმოებისა და გამოყენების თვალსაზრისით საგრძნობლად დაიხვეწა, მათ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა იყენებდა. რაკეტების შიგთავსი სხვადასხვა შემადგენლობით მზადდებოდა, ძირითადად, შავი დენთის ბაზაზე. ფრენის სიშორე რამდენიმე კილომეტრს აღწევდა, ხოლო მასა რამდენიმე ათეულ კილოგრამამდე შეიძლებოდა ასულიყო. მიუხედავად რაკეტების სწრაფი განვითარებისა, იგი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს მაინც განდევნა ჩვეულებრივმა არტილერიამ, რომელიც განვითარების იმ ეტაპზე საგრძნობლად უსწრებდა სარაკეტო არტილერიას სროლის სიშორით, სიზუსტითა და სიძლიერით.

პირველმა მსოფლიო ომმა, პრაქტიკულად, სარაკეტო არტილერიის გარეშე ჩაიარა. რეაქტიული არტილერიის განვითარების მეორე ეტაპი გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამის ერთ-ერთი მიზეზი ვერსალის ხელშეკრულება გახდა, რომლის თანახმად, გერმანიას შეიარაღებაზე მკაცრი შეზღუდვები დაუწესდა, მაგრამ ვერსალის ხელშეკრულებაში სარაკეტო შეიარაღებაზე არაფერი იყო ნათქვამი. გერმანელები, რომლებიც ხელშეკრულების კაბალური პირობებისგან თავის დაძვრენის ხერხებს ეძებდნენ, აქტიურ კვლევებს აწარმოებდნენ სარაკეტო შეიარაღების დარგში და სხვა ახალ ნიმუშებთან ერთად ვერმახტის შეიარაღებაში გამოჩნდა 6-ლულიანი 150 მმ რეაქტიული ნაღმსატყორცნი Nebelwerfer-ი და სხვები. ეს დანადგარი, ძირითადად, განკუთვნილი იყო ქიმიური და ბოლგამშვები ჭურვებისათვის. იშვიათად, მაგრამ მაინც გამოიყენებოდა ჩვეულებრივი მსხვრევად-ფუგასური ქობინებიც. საქმე ის არის, რომ რეაქტიული ჭურვი დიდი სიზუსტით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტად ლეგენდარულმა „კატიუშამ", 132 მმ БМ-13-მა გამოიჩინა თავი, როგორც ძალიან ეფექტიანმა, მობილურმა და მრისხანე იარაღმა. საბჭოელებმა თავიდანვე სწორად გათვალეს და ფრენის ტრაექტორიის დაბალი სიზუსტის კომპენსირებას მისი მასობრივი გამოყენებით ახდენდნენ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გამოჩნდა ახალი თაობის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები. საბჭოთა კავშირმა სამი ძირითადი სისტემა შეიმუშავა. 122 მმ БМ-21 „გრადი", 220 მმ „ურაგანი" და 300 მმ БМ-30 „სმერჩი". ეს სისტემები განსაკუთრებით საგულისხმოა, ვინაიდან როგორც პოსტსაბჭოური სივრცის წარმომადგენლებს უშუალო შეხება გვაქვს მათთან.

122 მმ БМ-21 „გრადი" მსოფლიოს თითქმის 50 ქვეყნის შეიარაღებაშია და ქართველი არტილერისტებისთვისაც კარგადაა ცნობილი. ის აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს სოხუმის დაცვაში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა. შემდგომში ქართულმა ხელისუფლებამ იზრუნა „გრადების" ფაქტორის გაძლიერებისათვის. საბჭოურ-რუსული წარმოების БМ-21-ების გარდა, ქართულ არტილერიას დაემატა ჩეხური წარმოების RM-70-ები, მათში გამოიყენება იგივე საბრძოლო მასალა, რაც რუსულ „გრადებში" და იგივე მონაცემები აქვთ, გარდა ერთი ნიუანსისა, — აქვთ ავტომატური გადატენვის სისტემა, ეს კი მათ საცეცხლე ეფექტიანობას ერთიორად ზრდის.

ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, როგორც წესი, შედგება სხვადასხვა კალიბრის რეაქტიული ჭურვებისაგან (რაკეტებისაგან), იმავე კალიბრის გამშვები დანადგარისაგან (მიმმართველებისაგან) და პლატფორმისაგან.

რეაქტიული ჭურვების საბრძოლო ნაწილი დანიშნულების მიხედვით რამდენიმე

საუკეთესო საჩუქარი
დაბადების დღისა და სხვა დღესასწაულებისთვის!!!
«მსოფლიო სპორტის» ბიბლიოთეკის I ტომი
ურუგვაიდან გერმანიამდე
პირველად – ენციკლოპედიური ხასიათის
პირველად – მსოფლიოს თვრამეტივე ჩემპიონატი ერთად
პირველად – დიდი ფორმატის, 500 გვერდიანი, მთლიანად ფერადი, ლამინირებული მაგარ გარეკანში
წიგნი, რომელიც სჭირდება ყომაგს
1930-2006 წლების მსოფლიოს თვრამეტივე ჩემპიონატის ისტორია, მასპინძელი ქვეყნების მოკლე ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, შესარჩევი და ფინალური ეტაპების დაწვრილებითი სტატისტიკური მონაცემები, ჟურნალისტური მიმოხილვები და საინტერესო ფაქტები.
გამოყენებულია 1000-ზე მეტი ფერადი ფოტო და ცალკე თავი ეძღვნება ქართველი ფეხბურთელების მონაწილეობას მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე
თბილისში შეგიძლიათ შეუკვეთოთ სახლში მიტანით,
ტელ: 38-26-73; 42-43-40. (ელვა-სერვისი)
ასევე მოიკითხეთ წიგნის მაღაზიებში


ეროვნული ბიბლიოთეკა

სახის შეიძლება იყოს:

1. მსხვრევადი
2. მსხვრევად-ფუგასური
3. ფუგასური
4. კუმულაციური
5. კუმულაციურ-მსხვრევადი
6. კასეტური
7. თერმობარული
8. ცეცხლგამჩენი
9. ქიმიური
10. მანათობელი
11. ბოლგამშვები

საცეცხლე ძალით და ეფექტიანობით გამოირჩევა 300 მმ 9K58 „სმერჩი“. მან ჩეჩნეთის ომში თავისი ეფექტიანობა სავსებით დაამტკიცა. გასაკვირი არაა, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ აზერბაიჯანმა „სმერჩების“ რამდენიმე დანადგარი შეიძინა. მათ არც სომხები ჩამორჩნენ, ოღონდ რუსულ „სმერჩებს“ რატომღაც მათი ჩინური ანალოგები არჩიეს. როგორც ეტყობა, საქართველო სხვა გზით მიდის და არჩევანს ყოფილ იუგოსლავიურ LRSV-262 M87 „Orkan“-ზე აკეთებს.

ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა 262 მმ m-87 „ორკანი“ გამოიყენება როგორც ცოცხალი ძალის, ასევე ნახევრად შეჯავშნული და შეჯავშნული ტექნიკის გასანადგურებლად, ტანკსაწინააღმდეგო დანაღმული ველების დასაყენებლად 50 კილომეტრის რადიუსში. იგი შემუშავებულ იქნა ყოფილი იუგოსლავიის სამხედრო-ტექნიკური ინსტიტუტის მიერ. მისი გამოცდა 1985 წელს დასრულდა და სისტემა ოფიციალურად მიიღეს იუგოსლავიის შეიარაღებაში. „ორკანი“ გამოირჩევა საბრძოლო ეფექტიანობით, ავტომატიზაციის მაღალი დონითა და ექსპლუატაციის საიმედოობით სხვადასხვა კლიმატურ პირობებში. „ორკანი“, ძირითადად, ბოსნიისა და ხორვატიის შეიარაღებაშია, მისი მოდიფიკაცია ასევე არის ერაყის შეიარაღებაში Ababil-50-ის სახელწოდებით.

M87 „ორკანი“ მოიცავს:

1. საბრძოლო მანქანა LRSV-262 M87 „ორკანი“
2. 262 მმ უმართავი ჭურვები
3. ცეცხლის სამართავი სისტემა



4. სატრანსპორტო-დამტენი მანქანა 24 უმართავი ჭურვით

LRSV-262 M87 „ორკანი“ განლაგებულია 8X8 ფორმულის მაღალი გამავლობის სატვირთო ავტომობილ FAP 3232 BDS/A-ს მოდიფიცირებულ შასიზე. საარტილერიო ნაწილი წარმოადგენს მბრუნავ საფუძველზე განლაგებულ პაკეტს, რომელიც შედგება 12 მილისებური მიმმართველისაგან, აქვს დასამიზნებელი მოწყობილობები და მექანიზმები, ასევე ელექტროტექნიკური და ჰიდრავლიკური აპარატურა. მიმმართველი მოძრაობს ვერტიკალური სიბრტყიდან -0.5 -დან, +56-მდე, ხოლო ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მანქანის ღერძიდან ±110-მდე. დამიზნება შეიძლება ავტომატურად, ნახევრად ავტომატურად ან ხელით. საბრძოლო მანქანას, მდგრადობის გასაძლიერებლად, შასიში ჩამონტაჟებული აქვს ოთხი საყრდენი, ჰიდრავლიკური დომკრატით.

მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო დატვირთვით 32 ტონას, ხოლო ცარიელი 15 ტონას იწონის, LRSV-262 საკმაოდ მაღალი გამავლობითი თვისებებით გამოირჩევა. შეუძლია 1,2 მეტრის სიღრმის თხრილის, 25-გრადუსიანი აღმართისა და 60-გრადუსიანი დაღმართის დაძლევა. აღჭურვილია საბურავების შიდაწნევის რეგულატორით.

სალაშქრო მდგომარეობაში „ორკანი“ ჩვეულებრივი სატვირთო ავტომანქანისგან ძნელად გასარჩევია. კაბინის სახურავზე მონტაჟდება 12,5 მმ კალიბრის საზენიტო ტყვიამფრქვევი. საარტილერიო სისტემის გათვლა შედგება ხუთი კაცისაგან, ისინი კონდიცირებულ კაბინაში იმყოფებიან, საიდანაც იმართება ცეცხლი. საბრძოლო მანქანის დატენვა ხდება მიმმართველზე დამონტაჟებული და ჰიდროსისტემასთან მიერთებული სპეციალური მოწყობილობის საშუალებით. სროლისათვის გამოიყენება 262 მმ კალიბრის და 4656 მმ სიგრძის ჭურვები. უმართავი ჭურვი აღჭურვილია ორრეჟიმიანი სარაკეტო ძრავით, რომელიც ავითარებს 1200 მეტრ წამში სიჩქარეს, 50 კილომეტრის დაფარვა კი 110 წამში შეუძლია. ფრენის სტაბილიზებას უზრუნველყოფს ჭურვის ბოლოში განლაგებული სტაბილიზატორები, რომლებიც თავიანთი დახრილობით განაპირობებს ჭურვის ბრუნვას სიგრძივი ღერძის გარშემო. სხვადასხვა აეროდინამიკური მუხრუჭის გამოყენებით შეიძლება რაკეტის ფრენის სიშორის რეგულირება, როგორც წესი, 24, 28, 37 და 50 კილომეტრზე.

მაქსიმალურ სიშორეზე ფრენის დროს გაბნევის ელიფსი ჯდება სიგრძეზე 220 და სიგანეზე 175 მეტრში. 4 საბრძოლო მანქანისგან შემდგარი ბატარეის ზალპი ფარავს 3-4 კვადრატულ კილომეტრს. თავად რაკეტები მიმმართველში ჩატვირთვამდე მოთავსებულია პოლიესტერისა და მინაბოჭკოვან შალითაში და შენახვის განსაკუთრებულ პირობებს არ საჭიროებს.

შემუშავებულია რამდენიმე ტიპის საბრძოლო მასალა:

* მსხვრევად-ფუგასური, დარტყმითი ტიპის მყისეული ან შენელებული მოქმედების ამფეთქით, წონა 91 კგ, უმართავი რეაქტიული ჭურვის წონა 385 კგ-ს შეადგენს.

* კასეტური, იგი აღჭურვილია 288 ცალი კუმულაციურ-მსხვრევადი საბრძოლო ელემენტით, განკუთვნილია ღიად განლაგებული ცოცხალი ძალის, მსუბუქად



ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჯავშნული და სხვა საბრძოლო ტექნიკის გასანადგურებლად. ქობინი აღჭურვილია ელექტრონული ამფეთქით, რომელიც უზრუნველყოფს დეტონაციას და საბრძოლო ელემენტების გაბნევას ფრენის ბოლო ეტაპზე. საბრძოლო ელემენტის კალიბრი 40 მმ-ია, შეუძლია 60 მმ-მდე სისქის ჯავშნის გატანა. საბრძოლო ელემენტი აფეთქების დროს კუმულაციური ეფექტის გარდა, წარმოქმნის ნამსხვრევებს, თითო 420 ცალამდე, რომლებიც მომაკვდინებელ ძალას 10 მეტრის რადიუსში ინარჩუნებს. რაკეტის წონა 389,7 კგ-ია, ფრენის მაქსიმალური სიშორე 50 კმ, ერთი რაკეტა 2 ჰექტარს ფარავს.

* კასეტური, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები განკუთვნილია მოწინააღმდეგეზე შეტევისთვის გამზადებული ჯავშანსატანკო ნაწილების წინ დანაღმული ველების დისტანციური დაყენებისთვის. ქობინი 83 კგ-ს იწონის და აღჭურვილია 8 კონტეინერში განთავსებული 24 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმით. ნაღმის მასაა 1,8 კგ, კალიბრი 105 მმ. ასაფეთქებელი ნივთიერების მუხტის წონა 400 გ-ს შეადგენს. დეტონაციისას ნაღმს შეუძლია გაიტანოს 40 მმ-იანი ჯავშანი, ამფეთქი არაკონტაქტურია, მაგნიტური მოქმედების, თვითლიკვიდაციის დრო 24 საათი. ჭურვის წონა მთლიანად შეადგენს 382 კილოგრამს.

როგორც ვხედავთ, ბოსნიურ „ქარიშხალს“ ქართული არტილერიისთვის ახალი სუნთქვის შთაბერვა შეუძლია. მისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებიდან და ბალკანეთის ომების გამოცდილებიდან გამომდინარე, „ორკანი“ საკმაოდ მრისხანე იარაღს წარმოადგენს და მისი კლასის, ანუ მსხვილკალიბრიანი, შორსმსროლელი ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარებიდან ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია, როგორც საბრძოლო ეფექტიანობით, ისე ექსპლუატაციის სიმარტივითა და მანევრულობით. საბრძოლო მასალის ნომენკლატურა კი „ორკანის“ საკბილოს, გადარჩენის ძალზე მცირე შანსს უტოვებს. ყველაზე საუკეთესო ვარიანტი ამერიკული MRLS-ის შეძენა იქნებოდა, მაგრამ საქართველოს სამხედრო ბიუჯეტი ჯერ ამდენადაც არ გაზრდილა, რომ თითო სისტემაში 20-ჯერ მეტი გადაიხადოს, ამიტომ ჯერ რაზეც ჯიბე გაგვწვდება, იმას დავჯერდეთ. მიუხედავად იმისა, რომ M87 „ორკანის“ დანადგარების შეძენა ოფიციალურად დადასტურებული არ არის, გასაკვირი არ იქნება, ქართული არმიის მესვეურებმა არჩევანი სწორედ მასზე რომ შეაჩერონ, თუ უკვე შეჩერებული არა აქვთ. ყოველ შემთხვევაში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული არტილერიის ის ნიშა, რომელიც ბოსნიურმა „ორკანმა“ უნდა დაიკავოს, მალე და თანაც საფუძვლიანად შეივსება.

*ნინო მამუკაძე*

# კვალიფიციური რჩევები

**„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე. *კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80***

**1. ვარ სამხედრო მოსამსახური, როდის შეიძლება ვისარგებლო ათდღიანი შვებულებით?**

მოკლევადიანი შვებულებით სარგებლობა შეგიძლიათ მძიმე ოჯახური პირობების ან სხვა საპატიო მიზეზით, 10 დღემდე ვადით. აღნიშნული შვებულების გამოყენების მიზნით პატაკით უნდა მიმართოთ მეთაურს.

**2. ათდღიანი შვებულებით სარგებლობის შემდეგ შემიძლია თუ არა ვისარგებლო ყოველწლიური შვებულებით?**

ვინაიდან ათდღიანი შვებულება არ ითვლება მორიგი შვებულების ანგარიშში, თქვენ შეგიძლიათ სრულად ისარგებლოთ ყოველწლიური ერთთვიანი შვებულებით.

**3. 2007 წლის ივლისის თვეში დავინიშნე შინაგან საქმეთა სამინისტროში. როდის შემიძლია ვისარგებლო მორიგი შვებულებით?**

შვებულებით სარგებლობა შეგიძლიათ მუშაობის დაწყებიდან თერთმეტი თვის შემდეგ.

**4. შემიძლია თუ არა მორიგი 30-დღიანი შვებულებიდან ორი კვირა გამოვიყენო იანვარში, ხოლო დარჩენილი ორკვირიანი შვებულებით ვისარგებლო ზაფხულში?**

მოქმედი კანონმდებლობით, დასაშვებია შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება. მთავარია, აღნიშნულის შესახებ შეუთანხმდეთ ადმინისტრაციას.

**5. მაინტერესებს, რამდენია ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების პერიოდი?**

მოსამსახურეს ეძლევა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება 126 კალენდარული დღის ოდენობით. აღნიშნული შვებულება თქვენი შეხედულებისამებრ შეგიძლიათ გადაანაწილოთ ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდზე.

**6. შემიძლია თუ არა მოვითხოვო ერთთვიანი შვებულება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ გასულა თერთმეტი თვე, რაც სამსახურში დავინიშნე?**

ადმინისტრაციასთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებელია საჯარო მოსამსახურეს მიეცეს ერთთვიანი შვებულება თერთმეტი თვის გასვლამდეც.

**7. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის კომპეტენციაში შედის შვებულებით სარგებლობის გრაფიკის შედგენა?**

წლის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებათა მიცემის რიგითობას თანამშრომლებთან შეთანხმებით ადგენს ადმინისტრაცია.

**8. ეკუთვნის თუ არა შვებულება სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეს?**

სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო სამსახურის გავლის მთელ პერიოდში ეძლევა ორკვირიანი შვებულება, გარდა სამსახურის მეთორმეტე თვისა.

**9. ზედიზედ 3 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობა უარს მეუბნება ყოველთვიური შვებულების გამოყენებაზე. რამდენად კანონიერია აღნიშნული ქმედება?**

შვებულებით სარგებლობაზე უარი უკანონოა, ვინაიდან დაუშვებელია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# სუსტ სქესს კამუფლაჟი უხდება...





სამხედრო სამსახური დღეს არა მხოლოდ მამაკაცებშია პოპულარული. სამხედრო მუნდირს სუსტი სქესის წარმომადგენლებიც არანაკლები სიამაყით ატარებენ. არსებული მონაცემებით, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 1646 ქალი მსახურობს. პირველ ბრიგადაში 87, მეორეში – 90, მესამეში – 99, მეოთხეში კი 111 ქალი. ქალები პირველი ქვეითი ბრიგადის 12-ე ბატალიონის შემადგენლობაში, საბრძოლო ქვედანაყოფშიც გვხვდებიან.

ქალმა სამხედროებმა ჯარისკაცის მძიმე, მაგრამ საპატიო პროფესია აირჩიეს. სულ მალე პირველი ქვეითი ბრიგადა ერაყში სამშვიდობო მისიით გაემგზავრება. საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში მე-12 ბატალიონის ქალი სამხედროებიც მიიღებენ მონაწილეობას. მათ სპეციალური მოსამზადებელი კურსი უკვე გაიარეს.

პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12

ეროვნული ბიბლიოთეკა









ბატალიონის უმცროსი სერჟანტი ნინო ჭითაშვილი: „ერაყში გამგზავრებამდე ერთთვიანი მოსამზადებელი კურსი გავიარეთ. კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში ქართველი და ბრიტანელი ინსტრუქტორები გვამზადებდნენ, შემდეგ ამერიკელ ინსტრუქტორებთან ერთკვირიანი კურსი გავიარეთ. ჩვენ მამაკაცების მსგავსი დატვირთვით ვემზადებოდით და ახლა მზად ვართ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად“.

სუსტი სქესის წარმომადგენლები, ძირითადად, შეიარაღებული ძალების შტაბებში მუშაობენ. სტატისტიკური მონაცემებით, ყველაზე მეტი ქალი სამხედრო მოსამსახურე მეოთხე ბრიგადაშია, – 111 ქალი აქ, ძირითადად, საქმის მწარმოებლად მუშაობს. მათი მოვალეობაა დოკუმენტებისა და წერილების დამუშავება.

მეოთხე ქვეითი ბრიგადის მასტერ-სერჟანტი მაკა გოგობერიშვილი: „საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2004 წლიდან ვმსახურობ. ამჟამად ვარ მეოთხე ქვეითი ბრიგადის სერჟანტი, ვმუშაობ კადრების განყოფილებაში. ჩემი მოვალეობაა წერილების მიღება და მათზე რეაგირება, პირადი შემადგენლობის დანიშვნა, შემდგომ კი ბრძანებების პროექტების გაგზავნა სახმელეთო ჯარების შტაბში. შეიარაღებულ ძალებში ჩემი კარიერის დაწყების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს ისიც წარმოადგენს, რომ ქართული არმია მნიშვნელოვნად ვითარდება და რეგიონში აშკარად ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს“.

ყველა სამხედრო მოსამსახურე ქალს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. შეიარაღებულ ძალებში კარგი პირობების გამო ზოგიერთ ქალბატონს კონტრაქტი უკვე რამდენჯერმე აქვს გაფორმებული. სამხედრო სამსახურის ეს ფორმა მათ საშუალებას აძლევს საღამოს შინ დაბრუნდნენ.

მეოთხე ქვეითი ბრიგადის სერჟანტი

ეროვნული ბიბლიოთეკა







ფატი ჯანჯალია: „შეიარაღებულ ძალებში 2001 წლიდან ვმსახურობ. პირველი კონტრაქტის შემდეგ მეორე გავაფორმე. მართალია, თავდაპირველად ჩემი ოჯახის წევრები კრიტიკულად შეხვდნენ ჩემს არჩევანს, მაგრამ ახლა ეამაყებათ, რომ წვლილი შემაქვს არმიის ჩამოყალიბებაში. ჩემი მეუღლეც შეიარაღებულ ძალებში მსახურობს, პირველმა მან მირჩია აქ სამსახური. რა თქმა უნდა, როგორც კი მეორე კონტრაქტის ვადა დამიმთავრდება, კვლავაც გავაგრძელებ ჯარში სამსახურს“.

შეიარაღებულ ძალებში ბოლო დროს საკმაოდ გაიზარდა ქალების რაოდენობა, რაც გამოწვეულია მაღალი პროფესიული სტანდარტებითა და კარგი პირობებით. მიუხედავად შეღავათებისა, საველე წვრთნების დროს ქალი სამხედროები თავიანთ შესაძლებლობებს მამაკაცებისთვის შესაშური ოსტატობით წარმოაჩენენ.

*გიორგი თუხარელი*
*ალექსანდრე გაბელია*
*ტელეკომპანია „საქართველო“*

ჩვენი მეზობელი ქვეყნის სპეცსამსახურების შექმნის ისტორია და დღევანდელი ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის ანალიზი თუნდაც იმიტომაა აქტუალური და აუცილებელი, რომ სომხეთი საქართველოს ჩრდილოეთ მეზობლისა და „დიდი მეგობრის", რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია და, აქედან გამომდინარე, ამ ორი ქვეყნის სპეცსამსახურები ხშირად ერთობლივად მოქმედებენ.

# სომხეთის სპეცსამსახურები



*(დასასრული)*

## პოლიტიკური ტერორის წლები სომხეთში

ქართველებს გვჩვევია თავზე ქვიშის წაყრა, ყველა უბედურებისა თუ ცოდვის თავზე დაბრალების დიდი ნიჭიც გვაქვს. 1991 წლიდან საქართველოში რომ არეულობა და განუკითხაობა იყო, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, ტრაგედია იყო პოლიტიკური მკვლელობების მთელი სერია, რომელთაგან ბევრი ჯერაც ბოლომდე გამოუძიებელია.

26028

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ იმავე პერიოდში მსგავსი პოლიტიკური მკვლელობებისა და ტერორის ტალღამ მოიცვა რუსეთი, უკრაინა, სომხეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიც. ამ პროცესებს ერთი მსგავსება ჰქონდათ, — მსხვერპლის პიროვნება და თავდასხმის ორგანიზებული მომზადება-ჩატარება, რომლის შემდეგაც სამხილები არ რჩებოდა, გვაფიქრებინებს, რომ ეს ძალზე ძლიერი სპეცსამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პოლიტიკური მკვლელობები იყო. პოლიტიკოსების, ბიზნესმენების, სპეცსამსახურების მაღალჩინოსნების ლიკვიდაციის მიზანი უფრო გეოპოლიტიკური იყო, ვიდრე უბრალო კრიმინალური გარჩევები. რუსეთი, აშშ, ირანი და თურქეთი გავლენის სფეროების გადანაწილებას ყოველნაირი მეთოდებით ცდილობდნენ.



**ლევონ ტერ პეტროსიანი**

1993-2002 წლებში სომხეთში მომხდარი ყველაზე გახმაურებული მკვლელობების მოკლე ჩამონათვალი მართლაც რომ შთამბეჭდავია.

1993 წლის 21 ივლისის დილას ერევნის ერთ-ერთ პარკში ძაღლს ასეირნებდა გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, ყოფილი საბჭოთა მზვერავი და სომხეთის სუკ-ის ყოფილი შეფი მარიუს იუზბაშიანი.

**მცირე დოსიე: მარიუს იუზბაშიანი (1924-1993წწ.) გენერალ-ლეიტენენტი. დაიბადა ბათუმში. 1941 წელს საცხოვრებლად გადავიდა თბილისში, სადაც დაამთავრა შინსახკომის სასწავლო დაწესებულება.**

**1944-1945 წწ. მონაწილეობდა პარტიზანულ ბრძოლებში. 1945-1988 წწ. მსახურობდა სსრკ-ის უშიშროების ორგანოებში, სადაც გაიარა გზა უმცროსი ლეიტენანტიდან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველი მთავარი სამმართველოს (საგარეო დაზვერვა) უფროსის მოადგილემდე.**

**1960-1967 წწ. იყო სსრკ-ის სუკ-ის არალეგალური დაზვერვის თანამშრომელი, ხოლო 1967-1970 ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.**

**1970-1978 წწ. მუშაობდა სხვადასხვა ქვეყანაში.**

**1978-1988 წწ. იყო სომხეთის სსრ სუკ-ის თავმჯდომარე.**

**1988 წლიდან პენსიაზე იყო და მოსკოვში ცხოვრობდა.**

...მოულოდნელად იუზბაშიანს სპორტულ კოსტიუმში ჩაცმული ახალგაზრდა მიუახლოვდა და მაყუჩიანი პისტოლეტის რამდენიმე გასროლით მოკლა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული

სომეხ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ მკვლელობების უკან ე.წ. ყარაბაღის კლანი და პარტია „დაშნაკციუტუნი" იდგნენ. მათი მტკიცებით, იუზბაშიანმა სომხეთის ბევრი პოლიტიკური მოღვაწე ამხილა საბჭოთა კაგე-ბესთან თანამშრომლობაში. საბჭოთა უშიშროების გენერალს ჰქონდა ინფორმაცია სომხეთის პოლიტიკური ძალების მჭიდრო კავშირზე საბჭოთა სპეცსამსახურებთან, რის შესახებაც მან 1992 წელს სომხეთის ერთ-ერთ გაზეთშიც დაწერა.

ამ დოკუმენტების პუბლიკაციაში ფიგურირებდა ერევნის მერი ამბარცუმ გალსტიანი, რომელიც მალევე ასევე კილერის ტყვიის მსხვერპლი შეიქნა.

საინტერესოა, რომ სიკვდილამდე ორი წლით ადრე უკვე საკმაოდ ასაკოვან გამოცდილ საბჭოთა მზვერავ იუზბაშიანს მოსკოვში სწორედ გალსტიანმა გადასცა პრეზიდენტ ტერ-პეტროსიანის თხოვნა, შემდეგ ჩამოიყვანა ერევანში და მერიაში მრჩევლის თანამდებობა გამოუძებნა.

ამავე წლებში მოკლეს:

სომხეთის რკინიგზის გენერალური დირექტორი ამბარცუმ კანდილიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სომეხი ექსპერტები ამიერკავკასიის რკინიგზაზე მაფიოზურ გარჩევებს უკავშირებენ);

სომხეთის გენერალური პროკურორი ენრიკ ხაჩესიანი;

სომხეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, პოლკოვნიკი ვარამ ხორხორუნი;

სომხეთის შს მინისტრის მოადგილე გენერალ-მაიორი არცრუნ მასგიანი;

სომხეთის სახელმწიფო ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე ტიგრან ნაგდალიანი.

ამ მკვლელობების უმეტესობა ჯერ კიდევ გაუხსნელია. თუმცა ყველაზე დიდი გამოცანა მაინც 1999 წლის 27 ოქტომბრის ტერაქტი იყო, რომელიც სისასტიკითა და მოულოდნელი საგამოძიებო შედეგებით დღესაც ბევრ კითხვას ბადებს.

## 1999 წლის 27 ოქტომბრის ტერაქტი

სომხეთის სპეცსამსახურებისთვის დიდ გეოპოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობის დამადასტურებელი გახდა 1999 წლის 27 ოქტომბრის მოვლენები. ამ დღეს ტერორისტთა ჯგუფმა დაუბრკოლებლად მოახერხა შესვლა რესპუბლიკის ეროვნული კრების შენობაში და მოკლა 8 კაცი. მათ შორის სომხეთის პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი, პარლამენტის სპიკერი კარენ დემირჭიანი და ვიცე-სპიკერები რუბენ მიროიანი და იური ბახშიანი.

უცნაურობები დაიწყო ჯერ კიდევ ტერორისტებთან მოლაპარაკების დროს. ტერორისტების დასაჭერად მოსკოვიდან რატომღაც ჯგუფი „ალფა" გამოიძახეს და როდესაც ტერორისტების მეთაური ნაირი უნანიანი დათანხმდა, ჩაბარებულიყო პოლიციას, პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანის გადაწყვეტილებით მას ნება დართეს... დაეტოვებინა თავისი პისტოლეტი (ამავე დროს ბანდიტს მიღებული ჰქონდა ხელშეუხებლობის გარანტია თავად პრეზიდენტისაგან). მალევე დასახელდა ვერსია, რომ უნანიანი უშიშროების აგენტი იყო. სომხეთის შსს-ს კოლონიების განყოფილების ყოფილი უფროსის უშეგ საგატელიანის განცხადებით, უნანიანი მართლაც იყო დაქირავებული აგენტი და მეტსახელიც კი ჰქონდა. უშიშროების სამინისტრომ ჯერ დუმილი არჩია, მერე კი განაცხადა, რომ მართლაც მუშაობდნენ უნანიანთან, მაგრამ ძირითადად ადგენდნენ მის თურქულ კონტაქტებს. თავად უნანიანი საწინააღმდეგო ჩვენებებს იძლეოდა და ტერაქტის დამკვეთად ხან პრეზიდენტ ქოჩარიანს, ხან კი სპიკერ კარენ დემირჭიანს ასახელებდა.

თვით ტერაქტიცა და მისი გამოძიებაც სომხეთში და მის გარეთ შეაფასეს როგორც ამ ქვეყნის სპეცსამსახურების სრული უძლურების გამოხატულება. თუმცა სხვანაირად ფიქრობდა ქვეყნის ხელისუფლება, — ეროვნული უშიშროების სამინისტროს ტერორიზმის განყოფილების უფროსი ორდენით დააჯილდოეს, თვით მინისტრმა პეტროსიანმა კი გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიიღო.

ამ ტერაქტის შემდეგ სომხეთის საგარეო-პოლიტიკური კურსი მხოლოდ რუსეთისკენ მიმართული გახდა.

## სომხეთის სპეცსამსახურების სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი მუშაობა

საიდუმლო არ არის, რომ საგარეო პოლიტიკაში სომხეთის მთავარი მოწინააღმდეგე აზერბაიჯანი და თურქეთია (თუმცა ბოლო დროს ზოგიერთი „ჭკვიანი" სომეხი პოლიტიკოსი ამ ქვეყნებს რატომღაც საქართველოსაც უმატებს). ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ დროდადრო ხან აზერბაიჯანი, ხანაც სომხეთი აცხადებს მტრის ჯაშუშის დაკავებას. მაგალითად, ბაქოში საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სომხეთის ჯაშუშად მონათლეს აზერბაიჯანის პირველი პრეზიდენტი აიაზ მუთალიბოვი.

2001 წლის ბოლოს აზერბაიჯანის სპეცსამსახურებმა განაცხადეს, რომ გახსნეს შეთქმულება პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევის შვილის, ილჰამ ალიევის წინააღმდეგ. მთავარმა ბრალდებულმა, აზერბაიჯანელმა სამხედრომ მაჰომედ ოჯაგვერდოვმა, რომელიც რამდენიმე წელიწადს სომხეთში ტყვეობაში იმყოფებოდა, სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სომხეთის სპეცსამსახურებმა აიძულეს ტერაქტში მონაწილეობა. თავის მხრივ, სომხეთის სპეცსამსახურებმა უარყვეს ეს ბრალდება.

დიდი რეზონანსი გამოიწვია 2002 წლის 26 იანვარს სომხეთის უშიშროების სამინისტროს განცხადებამ იმის შესახებ, რომ დააკავეს სომხეთის მოქალაქე, რომელიც თურქეთის სპეცსამსახურებისთვის მუშაობდა, — აგროვებდა და გადასცემდა სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინფორმაციას.

ასევე, დააკავეს სომხეთში საკმაოდ ცნობილი პიროვნება, თარჯიმანი და თურქოლოგი მურად ბოჯოლიანი, რომელიც 90-იან წლებში სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, ერთხანს ხელმძღვანელობდა თურქეთის განყოფილებას, სომხურ გაზეთებში აქვეყნებდა თურქული პრესის მიმოხილვას და ხელმძღვანელობდა სომხეთის ნაციონალურ რადიოში თურქულ ენაზე გადაცემების რედაქციას. რაც ყველაზე საინტერესოა, ბოჯოლიანი რამდენიმე წელიწადს პრეზიდენტის აპარატშიც მუშაობდა და პრეზიდენტ ლევონ ტერ-პეტროსიანის პირადი თარჯიმანი იყო.

ბოჯოლიანი სომხურმა სპეცრაზმმა „ალფამ" სასაზღვრო პოსტ ბაგრატაშენში დააკავა, როცა ის ავტობუსით საქართველოში მოემგზავრებოდა.

## მთავარი სტრატეგიული პარტნიორი

აზერბაიჯანსა და თურქეთთან მრავალწლიანი დაპირისპირების დროს სომხეთის სპეცსამსახურები რუსეთის სპეცსამსახურებთან მჭიდრო კავშირში მოქმედებენ. სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებული არიან რუსეთის რადიოელექტრონული დაზვერვის დანაყოფები, რომელთა მეშვეობით რუსეთი მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმაციას იღებს. 1999 წლიდან დაიწყო სომხეთ-რუსეთის ავიაციისა და ჰაერსაწინააღმდეგო ძალების ერთობლივი საბრძოლო წვრთნები.

დღეს რუსეთის ხელმძღვანელობა ძალზე კმაყოფილია სომეხი კოლეგებით. რატომაც არა? როგორც ირკვევა, სომხეთმა თავის თავზე აიღო სომხეთის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის სასაზღვრო ძალების დაფინანსების 57%.

ამ ორი ქვეყნის სპეცსამსახურების ხელმძღვანელების შეხვედრა რეგულარულ ხასიათს ატარებს და განსაკუთრებით ქოჩარიანის პრეზიდენტობის პერიოდში გაფართოვდა.

სომხეთში ხშირად სტუმრობდნენ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი ვლადიმირ რუშაილო, თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი, ფე-ეს-ბეს დირექტორი ნიკოლაი პატრუშევი და სხვ.

სომხეთი აქტიურად მონაწილეობს დსთ-ის ანტიტერორისტული ცენტრის მუშაობაში. ცენტრის ერთობლივი წვრთნები სისტემატურად იმართება სომხეთში და კონკრეტული სადაზვერვო-დივერსიული დავალებების შესრულებასა და სომხეთისა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის პარტნიორული ურთიერთობების გამყარებას ისახავს მიზნად.

ერთობლივი სწავლების შედეგებით, რომელიც 2006 წლის 26-29 სექტემბერს ჩატარდა სომხეთში (სადაც მონაწ-



**დაშნაკთა ბატალიონი. 1992 წელი**

ილეობდნენ დსთ-ის ქვეყნების სპეცსამსახურებისა და უშიშროების ორგანოების დელეგაციები), ძალზე კმაყოფილი იყო დსთ-ის ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელი ბორის მილნიკოვი. მან მაღალი შეფასება მისცა ერთობლივი სპეციალური დანიშნულების დანაყოფების ოსტატობას მეწამორის ატომურ სადგურზე ტერორისტების განიარაღებისა და ატომური საფრთხის ნეიტრალიზაციის პროცესში.

2007 წლის ივლისის ბოლოს სევანის ტბის ახლოს მდებარე სასტუმრო „ჰარსნაკერში“ გაიმართა სომხეთის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელობისა და რუსეთის ფე-ეს-ბეს დელეგაციას შორის შეხვედრა. რუსეთის 16-კაციან დელეგაციას თავად ამ სპეცსამსახურის დირექტორი პატრუშევი ხელმძღვანელობდა. ორივე მხარე, როგორც ყოველთვის, შედეგით კმაყოფილი დარჩა.

რუსი გენერლების ამ განწყობილებას, ალბათ, სომხური კონიაკიც დიდად შეუწყობდა ხელს.

ერთი კი საკითხავია, – ამ „ერთობლივ ოსტატობას“ როგორ გამოიყენებენ სომხეთის მეზობელ ქვეყნებში?

რუსეთის სპეცსამსახურები აქტიურად ეხმარებიან სომხეთის დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქოჩარიანის ოპოზიციის დისკრედიტაციასა და დაკავებაში. მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში ფინანსური მაქინაციის ბრალდებით დააკავეს სომხეთის ამჟამინდელი ხელისუფლების მრავალი მოწინააღმდეგე (საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ა. არზუმანიანი, თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ვ. შიხნიანი და სხვ.), რომელთაც სულ ცოტა ხნის წინ მაღალი თანამდებობები ეკავათ პრეზიდენტ ქოჩარიანის „კარზე“.

## სომხეთის სპეცსამსახურები 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ

სომხეთში პოლიტიკური დაძაბულობა უკვე პიკს აღწევს. 2008 წლის 19 თებერვალს გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც ბევრი რამ გაირკვევა. ამ პროცესებში სომხეთის სპეცსამსახურები, როგორც ჩანს, ძალზე აქტიურად მონაწილეობენ.

ერევანში გახმაურდა სკანდალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სომხეთის სპეცსამსახურებმა ფარულად ჩაიწერეს ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერის, ექსსპიკერ არტურ ბაღდასარიანის საუბარი მაღალჩინოსან ბრიტანელ დიპლომატთან. სომხეთში ბრიტანეთის საელჩომ 2007 წლის 26 აპრილს გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ბრიტანეთის საელჩო ერევანში შეშფოთებულია საელჩოს წარმომადგენლისა და ოპოზიციური პარტიის ლიდერს შორის საუბრის მოსმენის და აგრეთვე ამ მოსმენის აუდიოჩანაწერის ფრაგმენტების პუბლიკაციის ფაქტით. ასე რომ, ფარული მოსმენებისა და ჩაწერების მეთოდებს სომხეთშიც კარგად იყენებენ.

2007 წლის 21 სექტემბერს, ათი წლის დუმილის შემდეგ, სომხეთის პირველი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი ყველასთვის მოულოდნელად კომპრომატებით ჩაერთო წინასაპრეზიდენტო ბრძოლაში. პირველად დარტყმა სერჟ სარქისიანს მიაყენა, – მან საკმაოდ ორაზროვნად განაცხადა: „1993 წელს, როცა სერჟი ქვეყნის თავდაცვის მინისტრად დავნიშნე, ყარაბაღში კი არ იბრძოდა, მოსკოვში იყო გაქცეული და იქ ერთობოდაო. ამით მან მეორე „ყოფილ ყარაბაღელს“, რობერტ ქოჩარიანს მიანიშნა, არ დაგავიწყდეს, შენც მე ჩამოგიყვანე და გიპატრონეო.

ყოფილი პრეზიდენტის ამ განცხადებამ სომხეთის დღევანდელი ხელისუფლების მხარდამჭერთა აღშფოთება გამოიწვია, – სერჟი მოსკოვში კი არ დასეირნობდა, არამედ იარაღი ჩამოჰქონდაო. ასე დადასტურდა კიდევ ერთხელ რუსეთის პირდაპირი მონაწილეობა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებში. 1996 წლიდან დაიწყო ფარული დაპირისპირება უფრო დაბალანსებული საგარეო პოლიტიკური კურსის მომხრე მაშინდელ პრეზიდენტ ტერ-პეტროსიანსა და მნიშვნელოვნად მოძლიერებულ, მკვეთრად პრორუსულ, ე.წ. მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანს (რომელსაც მხარს, ძირითადად, ყარაბაღის კლანი და პარტია „დაშნაკციუტუნი“ უჭერდა) შორის. ტერ-პეტროსიანი მაშინაც და ახლაც სომხეთის უფრო გაწონასწორებული საგარეო პოლიტიკური კურსისა და ყარაბაღის პრობლემის უფრო სამართლიანი მოგვარების მომხრეა, ვიდრე მისი ოპონენტი.

ფაქტია, თუ ამგვარად გაგრძელდა წინასაპრეზიდენტო დაპირისპირება, კიდევ ბევრ ძალზე საინტერესო სამხედრო-პოლიტიკურ საიდუმლოს შევიტყობთ სომხეთის უახლესი წარსულიდან. ამ ინფორმაციას გულმოდგინედ აგროვებენ და აანალიზებენ აზერბაიჯანის სპეცსამსახურები. ისე, არც საქართველოს სპეცსამსახურებს აწყენდათ ამ ინფორმაციის ანალიზი, – რუსული იარაღი, საწვავი და საბრძოლო დანაყოფები მაშინ ხომ საქართველოს ტერიტორიის გავლით ხვდებოდნენ სომხეთში. თუ რა ძალები ატარებდნენ რუსეთის პოლიტიკას საქართველოში, ცნობილია, მაგრამ ბოლომდე არ არიან შესწავლილი და გამოვლენილი მათი მემკვიდრეები.

*ბესიკ ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპეცსამსახურები კიბერსივრცეში

**გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან სულ უფრო და უფრო ხშირად იხმარება ტერმინები: კიბერთავდასხმა, ჰაკერი, კიბერშპიონაჟი, კიბერომები, კიბერტერორიზმი და ა.შ.**



დღეისათვის მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყანა იყენებს ინტერნეტის საინფორმაციო სივრცეს შპიონაჟისთვის. 2007 წელს სხვადასხვა ქვეყანამ მინიშნებით კი არ დაადანაშაულეს ერთმანეთი კიბერშპიონაჟში, არამედ პირდაპირ დაასახელეს, რომელი ქვეყნების სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ მათი სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურების საიტებზე ჰაკერულ თავდასხმებში.

ფაქტია, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა კიბერშპიონაჟის შემთხვევები და სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ინფორმაციულ სივრცეზე კიბერშეტევების რაოდენობა. შეტევების მთავარი მიზანი, როგორც წესი, არის სახელმწიფო სტრუქტურების (უპირველესად კი სამხედრო და სპეცსამსახურების) საინფორმაციო კომპიუტერული სისტემები.

2007 წლის ივლისში აშშ-ის თავდაცვის უწყების კომპიუტერები ჰაკერების თავდასხმის ობიექტი გახდა. პენტაგონში ამტკიცებენ, რომ ამ პროცესების უკან ჩინეთის სამხედრო დაზვერვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები (ანუ „სამხრეებიანი ჰაკერები") იდგნენ. გასული წლის სექტემბერში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში გეგმავს სპეციალური სამმართველოს შექმნას, რომელიც მხოლოდ კიბერსივრცეში ომების დაგეგმვით იქნება დაკავებული.

2007 წელს უმთავრესად სპეცსამსახურების მიერ ორგანიზებული კიბერშეტევები განხორციელდა გერმანიის ფინანსთა სამინისტროს კომპიუტერებზე, ავსტრიის, ახალი ზელანდიისა და ინდოეთის სამხედრო უწყებების კომპიუტერულ სისტემებზე. გასული წლის კიბერშეტევების მთავარი სამიზნე კი პატარა ესტონეთი იყო.

## როგორ იქცა ესტონეთი კიბერშეტევების პოლიგონად

პატარა და ამაყი ესტონეთისა და გიგანტი რუსეთის პოლიტიკური დაპირისპირება დავითისა და გოლიათის ბრძოლას წააგავდა. ეს ბრძოლა ესტონეთმა მოიგო, მაგრამ ამ მოვლენებში მთავარი მაინც სულ სხვა რამ იყო.

მოვლენები კი ასე ვითარდებოდა. 2007 წლის აპრილის ბოლოს და 8-9 მაისს ესტონეთი მასობრივი კიბერშეტევების ობიექტი გახდა. ესტონეთის თავდაცვის მინისტრმა იააკ აავიქსომ ეს ქვეყნის სატრანსპორტო არტერიების სრულ ბლოკადას შეადარა. ამ პერიოდში ესტონეთის საინფორმაციო ელექტრონულმა ქსელმა სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მილიონამდე კომპიუტერიდან ათი უმძლავრესი „დაბომბვა" მიიღო და გაითიშა. სპეციალისტების განცხადებით, ათი საათის მანძილზე წამში 90 მბ მოცულობის „ნაღმებმა", ანუ „იდიოტურმა" შეკითხვებმა და ინფორმაციამ ესტონეთის პრეზიდენტის აპარატის, პარლამენტის, პოლიტიკური პარტიებისა და ბანკების საფოსტო ყუთები გადაავსო და სერვერები გათიშა.

თითქმის ერთი თვის მანძილზე ესტონეთის საინფორმაციო სივრცეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული კომპიუტერებიდან უტევდნენ. 2007 წლის აპრილის ბოლოსვე გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ კიბერშეტევები დაკავშირებული იყო ტალინში საბჭოთა ჯარისკაცის ქანდაკების დემონტაჟთან და აქედან გამომდინარე, რუსეთთან. გავიხსენოთ, რა გაშმაგებით და ისტერიით შეხვდა რუსეთის ოფიციოზი ესტონეთის ამ გადაწყვეტილებას.

ესტონეთმა, როგორც ევროკავშირის და NATO-ს წევრმა ქვეყანამ,ამ ორგანიზაციებს დახმარებისთვის მიმართა. ტალინში ჩავიდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნის კომპიუტერული უსაფრთხოების ექსპერტები.

საზოგადოდ, ჰაკერების პატარ-პატარა ხულიგნობა უკვე ჩვეული მოვლენაა. გასულ წლებში მათ შეძლეს სხვადასხვა ქვეყნის თავდაცვის სამინისტროების, სპეცსამსახურების, საიდუმლო კვლევითი ცენტრებისა და სამეცნიერო ლაბორატორიების საიტებში მრავალგზის შეღწევა. უფრო ხშირია კომერციული ბანკების საიტების „გატეხა" და პატარა ფინანსური აფერის დატრიალება. ისრაელიც სისტემატურად განიცდის პალესტინელი ჰაკერების თავდასხმებს. რამდენიმე წლის წინ, როდესაც დანიის ერთ-ერთმა გაზეთმა მუჰამედზე კარიკატურები დაბეჭდა, ეს ქვეყანაც ისლამისტი კიბერტერორისტების შეტევის ობიექტი გახდა.

მიმდინარე წლის აპრილამდე არასოდეს ყოფილა, რომ ერთი ქვეყნის ელექტრონული სივრცის წინააღმდეგ გამოეყენებინა ვინმეს უზარმაზარი ფინანსური და ტექნიკური რესურსები. ზოგიერთი უცხოელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ მსოფლიოში პირველი დიდი კიბერომი ერთი სახელმწიფოს (კერძოდ, ესტონეთის) წინააღმდეგ ორგანიზებული იყო რუსეთის სპეცსამსახურების მიერ. ინტერნეტის ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, ამ პროცესში შემდგომ აქტიურად ჩაერთნენ სხვადასხვა ქვეყნის რუსი ეროვნების მოქალაქეები. კიბერტერორისტების მიერ შექმნილი და ინტერნეტით გავრცელებული სპეციალური პროგრამების საშუალებით კომპიუტერები „ზომბირებულ ყუთებად" იქცნენ და მფლობელებისგან დამოუკიდებლად ჰაკერების დავალებებს ასრულებდნენ.

კიბერშეტევების უკანასკნელი ტალღა 2007 წლის 18 მაისს დაფიქსირდა. ამის შემდეგ ესტონეთის ხელისუფლებამ დანაკარგის შეჯამება დაიწყო. თითქმის ერთი თვის მანძილზე დიდი შეფერხებით მუშაობდა ქვეყნის პრეზიდენტის, პრემიერ-მინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრის, პარლამენტის, სამინისტროების, ბანკებისა და წამყვანი გაზეთების საიტები.

ესტონეთის უდიდესი ბანკი — „ჰანსაბანკი“ იძულებული გახდა რამდენიმეჯერ ხანგრძლივად შეეჩერებინა კლიენტთა საბანკო ოპერაციების ინტერნეტით მომსახურება. ამ პერიოდში მისმა ზარალმა რამდენიმე მილიონ დოლარს გადააჭარბა. ესტონეთის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები თითქმის ერთი კვირის მანძილზე ელექტრონული ფოსტის გარეშე დარჩნენ.

მდგომარეობის სერიოზულობიდან გამომდინარე, ესტონეთის ხელისუფლებამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობასთან დააყენა საკითხი, რომ კიბერტერორიზმი და ჰაკერების ორგანიზებული შეტევები გაუთანაბრდეს NATO-ს წევრი ქვეყნის მიმართ სამხედრო აგრესიას. ეს მართლაც ძალზე რთული საკითხია, რომელიც მრავალმხრივ შესწავლას მოითხოვს.

საერთაშორისო ექსპერტებმა რუსეთის ხელისუფლების შეკვეთების შემსრულებლად დაასახელეს ჰაკერული ჯგუფი Zelatin („ჟელატინი“), ხოლო რუს ჰაკერ ვინმე ალექსეიზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

საინტერესოა, რომ ესტონეთის წინააღმდეგ კიბერშეტევებში აქტიურად მონაწილეობდნენ სეპარატისტულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჰაკერებიც. ერთ-ერთმა მათგანმა, აუღიარებელი დნესტრისპირეთის რესპუბლიკის მკვიდრმა კონსტანტინ გოლოსკოკოვმა ეს დანაშაული კი არ დამალა, პირიქით, ამაყად აღიარა. ევროკავშირის კანონმდებლობით, ჰაკერების დაპატიმრება და პასუხისგებაში მიცემაა გათვალისწინებული, მაგრამ ვინ დააპატიმრებს დნესტრისპირეთში, აფხაზეთში ან ცხინვალში მცხოვრებ ჰაკერს, რომელიც მოსკოვის დავალებას ასრულებს.

## XXI საუკუნის უდიდესი საფრთხე – კიბერშპიონაჟი

უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებამ, რამდენადაც პარადოქსული უნდა იყოს, უფრო გააიოლა და გაამარტივა ტერორისტების საქმიანობა. დღეს მსოფლიო ელექტრონული საინფორმაციო ქსელი უკვე გახდა უდიდესი პოტენციური საფრთხის მატარებელი ნებისმიერი ქვეყნისთვის. წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როდესაც სპეცსამსახურები ინტერნეტს მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოსაპოვებლად და დეზინფორმაციის გასავრცელებლად იყენებდნენ. ამჟამად კიბერსივრცე სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ფარული დაპირისპირებისა და ბრძოლის არენადაა ქცეული.

ცნობილია, რომ კიბერიარაღი და კიბერსივრცეში ომების წარმოების სცენარები უკვე დამუშავებული აქვთ აშშ-ს, რუსეთსა და ჩინეთს. ბუნებრივია, ეს სია არასრულია, რადგანაც ბევრი სახელმწიფო ცდილობს მაქსიმალურად გაასაიდუმლოს მიღწევები ამ სფეროში და დროზე ადრე არ გამჟღავნოს თავისი პოტენციალი.

დღეს ინტერნეტის გარეშე წარმოუდგენელია არა მარტო ჩვეულებრივი მოქალაქეების ცხოვრება (საქმიანი მიმოწერა, გადასახადების გადახდა, ბანკთან ანგარიშსწორება და ა.შ.), არამედ სახელმწიფო აპარატის ნორმალური ფუნქციონირება. ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში პარლამენტისა და მთავრობის სხდომები ინტერნეტით ღია რეჟიმში გადაიცემა.

ამავე დროს ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ქსელის გარეშე შეუძლებელია სატრანსპორტო, თავდაცვის, კავშირგაბმულობის, საბანკო-საფინანსო და ა.შ. უწყებების ნორმალური მუშაობა. სწორედ ინტერნეტის შეუცვლელობამ აქცია კიბერსივრცე სპეცსამსახურებისა და ტერორისტების სამიზნედ.

ესტონეთის ზარალი გაცილებით დიდი იქნებოდა, რომ ქვეყანაში უკვე არ არსებულიყო სწრაფი რეაგირების კომპიუტერული ჯგუფი, სადაც გაერთიანებული არიან როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციული და არასამთავრობო სტრუქტურების კომპიუტერული უსაფრთხოების ექსპერტები. ესტონეთის ხელისუფლება ამ საქმეს ძალზე სერიოზულად მიუდგა. 2007 წლის ნოემბერში ესტონეთის მთავრობამ მოიწონა თავდაცვის მინისტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი „ესტონეთის კიბერუსაფრთხოების სტრატეგია 2008-2013 წლებში“. მისი მიზანია მოამზადოს ქვეყანა კიბერთავდასხმების თავიდან ასაცილებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს სტრატეგია თავდაცვის სამინისტრომ მოამზადა, გათვალისწინებულია სხვა სახელმწიფო დაწესებულებების (საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, ეკონომიკის, მეცნიერებისა და განათლების სამინისტროების) და კომერციული სტრუქტურების აქტიური მონაწილეობა ქვეყნის კიბერსივრცის დაცვაში.

ამ დოკუმენტის საფუძველზე გათვალისწინებულია კიბერთავდაცვის NATO-ს საერთაშორისო ცენტრის შექმნა, რომელშიც მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვეს გერმანიამ, ესპანეთმა, იტალიამ, ბულგარეთმა, აშშ-მა, პოლონეთმა და ლიტვამ. ამ ქვეყნების ექსპერტები ერთობლივად იმუშავებენ კიბერშეტევების მოსაგერიებლად.

2007 წლის 26 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 62-ე სესიაზე ესტონეთის პრეზიდენტმა ტომას-ჰენდრიკ ილვესმა მოითხოვა მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის სავალდებულო კიბერსივრცის მარეგულირებელი კანონის მიღება.

კიბერშპიონაჟი სამართლიანადაა მიჩნეული XXI საუკუნის ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხედ. კიბერთავდასხმების მოგერიება და ინფორმაციული სივრცის დაცვა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების განუყოფელი ნაწილია. ამიტომაც ბევრ ქვეყანაში უკვე იღებენ ზომებს. მათ უკვე შემუშავებული აქვთ კომპიუტერული უსაფრთხოების კონცეფცია და კონკრეტული პროგრამა.

თუ ადრე ჰაკერები იოლად გამდიდრების მსურველი ავანტიურისტები ან სათვალიანი ახალგაზრდა გენიოსები იყვნენ, დღეს კომპიუტერული ომები და მისგან თავდაცვა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების აუცილებელი კომპონენტია.

სახელმწიფო დაფინანსებით ასეთივე ჯგუფია შექმნილი ისრაელსა და კიდევ ბევრ ქვეყანაში. ჩვენთან კი, სამწუხაროდ, ეს ჯერ შორეულია პერსპექტივაა.

*ბესიკ ალადაშვილი*



საქართველოს ისტორიის ოქროს ხანის დასასრულად ისტორიკოსები სამართლიანად მიიჩნევენ ხორეზმელთა ბატონობის იმ ხუთწლიან პერიოდს, როდესაც მტერმა მოახერხა ქვეყნის დედაქალაქისა და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რეგიონების ხელთ გდება. ხორეზმელებს მონღოლები მოჰყვნენ და მთელი XIII საუკუნე ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ეპოქად იქცა. ქართული სახელმწიფოებრიობისათვის ამ მძიმე პერიოდის ათვლის წერტილი სწორედ გარნისის ბრძოლაზე მოდის, როდესაც საქართველოს სამხედრო ძალებმა დიდი მარცხი იწვნიეს.



# გარნისის ბრძოლა

ბრძოლის განხილვამდე ორიოდ სიტყვით შევეხოთ მის გამომწვევ მიზეზებს.

1218 წელს ხორეზმელთა მიერ მონღოლეთიდან წამოსული ვაჭრების ამოწყვეტა ჩინგიზ-ხანისთვის ხორეზმისა და, საერთოდ, დასავლეთით ექსპანსიის დაწყების საბაბი გახდა.

1219 წელს ჩინგიზ-ხანმა ყურულთაი მოიწვია და ხორეზმზე ლაშქრობის სამზადისი ბრძანა. სამხედრო მოქმედებები შემოდგომის პირას დაიწყო. მონღოლებმა პირველი დარტყმა ქალაქ ოთრარზე მიიტანეს. მისი აღების შემდეგ კი ბუხარასა და სამარყანდს შემოარტყეს ალყა. ხორეზმშაჰმა მოჰამედმა ვერ მოახერხა მონღოლების წინააღმდეგ სრული სამხედრო მობილიზაცია. მან მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, როდესაც ცალკეული ქალაქის გამაგრებას მიჰყო ხელი. ფაქტობრივად, ჩინგიზ-ხანმა ნაწილ-ნაწილ მოახერხა ხორეზმის სამხედრო პოტენციალის განადგურება. მონღოლები ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ბუხარის აღების შემდეგ მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა დააღწია თავი მონღოლთა ტყვეობას. ირანელი ისტორიკოსი ჯუვეინი ერთ მეტად საინტერესო ამბავს მოგვითხრობს: ერთი ბუხარელი ხორასანში გაქცეულა. თურმე ლტოლვილს უამრავ შეკითხვას უსვამდნენ იმის შესახებ, რა მოიმოქმედეს მონღოლებმა მის ქალაქში. ბუხარელის პასუხი ლაკონიური, მაგრამ ყოვლისმომცველი იყო: „მოვიდნენ, მოთხარეს, გადაწვეს, დახოცეს, წაიღეს და წავიდნენ“. ასეთი იყო რეალური სურათი მონღოლთა თარეშისა. სულთანი მუჰამედი და მისი ვაჟი ჯალალედინი იძულებული გახდნენ, ირანში გაქცეულიყვნენ. ჩინგიზ-ხანმა თავისი ორი სარდალი ჯებე და სუბუდაი დაადევნა ხორეზმშაჰს. 1220 წელს მუჰამედი გარდაიცვალა და მის დაშლილ სამეფოს სათავეში ჯალალედინი ჩაუდგა.

მან მოახერხა ირანსა და ერაყში გაბატონება. ანტიმონღოლურ კოალიციაში რამდენიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული გაერთიანდა. ჩინგიზ-ხანის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებამდე ჯალალედინმა საქართველოს სამეფოს დამორჩილება გადაწყვიტა. იმ შემთხვევაში, თუ ხორეზმშაჰი მოახერხებდა საქართველოს დაჩოქებას, კავკასიის მაჰმადიანური სამყარო უფრო აქტიურად ჩაერთვებოდა ანტიმონღოლურ მოძრაობაში. ჩრდილოეთი ირანიდან ჯალალედინმა საქართველოს მომიჯნავე ტერიტორიების დარბევა დაიწყო. ბუნებრივია, საქართველოს სამეფო კარი არ დაუშვებდა მარბიელ ლაშქრობებს და პასუხმაც არ დააყოვნა. საქართველოს სამეფო დარბაზმა დიდი სამხედრო კამპანიის დაწყება გადაწყვიტა. 1225 წლის აგვისტოში ადარბადაგანიდან წამოსული ჯალალედინის დიდი ლაშქარი საქართველოში შემოიჭრა და დვინის მიდამოებში დაბანაკდა. რუსუდან მეფის ბრძანებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მალესმრბოლნი დაიგზავნენ. სამეფო კარმა მთავარსარდლად ივანე ათაბაგი განაწესა. რუსუდანმა მას უბოძა „დროშა სვიანი“. ქართველი ლაშქრის რაოდენობის შესახებ ჩვენამდე სხვადასხვა ცნობაა მოღწეული. ჯალალედინის ბიოგრაფ ალ-ნასავის ცნობით, ივანე ათაბაგის ლაშქარი 60000 კაცს ითვლიდა. ამასვე იმეორებს სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ეპისკოპოსი. იბნ ალ-ასირის მითითებით კი ქართველები ბრძოლის ველზე 70000 ყოფილან. ეს ცნობები მეტწილად ახლოსაა სინამდვილესთან. XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს თავისუფლად შეეძლო გამოეყვანა 80-90000 მეომარი. როგორც ჩანს, ქართველებს რესურსი დაუტოვებიათ და ჯალალედინის წინააღმდეგ 60-70000 მეომრის მობილიზაცია მოუხდენიათ.

ჯალალედინის არმია გაცილებით მრავალრიცხოვანი ჩანს. ჟამთააღმწერლის ცნობით, ხორეზმშაჰს 140000 მეომარი დაუძრავს საქართველოსკენ. სომეხი ისტორიკოსების კირაკოს განძაკეცისა და ვარდან არეველცის მითითებით, მაჰმადიანური კოალიცია 200000 კაცს მოითვლიდა. ამ ცნობების ანალიზისას ერთი კითხვა იბადება: შეეძლო ხორეზმიდან დევნილ ჯალალედინს ამხელა არმიის მობილიზება? ამ პერიოდისათვის იგი აკონტროლებდა ირანის მნიშვნელოვან ნაწილს. ამასთან, საქართველოს წინააღმდეგ ჯალალედინის მიერ გამოცხადებულ საღვთო ომში მონაწილეობდნენ ერაყელებიც. ამიტომაც მართლაც შესაძლებელია, ხორეზმშაჰს მოეგროვებინა 140000-კაციანი ლაშქარი. ალ-ნასავი იმასაც დასძენს, რომ ლაშქრის დიდი ნაწილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში გამოლაშქრებამდე ხორეზმშაჰს უკვე დათხოვნილი ჰყავდა. ეს აშკარად გადაჭარბებული უნდა იყოს, რამეთუ კავკასიაში და, საერთოდ, მთელ მახლობელ აღმოსავლეთში მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ჯალალედინი მოუმზადებლად და ნაუცბადევად არ წამოვიდოდა. და რომ ეს მართალია, ჩანს იმავე ალ-ნასავის ერთი ცნობიდან; ჯალალედინს გზაზე ავანგარდი შეეგება, რომელმაც აცნობა კიდეც მას ქართველთა ადგილსამყოფელი. გამოდის, ხორეზმშაჰს ჯარის ნაწილი ადრევე გამოუგზავნია. ასეთ ვითარებაში ლაშქრის დიდი ნაწილის დათხოვნა, როგორც ამას ალ-ნასავი გვეუბნება, წარმოუდგენელია.

მებრძოლ მხარეთაგან რომელი მივიდა პირველი ბრძოლის ველზე?

ქართული წყაროს მიხედვით, გარნისში ჯერ ხორეზმელები, ხოლო მოგვიანებით ქართველები დაბანაკებულან. ჯალალედინის ბიოგრაფი კი პირიქით წერს. ქართული, სომხური და არაბული წყაროების შეჯერებით ვითარება ასე წარმოგვიდგება: დვინის ქვეყნის დარბევა ჯალალედინს 1225 წლის აგვისტოს დამდეგს უნდა დაიწყო. მტერი ამ საქმით იყო დაკავებული, როდესაც გარნისში ქართველები მივიდნენ. ჯალალედინმა მთელი ლაშქრის მობილიზაცია მოახდინა და გარნისში დაბანაკებული ივანე ათაბაგის წინააღმდეგ გაილაშქრა.

ქართველთა ლაშქრის განლაგება ასეთი იყო: წინამბრძოლნი იყვნენ მესხები, რომელთაც შალვა და ივანე ახალციხელები სარდლობდნენ. მემარჯვენე ფრთაზე დასავლეთ საქართველოდან გამოსული მეომრები, „იმერნი" იდგნენ, ხოლო მარცხენა მხარეს აღმოსავლეთ საქართველოს ლაშქარი, — „ამერნი ". ჯალალედინის ცენტრს მხედრობა ქმნიდა, მარცხენა ფრთას სულთნის ძმა ღიას-ედ-დინი სარდლობდა. მარჯვენა ფლანგზე ჯალალედინმა მშვილდოსნები განაწესა. გარნისში მისვლისთანავე ჯალალედინი მიხვდა, რომ ქართველები რატომღაც აყოვნებდნენ ბრძოლის დაწყებას. ალ-ნასავის ეს ცნობა შეიძლება სიმართლეს შეეფერებოდეს კიდეც. გარნისში ქართველთა ლაშქარი უნდა ჩასულიყო ჩრდილოეთიდან ან დასავლეთიდან, იმ ვიწრო ხევებითა და გადასასვლელებით, რომლებიც ძნელად გადასალახავია. სწორედ ამიტომ, როგორც ჩანს, ჯარის ერთბაშად თავმოყრა გარნისში ვერ მოხერხდა. ივანე ათაბაგი დროის გაყვანის ტაქტიკას დაადგა. მას მომგებიანი პოზიცია ეკავა. ქართველთა ძირითადი ნაწილები შემაღლებულ ადგილზე იდგნენ. მიუხედავად ამისა, ჯალალედინმა თავის მეომრებს მეორე დღეს შეტევაზე გადასვლა უბრძანა. ალ-ნასავი მოგვითხრობს: „მთელი ის დღე მას (ჯალალედინს) ეგონა, რომ ქართველები ჩამოვიდოდნენ (მთებიდან) საბრძოლველად, მაგრამ (ისინი) არ აპირებდნენ ჩამოსვლას. როდესაც მზე გადაიხარა, სულთანს პატარა კარავი გაუშალეს ცენტრის უკან და მან იქ გაატარა ღამე, ხანებსა და ამირებს კი უბრძანა რიგრიგობით შეეცვალათ ერთმანეთი განთიადამდე... როდესაც დილა დადგა, მან მოიწვია ისინი და უთხრა: „მტერმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა ბრძოლას აარიდოს თავი და შემოტევის მაგიერ ცდილობს საქმის გაჭინაურებას. ჩვენ გადავწყვიტეთ თავზე დავესხათ მათ, ყველა მხრიდან შევუტიოთ, მაგრამ თუ ისინი შემოგვიტევენ, მაშინ უნდა დავასწროთ და ისრების სეტყვით არ მივცეთ ჩამოსვლის საშვალება"... ყველაზე ადრე ბრძოლაში ჩაება სულთნის მარცხენა ფლანგი, სადაც იდგა მისი ძმა ღიას-ედ-დინი, ურხანი, იილან ტაისი და სხვა ამირები".

პირველი ბრძოლა ქართველთა წინამავალმა მიიღო. როგორც ითქვა, ამ სამხედრო ნაწილებს შალვა და ივანე ახალციხელები სარდლობდნენ.

ბრძოლა შენივთდა.

ამასობაში შალვამ და ივანემ ქართველთა არმიის სარდალ ივანე ათაბაგს რამ-



ახტალის მონასტერი, სადაც განისვენებს ივანე მხარგრძელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენჯერმე გაუგზავნეს მოციქული, რათა მას ქართველთა არმიის ძირითადი ძალები დაეძრა მტრის წინააღმდეგ, მაგრამ დახმარება არსაიდან ჩანდა. გარნისის მაღლობებზე საქართველოს არმიის სამხედრო ნაწილები გაუნძრევლად იდგნენ.

ჯალალედინის არმიამ მესხ წინამბრძოლებს ალყა შემოარტყა. მიუხედავად სიმცირისა, ქართველები მედგრად ეკვეთნენ მტერს. არც ამ კრიტიკულ მომენტში შეუწუხებია თავი ივანე ათაბაგს ღვთის ანაბარად დარჩენილი ქართველი მეომრების მისაშველებლად, მაგრამ ყველაზე უცნაური ჯერ კიდევ წინ იყო. სწორედ ამ დროს გარნისის ველზე მოულოდნელი რამ მოხდა. ამას წინასწარ ვერავინ განჭვრეტდა. ეს ამბავი დღემდე განსჯის საგანია. უეცრად ივანე მხარგრძელის ბრძანებით საქართველოს არმიამ ზურგი აქცია ბრძოლის ველზე მყოფ თანამემამულეებს და უკან დახევა დაიწყო. სომეხი ისტორიკოსი კირაკოს განძაკეცი ასე აღწერს ბრძოლის ამ დეტალს: „სულთანი დაიძრა თავისი ჯარით და დადგა მათ (ქართველთა) წინაშე. იბერთა ერთ-ერთმა დიდმა მთავართაგანმა, სახელად შალვამ და მისმა ძმამ ივანემ... დაინახეს რა ეს, უთხრეს თავისიანებს: „თქვენ დარჩით და დაიცადეთ, ჩვენ კი ჩავებმებით ომში. თუ მოვახერხებთ და თუნდაც მათი მცირე ნაწილი მაინც უკუვაქციეთ, მაშინ გამარჯვება ჩვენკენაა და თქვენც მაშინ მოგვიახლოვდით. და თუ ნახეთ, რომ ისინი იმარჯვებენ, მაშინ გაიქეცით და თავს უშველეთ.

დაიწყეს სულთნის არმიის განადგურება, მაგრამ იბერთა ჯარმა არ მიაქცია ამას ყურადღება და გაიქცნენ". მემატიანის ცნობა აშკარად არადამაჯერებელია. ასეთი შეთანხმება ქართველ სარდლებს შორის არ იარსებებდა. ომის დროს წინამავალის ფუნქციაა, შეაჩეროს ან პირველი იერიში მიიტანოს მოწინააღმდეგზე. წინამავალი მთლიან ბრძოლას არასდროს იღებს. ფლანგებიდან შეტევა პარალელურ რეჟიმში წარმოებს.

მთავარსარდლისგან მიტოვებულმა ქართველთა რაზმმა თანდათან უკან დახევა დაიწყო. უთანასწორო ბრძოლაში შალვა და ივანე ახალციხელებს ცხენები მოუკლეს. მათ ქვეითად განაგრძეს ბრძოლა, მაგრამ მტერი ყოველმხრიდან უტევდა ქართველ მეომრებს. მალე შალვასა და ივანეს ხმლებიც შემოემტვრათ. ჟამთააღმწერელი ამ ფაქტს ასე აღწერს: „ხრმალნიცა ახალციხელთანი გატყდეს ჩაბალახსა ზედა". ამ სიტყვებში საოცარი ტრაგიზმი ჩანს, — ეს ერთი წინადადება მთელი სიცხადით წარმოგვიდგენს ბრძოლის ველზე დატრიალებულ უბედურებას. თანატომელთაგან მიტოვებულ გმირებს ვადაში გადამტვრეული ხმლებიღა შერჩენოდათ. ღალატით გამწარებულებს უკან დასახევი გზაც მოჭრილი ჰქონდათ. ნაომარ ვაჟკაცებს ომი სწყუროდათ. ის, რაც გარნისში მოხდა, ამას ომს, ბრძოლას ვერ დავარქმევთ. რამდენიმე ათასი ქართველი მეომარი, სარდლისაგან ბედის ანაბარად მიტოვებული, მარტო ცდილობდა ათიათასობით მაჰმადიანის მოგერიებას. ქართულ ფოლკლორში შალვა ახალციხელის გმირობაზე ლექსების მთელი ციკლია შექმნილი. ერთ-ერთ ლექსში, რომლის სახელწოდებაა „შალვა შურისა მძებნელი," ასეთი სიტყვებია:

„მთას ქორებულად ჰკიოდა,  
მე მონადირე მეგონა,  
მას თურმე გული სტკიოდა,  
წაიგდეს ვიწრო ხევშია!  
მთა-ბარი სუ ზედ ხვიოდა,  
გულს ერჭვა თეთრი ისარი,  
კილოზე სისხლი სდიოდა,  
თავის თავს არა სჯავრობდა,  
თავისს სწორებსა სჩიოდა,  
ორასი თურქის მომკვლელი  
უომრობასა სჩიოდა... "

ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების ამ ნიმუშში მთელი სიცხადითაა ნაჩვენები ქართველი სარდლის სულიერი მდგომარეობა. ივანე ათაბაგის გაუტანლობამ და უგუნურმა საქციელმა ქართველებს ომის საშუალება არ მისცა. სომეხი ისტორიკოსი სტეფანოს ეპისკოპოსი საინტერესო მინიშნებას აკეთებს: „დიდმა მხედართმთავარმა ივანემ გამოიყვანა (ხორეზმშაჰის წინააღმდეგ) 60 ათასი მეომარი, მაგრამ ისე, რომ ბრძოლა არ მიუღიათ ქალაქ გარნისის მიდამოებში... ისინი გაიქცნენ". ადვილი სათქმელია, ბრძოლა არ მიუღიათო. რამდენიმე ათასმა მესხმა ჯალალედინის არმიას დიდი ზიანი მიაყენა. მიუხედავად ამისა, სომეხი ისტორიკოსი მაინც მართალია, — ქართველებმა ბრძოლა არ მიიღეს. უკან დახევის შესახებ სარდლის გადაწყვეტილებას დაეთანხმნენ სხვა მხედართმთავრებიც. ასე რომ, ივანე ათაბაგთან ერთად ისინიც ინაწილებენ გარნისში მომხდარ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას.

ჯალალედინის მეომრებმა ალყა შემოარტყეს შალვა ახალციხელს და შეიპყრეს. ივანემ მოასწრო და კლდეს შეაფარა თავი. მტრის მახვილისაგან გადარჩენილი ივანე კლდეზე ასვლისას თანამებრძოლისგან შემთხვევით დაგორებულმა ქვამ იმსხვერპლა.

შალვა სასწრაფოდ წარუდგინეს ჯალალედინს. ამ უკანასკნელმა პატივით მიიღო ქართველი სარდალი და დააჯილდოვა კიდეც. რამდენიმე თვის შემდეგ შალვა ახალციხელი ჯალალედინმა სიკვდილით დასაჯა. ქართველი მემატიანის სიტყვით, შალვა მოიკლა სულთნის მიერ „არადატევებისათვის სჯულისა". უცხოელი ავტორები სხვა ვერსიას გვთავაზობენ: შალვას ფარულად კავშირი ჰქონია გაბმული საქართველოს სამეფო კართან და მას ხვარაზმშაჰის გეგმებს აწვდიდა.

არავინ იცოდა, რა ედო საფუძვლად ივანე მხარგრძელის საქციელს. ქართველი მემატიანე ამას სარდლის ახალციხელებისადმი შურით ხსნის. ფაქტი ერთია, — ივანემ გაწირა წინამბრძოლნი. უცხოური წყაროების თანახმად, ქართველთა არმიამ ძირითადი დანაკლისი უკან დახევისას განიცადა, როდესაც რამდენიმე ათასი მეომარი ხევებში ჩაიჩეხა. იბნ ალ-ასირის ცნობით, გარნისში 20 ათასი ქართველი დაღუპულა. ალ-ნასავი კი ასახელებს 4 ათასს. ვფიქრობთ, ეს ცნობა უფრო დამაჯერებელია, რამეთუ ალ-ნასავი უშუალო თვითმხილველი იყო მოვლენებისა.

დასასრულ, ერთ კითხვაზე გავცეთ პასუხი, რომელიც იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც გარნისში მომხდარ მოვლენებზეც შეგვიქმნის წარმოდგენას. იყო კი ივანე მხარგრძელი დიდი მხედართმთავარი, როგორც ამას თანამედროვენი ამბობენ, თუ მასზე ასეთი წარმოდგენა ხელოვნულად შექმნილი მითი იყო?

ამ ადამიანის ბიოგრაფია მეტად საინტერესოა. ის ყოველთავის ძმის, ზაქარია მხარგრძელის ჩრდილქვეშ იდგა. ერთი რამ ნამდვილად ჰქონდა ივანე მხარგრძელს, პოლიტიკოსისათვის ყველაზე მთავარი, დროის შეგრძნება. ძმისაგან განსხვავებით, ივანე მართლმადიდებლად მოინათლა, რამაც მისი პოზიცია სამეფო კარზე უფრო განამტკიცა. შამქორში ვაჟკაცურად იბრძოდა ივანე, ყოველ შემთხვევაში, ამას გვამცნობს მემატიანე. თამარის დროინდელი ყველა დიდი ომის თანამონაწილე იყო და კარგი სამხედრო რეპუტაციით სარგებლობდა, მაგრამ დამოუკიდებლად ჩატარებულ სამხედრო კამპანიებში თითქმის ყველგან მარცხი განიცადა (აქ არ იგულისხმება მთიულთა აჯანყების ჩაქრობა. დიდი სამხედრო შეტაკება ამ დროს არ მომხდარა). ხლათის გარემოცვისას, მაშინ როცა ხლათელები დანებებას აპირებდნენ, ივანე მხარგრძელმა ქალაქის კედლების დათვალიერება განიზრახა. შემოვლის დროს ცხენს ფეხი თხრილში ჩაუვარდა და ივანე გადმოაგდო. არაბი წყაროები იმასაც წერენ, რომ ამ დროს ათაბაგი კარგა გვარიანად ყოფილა ნასვამი და თანაც მხოლოდ მცირე ამალა ახლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხლათელებმა ივანე შეიპყრეს. ამ ინციდენტის შემდეგ ხლათის შემოერთება ვერ მოხერხდა. ივანე იძულებული იყო, თავისი ქალიშვილი თამთა გაეგზავნა სულთნისთვის ცოლად.

ლაშა-გიორგის დროს, მონღოლთა შემოსევისას, საგიმის ველზე ივანე ქართველთა ლაშქრის მარცხენა ფლანგს სარდლობდა. მტერმა მისი უკუქცევა მოახერხა, ხოლო ივანე თბილისში გამოიქცა. გარნისში დამარცხებაც მის კისერზეა. სწორედ ასეთი სამხედრო გამოცდილების კაცი სარდლობდა ქართველთა ლაშქარს ჯალალედინის წინააღმდეგ, მაგრამ ქართველი მემატიანე, რომელიც ივანეს გაკიცხვას არ ერიდება, არაფერს ამბობს მის სამხედრო გამოცდილების გამო. ის რატომღაც აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ივანემ ძმები ახალციხელები შურის გამო მიატოვა ბრძოლის ველზე. რა უნდა ყოფილიყო ივანე მხარგრძელის შურის მიზეზი? ის ქვეყანაში მეორე კაცი და მისი რეალური გამგებელი იყო. აქ შური სხვაგვარად უნდა გავიგოთ. თამარის დროინდელი მხედართმთავრებიდან დარჩენილი იყვნენ შალვა და ივანე ახალციხელები. თვითონ ივანე მხარგრძელი, როგორც მემატიანე დასძენს, „მას ჟამსა მიმხცოვნებულ იყო“. ივანეს შემდეგ სრულიად ბუნებრივია ქვეყნის სამხედრო უწყების სათავეში მხარგრძელების მაგიერ ძმები ახალციხელები მოსულიყვნენ. ძმებმა ზაქარია და ივანე მხარგრძელებმაც ერთად დაიწყეს კარიერა, შალვა და ივანეც ერთად იხსენიებიან. შეფარული კონკურენცია ყოველთვის იარსებებდა ძმების ამ ორ ტანდემს შორის, მაგრამ ზაქარია სანამ ცოცხალი იყო,

ჯალალედინის მებრძოლთა მიერ მდინარე ინდის გადალახვა



მხარგრძელთა პოზიციას სამეფო კარზე არავინ ემუქრებოდა. ზაქარიას გარდაცვალების შემდეგ ივანე ათაბაგი ხდება, თუმცაღა ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობაც მან შეითავსა.

ამ დროისათვის საქართველოში პოლიტიკური კრიზისი უკვე ჩნდება. პოლიტიკური კრიზისი არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა მაინცდამაინც დამარცხებული უნდა იყოს, ანდა აუცილებელი, რომ შინაომი მძვინვარებდეს. თვით თამარის ეპოქაშიც კი, როდესაც ქვეყანა განვითარების ზენიტშია, შეიძლება დავინახოთ ის ელემენტები, რომელმაც ქვეყანა მალე მიიყვანა კრიზისამდე. თუნდაც ავიღოთ ივანეს დანიშვნა ათაბაგად. ერთი კაცისთვის შეიქმნა თანამდებობა, რომელიც საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა საქართველოში დამკვიდრებულ ცენტრალური ხელისუფლების მოწყობას. ამასთან, თამარის გარდაცვალებამდე და ლაშა-გიორგის დროს ივანე მხარგრძელი ათაბაგობასთან ერთად ამირსპასალარიცაა. თავისი ძმისშვილის მცირეწლოვანებისას, როგორც ჩანს, მას შეთავსებული უნდა ჰქონოდა მანდატურთუხუცესობაც. მოგვიანებით ამირსპასალარობა მან შვილს ავაგ-სარგისს გადაულოცა, მაგრამ ის ნომინალურად იქნებოდა ამ სახელის მფლობელი. რეალურად, სამხედრო უწყებას ივანე განაგებდა. როგორც ვხედავთ, მხცოვანი ვეზირის გეგმები შორსმიმავალი ყოფილა. ფაქტობრივად, ცდილობს, თავისი მემკვიდრეების მომავლის უზრუნველყოფას. ზაქარიას შტოს მანდატურთუხუცესობა დაუმკვიდრდა. ივანეს შვილი ჯერ ამირსპასალარია, ხოლო მამის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ათაბაგობასაც მიიღებს. ერთადერთი პრობლემა ის იყო, რომ როგორც შანშე ზაქარიას ძე, ასევე ავაგ-სარგისი ახალგაზრდები იყვნენ. ივანე მხარგრძელის გარდაცვალების შემდეგ კი, როგორც ითქვა, ამირსპასალარობა და მანდატურთუხუცესობა, შესაძლოა, ახალციხელებისთვის გადაეცათ. ყველაზე მეტად სწორედ ისინი იმსახურებდნენ ამ თანამდებობებს. მოვლენების ასეთ განვითარებას, როგორც ჩანს, ელოდა ივანე ათაბაგი და როგორც გამოცდილ პოლიტიკოსს შეშვენის, ერთი ხელის მოსმით მოიშორა საშიში კონკურენტები. სამაგიეროდ, თავის ინტრიგას ქვეყანა გადააყოლა.

გარნისის დამარცხების შემდეგ რამდენიმე თვეში ჯალალედინმა თბილისიც აიღო და საქართველოს უძლეველობის მითი სამუდამოდ დაამსხვრია.

*ჯაბა სამუშია*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურქული „კობრა" დასაზვერავად და ტანკების ასაფეთქებლადაც...

თურქულად შეჯავშნული ამერიკული „ჰამერი"



**ამერიკელები ერაყის ქუჩებში მიღებული ტრაგიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, მხოლოდ ახლა ხვდებიან, რომ მათი ასე ნაქები HMMWV, იგივე „ჰამერი", ნაკლებდაცულია თვითნაკეთი ბომბების აფეთქებისგან.**

ერაყში სამშვიდობო მისიით მყოფმა ქართული სამხედრო კონტინგენტის წევრებმა ბოლო ორი წლის განმავლობაში, სამწუხაროდ, რამდენჯერმე გამოცადეს, რას ნიშნავს „ჰამერის" გვერდით ბომბის აფეთქება. ღმერთმა დაგვიფარა და აფეთქებებს ქართველი სამხედროები არ უმსხვერპლია, მხოლოდ მძიმედ დაიჭრნენ, „ჰამერები" კი განადგურდა.

თურქმა სამხედროებმა ეს საშიშროება, რასაც გზების სიახლოვეს დამონტაჟებული თვითნაკეთი თუ ქარხნული ასაფეთქებელი მოწყობილობების აფეთქებას მოჰყვება, ჯერ კიდევ 15 წლის წინ განჭვრიტეს. შესაძლოა, იმიტომაც, რომ ქურთი ტერორისტები ჯერ კიდევ მაშინ აფეთქებდნენ თურქების სამხედრო პატრულების მანქანებს.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში თურქეთის არმიამ კომპანია OTOKAR OTOBUS-ს შეუკვეთა ამერიკული „ჰამერის" ბაზაზე შეჯავშნული სადაზვერვო მანქანის შექმნა.

1997 წელს ახალი ჯავშნიანი სადაზვერვო მანქანის (რომელსაც Cobra შეარქვეს) პირველი ხუთი ეგზემპლარი თურქეთის არმიამ გამოსაცდელად მიიღო. „კობრაში" გამოყენებულ იქნა როგორც ამერიკული „ჰამერის", ისე ფრანგული ჯავშანტრანსპორტიორის VBL-ის კონსტრუქციული იდეები.

6,5 ტონა მასის მქონე სადაზვერვო ჯავშანმანქანა მობილური გამოვიდა, მისი ტრანსპორტირება შეიძლებოდა როგორც თვითმფრინავებით, ისე ზოგიერთი მძიმე შვეულმფრენითაც. „კობრას" მდინარის გადალახვა ცურვით შეუძლია, რის საშუალებასაც მისი ჯავშნიანი და ჰერმეტული კორპუსის ფორმა იძლევა.

„კობრას" კორპუსის მარცხნივ, მარჯვნივ და უკან კარებია დატანებული. მისი ეკიპაჟი შეიძლება შედგებოდეს სამი კაცისგან (მძღოლი, მეთაური და საბრძოლო მოდულის ოპერატორი) ან 12-კაციანი დესანტისგან (მოდიფიკაციების მიხედვით).

თურქული „კობრას" წარმატება იმანაც განაპირობა, რომ მის კონსტრუქციაში ამერიკული „ჰამერის" ბევრი დეტალია გამოყენებული. „ჰამერები" კი ფართოდ იყიდება მთელ მსოფლიოში, შესაბამისად, არც თურქული „კობრების" რემონტია გაძნელებული ამა თუ იმ ქვეყნის არმიაში, რომლებმაც უკვე შეიძინეს ეს ჯავშნიანი სადაზვერვო მანქანები.

წელს, იანვარში, დაგეგმილია მოდერნიზებული „კობრების" გამოცდა ამერიკულ პოლიგონზე. გასული წლის ბოლოს ამერიკულმა არმიამ 15 მოდერნიზებული თურქული „კობრა" შეიძინა. მათ გაძლიერე-

„კობრა" წყალში 8კმ/სთ სიჩქარით დაცურავს




COBRA

ბული აქვთ შეჯავშნა, განსაკუთრებით ფსკერზე, რათა გაუძლონ რამდენიმე კილოგრამი ტროტილის აფეთქების ძალას. მათზე ასევე დაყენებულია სპეციალური რადიოელექტრონული აპარატურა, რომელმაც უნდა ჩაახშოს რადიოსიხშირეები და შეაჩეროს რადიომართვადი ბომბის აფეთქება.

საზოგადოდ, პატრულის უსაფრთხოების დაცვა გინდ ერაყში, გინდ ავღანეთში დიდი პრობლემაა, რადგან მოწინააღმდეგე მხარე პარტიზანული თავდასხმების მეთოდიკას იყენებს.

ეს თემა ძალზე მტკივნეული გახდა ჯერ კიდევ ავღანეთის ომში საბჭოთა დანაყოფებისთვის. მაშინ არ არსებობდა რადიომართვადი ბომბების რადიოელექტრონული ჩახშობის მობილური აპარატურა, თუმც მოჯაჰედებიც რადიომართვადზე მეტად სადენებით მართვად ასაფეთქებელ მოწყობილობებს იყენებდნენ.

„ჯავშანში“ ჩამჯდარ, ანუ БРДМ-2-ის, БТР-ისა თუ БМП-ს კორპუსის შიგნით მსხდომ მებრძოლებს გადარჩენის ძალიან პატარა შანსი რჩებოდათ, თუკი მათი მანქანა ნაღმზე გადაივლიდა. თუკი დისტანციურად მართვადი ასაფეთქებელი მოწყობილობა გზის პირას რამდენიმე მეტრში აფეთქდებოდა, საბრძოლო მანქანის ჯავშანი მებრძოლებს ბომბის ნამსხვრევებისგან გადარჩენის შანსს უტოვებდა, მაგრამ როგორც წესი, ყველა ჯავშანმანქანების ზემოთ ჯდებოდა, რადგან ნაღმზე გადავლისას აფეთქების ტალღა მათ გვერდზე გაისროდა და გადარჩენის შანსს უტოვებდა, რაც მძღოლისთვის წარმოუდგენელი იყო. მეორე მხრივ, ჯავშანმანქანაზე ზემოდან მსხდომი მებრძოლები მოწინააღმდეგის სნაიპერებისთვის კარგი სამიზნეები იყვნენ.

ასეთივე პრობლემა ჰქონდა რუსეთის არმიას ჩეჩნეთის ომებში, ისევე როგორც ქართულ არმიას აფხაზეთში. გამოცდილებიდან გამომდინარე, სტატიის ავტორს შეუძლია მოიყვანოს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ერთდროულად საშიში იყო როგორც ჯავშანმანქანის შიგნით გადაადგილება, ისე მის ზემოთ, ჯავშანზე ჯდომა.

მიუხედავად ამისა, „კობრას“ ტიპის შედარებით მცირეგაბარიტიანი ჯავშანმანქანები ქართულ არმიას აუცილებლად სჭირდება. ანალოგიური კლასის, БРДМ-2 ტიპის სადაზვერვო ჯავშანმანქანები შეიარაღებაში თითქმის აღარ დარჩა, მათი ყიდვა უკრაინაში გამართლებული არ იქნებოდა, რადგან БРДМ-2-მ თავისი დრო მოჭამა.

თურქული „კობრა“, ისევე როგორც ფრანგული VBL ან სხვა ანალოგიური კლასის შედარებით კომპაქტური ჯავშანმანქანა (რომელიც БТР-80-ზე ორჯერ მსუბუქია) იმითაა მიმზიდველი, რომ მის კორპუსზე სხვადასხვა საბრძოლო ან სადაზვერვო მოდულის დაყენება შეიძლება.



„კობრების“ სამხედრო პატრული...

სადაზვერვო მოდული შეიძლება შეიცავდეს რადიოლოკაციურ სადგურს, სითბოვიზურ და ვიდეოკამერებს, რომლებიც სპეციალური შტანგით რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე იწევა. თავად მანქანა სანგარშია ჩამალული, ხოლო მაღლა აწეული სადაზვერვო აპარატურა მოწინააღმდეგეს უთვალთვალებს.

საბრძოლო მოდულები შეიძლება შეიცავდეს როგორც მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევს, ისე ავტომატურ ყუმბარსატყორცნს ან მართვად ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსს, ან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს. ასეთი საბრძოლო ჯავშანმანქანიდან გაშვებული მართვადი კუმულაციურქობინიანი რაკეტით მტრის ტანკის აფეთქება 5-6 კმ-ის სიშორიდანაც შეიძლება.

ოთხბორბლიანი მაღალი გამავლობისა და ამასთან, ცურვის უნარის მქონე ჯავშანმანქანებით აღჭურვის შემთხვევაში ქართული არმია უფრო მობილური და ძლიერი გახდება. მართალია, არც ერთ ქართულ შვეულმფრენს არ შეუძლია 5-6 ტონა მასის მქონე ჯავშანმანქანის წაღება, მაგრამ საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიიდან გამომდინარე, „კობრას“ ტიპის ჯავშანმანქანებს დროულად შეეძლებათ დანიშნულების ადგილზე მისვლა, რადგან ისინი ასფალტირებულ გზაზე 100 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით მოძრაობენ.

ჩვენთან იყო მცდელობა ეროვნული ჯავშანმანქანების, „დეგა-1“-ისა და „დეგა-2“-ის შექმნისა (შესაბამისად, „ნივისა“ და „გაზ-66“-ის ბაზაზე, რის შესახებაც თავის დროზე „არსენალში“ ვწერდით). თუმცა თითო-თითო ეგზემპლარის გარდა საქმე წინ არ წასულა, შესაძლოა, იმიტომაც, რომ მაშინდელი სამხედრო უწყება ამით ძალიან არ დაინტერესებულა. ისე, „დეგები“ უფრო სპეცდანიშნულების რაზმებისთვის გაკეთდა და მათი შეჯავშნაც სიმბოლური იყო, ქართულ არმიას კი სჭირდება კარგად შეჯავშნული მობილური უნივერსალური მანქანები, რომლებზეც სხვადასხვა თანამედროვე საბრძოლო და სადაზვერვო მოდულის დაყენება იქნება შესაძლებელი.

P.S. სტატია მზად იყო დასაბეჭდად, როდესაც ცნობილი გახდა, რომ საქართველოს შსს-მ თურქული „კობრების“ პირველი პარტია შეიძინა.

*ირაკლი ალადაშვილი*



სადაზვერვო „კობრა“ თურქეთის მთებში რადიოლოკაციურ და სითბოვიზურ მონიტორინგს ახორციელებს



„არსენალი“ ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-XV სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტევადია, რუბრიკა გაგრძელებებით იბეჭდება. (დასაწყისი იხ. „არსენალი“ №11)

# ქვეითთა როლი შუა საუკუნეებში

გაგრძელება

ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განებივრებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა...



ჯვაროსნები პილიგრიმებს იცავენ მუსლიმანი მომხდურებისგან

XI საუკუნის მიწურულს ბიზანტიის იმპერატორებმა დასავლეთს თხოვნით მიმართეს, დახმარება აღმოეჩინათ ქრისტიანების ახალი მტრების, მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აღმოსავლეთიდან შემოჭრილმა თურქ-სელჩუკებმა თითქმის მთელი მცირე აზია დაიკავეს. 500 წლის მანძილზე იერუსალიმი მაჰმადიანების გავლენის ქვეშ იყო. მათი ბატონობის დროს საფრთხე არ ექმნებოდა ქრისტიან მომლოცველებს, მაგრამ სელჩუკების შემოსევამ და მცირე მაჰმადიანურ სათავადოებს შორის მუდმივმა ქიშპმა ქრისტიანებისათვის წმინდა მიწის მონახულებას საფრთხე შეუქმნა. 1095 წელს რომის პაპი ურბან II-მ ქალაქ კლერმონში მრავალათასიან აუდიტორიას მოუწოდა, დახმარება აღმოეჩინათ ბიზანტიელებისათვის და წმინდა მიწა ბარბაროსებისაგან გაეთავისუფლებინათ. რამდენიმე თვის შემდეგ ჯვაროსანთა პირველი ნაკადი უკვე აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა.

ჯვაროსანთა ექსპედიცია 200 წელს გაგრძელდა. ევროპიდან აზიისაკენ მრავალი ათასი კაცი მიეშურებოდა, მათ უმრავლესობას სამშობლოში დაბრუნება აღარ ეწერა. რა აიძულებდა მათ ჩართულიყვნენ ამ ბრძოლაში? უპირველესად, რა თქმა უნდა, რელიგიური მოსაზრებები, მაგრამ არსებობდა სხვა, სავსებით მიწიერი მიზეზიც. ჯვაროსანთა მიერ წარმოებულ ბრძოლათაგან ერთ-ერთი გამორჩეული არსუფის ბრძოლაა, რომლის დროსაც სწორად შერჩეულმა ტაქტიკამ ჯვაროსანთა არმია განადგურებისაგან იხსნა და გამარჯვებაც მოაპოვებინა.

## არსუფის ბრძოლა

1191 წელს 8 სექტემბერს ინგლისის მეფე რიჩარდ I პლანტაგენეტი და ჯვაროსანი, რომელიც რიჩარდ ლომგულის სახელით არის ცნობილი, სალადინის არმიას სირიის სანაპიროს პატარა პორტთან, არსუფთან შეეჯახა. ეს შეტაკება ქრისტიანებისა და თურქების ორკვირიანი წინააღმდეგობის აპოთეოზი იყო. ფრანკების ექსპედიციის მიზანს (ასე უწოდებდნენ



hospitaller.13c.ru



არსუფის ბრძოლა

მაშინ ჯვაროსნებს მათი მოწინააღმდეგეები აღმოსავლეთში) იერუსალიმი წარმოადგენდა, რომლისკენაც მათ სანაპიროს გავლით გადაწყვიტეს მისვლა. ევროპელთა არმიას გამუდმებით ესხმოდნენ თავს მაჰმადიანები.

ჯვაროსნები, განსაკუთრებით კი რიჩარდ ლომგული, მრავალთათვის კავალერიასთან ასოცირდება, მაგრამ არასწორი იქნება, თუკი მივიჩნევთ, რომ მათი არმია მხოლოდ მხედრებისაგან შედგებოდა. ინგლისის მეფემ კარგად იცოდა, რომ ქვეით ჯარს ბრძოლაში სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ფარებმომარჯვებულმა ფეხოსნებმა, რომლებიც ჯაჭვის პერანგითა და სქელი ხარის ტყავის ბალახონებით იყვნენ შემოსილნი, ყველაზე სასტიკი დარტყმები იწვნიეს. შუბოსნები იფარავდნენ მცირერიცხოვან რაინდებსა და განსაკუთრებით კი მათ ცხენებს, ხოლო მშვილდოსნები და არბალეტით მებრძოლი მეომრები კი მოწინააღმდეგეთა მხედარ მშვილდოსნებს „საცეცხლე ძალით“ უპირისპირდებოდნენ. რიჩარდმა მხოლოდ მაშინ გასცა კონტრიერიშის ბრძანება, როდესაც მოწინააღმდეგე გადაიქანცა და გადამწყვეტი იერიში მიიტანა.

პირველი ჯვაროსნული ბრძოლების მეომრებს (1096-1099), რომლებმაც არსუფს დაახლოებით ერთი საუკუნის წინ მიაღწიეს, მოუწიათ მტრის ტერიტორიაზე გადაადგილების მანერების შესწავლამ. ფრანკების არმიას მძიმე ტვირთად აწვა ნელა გადაადგილებადი ქვეითი ჯარი, რომლის წინააღმდეგაც მტერს შეეძლო მსხვილი, სწრაფი და მოქნილი მხედრების დანაყოფები დაეპირისპირებინა. თურქი მხედარი მშვილდოსნები დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ ჯვაროსანი რაინდებისათვის, რადგანაც ფლობდნენ ცხენების დისტანციიდან განადგურების საშუალებას, რითაც ართმევდნენ ჯვაროსნებს მთავარ უპირატესობას, — შეჯავშნული მიზანმიმართული და გამანადგურებელი იერიშის მიტანის შესაძლებლობას. მშვილდოსანი მხედარი ჩვეულებრივი მოვლენა იყო მაჰმადიანური სამყაროსათვის, მაგრამ მშვილდოსნები, ძირითადად, თურქები იყვნენ. არაბული კავალერია კი ევროპელებისათვის უფრო ჩვეული შურდულითა და ხმლით იბრძოდა. მაჰმადიანი მთავრები დიდ უპირატესობას ანიჭებდნენ მსროლელ მხედრებს. აღმოსავლეთში ხშირად იყენებდნენ მამლუქებს, — მძიმედ შეიარაღებულ მხედრებს (მეომარი-მონები, ჩვეულებრივ, თეთრკანიანები). ისინი ხელჩართული ბრძოლის დაწყებამდე, მოწინააღმდეგის დასუსტების მიზნით, მტრებს ისრებს დაუშენდნენ ხოლმე და მხოლოდ ამის შემდეგ ესხმოდნენ თავს შუბებითა და ხმლებით.

გამარჯვება რომ მოეპოვებინათ, ჯვაროსანთა დაჯგუფებების მეთაურებს უხდებოდათ კავალერიისა და ქვეითი ჯარის ურთიერთშეთანხმებული, გონივრულად დაგეგმილი ბრძოლების წარმოება. თანდათანობით მათ მარშით ბრძოლის ტექნიკაც კი გამოიმუშავეს. ეს მწყობრი წარმოადგენდა ქვეითთა კარეს, რომელიც აღჭურვილი იყო შუბებითა და ფარებით და შეეძლო „ცეცხლი გაეხსნა“ სატყორცნი იარაღითა და ისრებით. მისი ამოცანა იყო კავალერიის უსაფრთხოებაზე ზრუნვა.

პირველი ჯვაროსნული ომის მეომრებმა, როგორც ჩანს, ეს მანევრი ბიზანტიელებისაგან შეისწავლეს და კარგად გამოიყენეს ეგვიპტელი შიიტების წინააღმ-

ეროვნული

დეგ 1099 წელს, ასკალონთან ბრძოლისას. სამწუხაროდ, ამ ხელოვნებას ვერ ფლობდნენ დასავლეთის ახალი შეიარაღებული პილიგრიმები.

მეორე ჯვაროსნული ომის დროს (1146-1150) ქრისტიანთა არმია (რომელსაც სათავეში ედგა გერმანიის მეფე კონრადი) 1147 წელს, ანატოლიის გავლისას, თითქმის სრული განადგურების წინაშე იდგა. მართალია, იერუსალიმის ლათინური სამყაროს ქრისტიანები მოხერხებულად იყენებდნენ მარშით ბრძოლის ტექნიკას, მაგრამ 1187 წელს დამარცხდნენ. შედეგად კი სალადინმა რამდენიმე სანაპირო ფორპოსტის გარდა, თითქმის ყველა ქალაქი და ციხე აიღო და დაიქვემდებარა. მეფე გი დე ლუზინიანი შეეცადა, მიეღწია გალილეის ტბის მახლობლად მდებარე ქალაქ ტიბერიამდე და სალადინს დაჰპირისპირებოდა. მაჰმადიანებმა მოახერხეს მხედრებისა და ქვეითების გამოყოფა და მათი ცალ-ცალკე განადგურება. დაახლოებით იმავეს გაკეთება სურდა სალადინს მესამე ჯვაროსნული ექსპედიციის მონაწილეთათვის (1189-1192), რომელთაც სათავეში ედგა რიჩარდ ლომგული.

1191 წლის ივლისში მეფე რიჩარდმა თურქები აიძულა აკრის გარნიზონის კაპიტულაცია გამოეცხადებინათ, რის შემდეგაც იგი მნიშვნელოვან პლაცდარმად აქცია დასავლეთიდან მომავალი ჯვაროსნებისათვის. მთელი ის დრო, რაც ჯვაროსნებმა აკრის ალყას მოანდომეს, თავადაც სალადინის ალყაში იყვნენ მოქცეული. აკრის აღების შემდეგ ეს უკანასკნელი ისე აჭიანურებდა გამოსასყიდის გადახდას, რომ რიჩარდმა 22 აგვისტოს ბრძანება გასცა, დაეხოცათ ყველა მაჰმადიანი ტყვე (2700 კაცი). ორი დღის შემდეგ მან განაგრძო მარში სამხრეთისაკენ. თითქმის მალევე არიერგარდი, რომელიც შედგებოდა ჰერცოგი ჰიუგო ბურგუნდიელის ფრანგი რაინდებისაგან, მაჰმადიანების იერიშის მსხვერპლად იქცა, აირია და მის ალყაში მოექცა. რიჩარდმა მათი მხოლოდ მცირე ნაწილის გადარჩენა შეძლო.

მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ თავი აერიდებინა მსგავსი შემთხვევებისათვის, მთავარსარდალმა გადაწყვიტა სახიფათო ნაწილებში, – ავანგარდსა და არიერგარდში დაეყენებინა ტამპლიერებისა და ჰოსპიტალერების ორდენთა რაინდი-ძმები. მკაცრი წესდების მორჩილი და დისციპლინირებული ბერები ყველაზე მეტად შესაფერისი იყვნენ ამ ამოცანის შესასრულებლად.

კოლონის თავდაცვა მთელი მარშრუტის მანძილზე, ძირითადად, ქვეით ჯარს დაეკისრა. დაახლოებით 10000-კაციანი ფეხოსანთა არმია ისე იყო გადანაწილებული, რომ 2000-კაციანი კავალერია და ალალი ორი ეშელონის შუაში იყო მოქცეული. რიჩარდმა გადაწყვიტა აღმოსავლეთისაკენ სვლა სანაპირო ზოლით განეგრძო. ეს გახლდათ ძალზე გონივრული გადაწყვეტილება, რომლის მეშვეობითაც ჯვაროსნებმა ორი საკითხის წარმატებულად გადაჭრა შეძლეს: მარჯვენა მხრიდან მოსაზღვრე ზღვა უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხო სვლასა და მომარაგებას (მათ მუდამ გვერდით მიჰყვებოდა ჯვაროსანთა ფლოტი, რომელიც მეომრებს სურსათსა და იარაღს აწვდიდა). ეშელონები ყოველდღიურად უნაცვლებდნენ ფლანგებს ერთმანეთს და ამის მეშვეობით მაჰმადიანთაგან დარბეულ ნაწილებს იარების მოშუშებისა და ძალების აღდგენის საშუალება ეძლეოდათ. სალადინის დაახლოებით 30000-კაციანი არმია, 2:1 პროპორციით, მხედრობად და ქვეითებად ნაწილდებოდა. მის ფეხოსნებს ისტორიკოსები ხშირად „შავებად" მოიხსენიებენ, რომლებიც ბედუინების მსგავსად „მშვილდ-ისრებით, მუზარადებითა და მრგვალი ფარებით" იყვნენ შეიარაღებული. შესაძლოა, „შავ" ქვეითებში სუდანის მეომრები იგულისხმებოდნენ, რომლებიც ეგვიპტის მთავრების ჯარში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მეომრები იყვნენ. მიუხედავად ამისა, ისინი არ წარმოადგენდნენ ჯვაროსნებისათვის დიდ საფრთხეს. ეს უკანასკნელნი ყველაზე მეტად მხედარ მშვილდოსანთა რაზმებს უფრთხოდნენ. ფრანგი მეომარი და პოეტი ამბუაზი წერს: „თურქებს ერთი უპირატესობა აქვთ, რომელიც ჩვენთვის ყველაზე დიდი საფრთხის მომტანია, – მათ ისეთი კარგი ბედაურები ჰყავთ, რომ არსად მსოფლიოში მსგავსი არ მოიპოვება. ისინი კი არ მიაჭენებენ, მერცხლებივით დანავარდობენ. ფუტკრების მსგავსი ნირი აქვთ: მოიგერიებ – გარბიან, მობრუნდები და მყისვე უკან დაგედევნებიან".

## ჯვაროსანთა ქვეითები

მაჰმადიანთა ჯარის შესახებ სხვა ცნობა მოგვეპოვება შრომაში, რომელიც უშუალოდ მეფე რიჩარდის ექსპედიციას ეხება. „ისინი მთელი გზის მანძილზე მუდამ ჩვენს ახლოს ტრიალებდნენ და

სულთანი სალადინი



სალადინის მებრძოლებისა და ჯვაროსნების შეტაკება



ეროვნული ბიბლიოთეკა



ქვეითი ჯვაროსნების აღჭურვილობა

ცდილობდნენ ზიანი მოეყენებინათ ჩვენთვის. გვიშენდნენ ისრებს, რის გამოც უამრავი ცხენი დავარდა“. არც ჯვაროსანთა ქვეითი ჯარი იყო გულხელდაკრეფილი: „ისინი გაუგონარი სიმამაცით იბრძოდნენ, შემობრუნდებოდნენ და თურქების თავდასხმებს იგერიებდნენ. იმის გამო, რომ მტრები უკანა ფლანგს უტევდნენ, ქვეითებს ზურგით სვლა და ბრძოლა ერთდროულად უწევდათ“. არანაკლებ იყო გაკვირვებული მაჰმადიანი მემატიანე ჯვაროსანთა ტაქტიკის მოქნილობით. სალადინის მდივანი ბექა ედ დინი, რომელიც მუდამ ბატონს ახლდა თან და უშუალოდ ესწრებოდა ბრძოლებს, მოგვითხრობს: „მათი ფეხოსნების კედელი მხედრობას იცავს, ყველა მეომარს აცვია ისეთი გამძლე ხარის ტყავის ბალახონი და ჯავშან-მუზარადი, რომ ისრები სხეულს ვერ აზიანებს. მე თავად ვხედავ მეომრებს, რომელთა სხეულში ათამდე ისარია შერჭობილი, მაგრამ ისინი მაინც იბრძვიან“.

ჯვაროსნები გაუსაძლის პირობებში იყვნენ, განსაკუთრებით ფეხოსნები, რომლებიც რამდენიმე საათის განმავლობაში იძულებულნი იყვნენ, უკუსვლით ევლოთ და ამავდროულად ებრძოლათ. ამიტომაც რიჩარდი მათ საშუალებას აძლევდა კარგად დაესვენათ. რა თქმა უნდა, ეს აფერხებდა მსვლელობას, რის გამოც ხაიფამდე გზას, რომელიც აკრის სანაპიროდან 15 კმ-ით იყო დაშორებული, ჯვაროსნებმა ოთხი დღე-ღამე მოანდომეს. ხაიფაში მათ ორი დღე დაჰყვეს, მოიმარაგეს იარაღი და სურსათი, რომელიც მთლიანად კვლავ ქვეითებს აჰკიდეს. მათი ნაწილი ბრძოლით, წყურვილითა და სიცხით გათანგული გზაზე ეცემოდა.

ქვიშაზე მიმავალი ჯარი ინარჩუნებდა მწყობრს, მაგრამ წინ ძალიან ნელა მიიწევდა. განსაკუთრებით მტანჯველი იყო დღის პერიოდში გადაადგილება. პაპანაქება სიცხისგან ბევრი იღუპებოდა, ზოგიერთი კი ისე დაიღალა, რომ სიარულის თავიც აღარ ჰქონდათ. ჯვაროსნები კესარიისაკენ მიიწევდნენ, რომელსაც აგვისტოს დამლევს მიაღწიეს. გალავანი ისევ იდგა, მაგრამ ქალაქი მთლიანად განადგურებული დაუხვდათ. სხვა გზა არ იყო, სვლა უნდა განეგრძოთ. ჯვაროსნებს არსუფამდე კიდევ 10 კილომეტრი უნდა გაევლოთ. რიჩარდი შიშობდა, რომ მაჰმადიანები ცეცხლს წაუკიდებდნენ იმ ტყეს, რომელიც უნდა გაევლოთ. მისდა გასაოცრად, სალადინმა ტყის გაჩეხვა ამჯობინა. სავარაუდოდ, მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ სწორედ აქ უნდა შემდგარიყო ბრძოლა.

## ბრძოლა

ჯვაროსანთა არმიის ტყიდან გამოსვლის შემდეგ რიჩარდმა ფორმირების მოწესრიგება დაიწყო. მან ხუთი ჯგუფი გამოყო: ავანგარდი, ცენტრი, არიერგარდი და ქვეითთა ორი ფრთა. წერილობითი წყაროების მიხედვით, მარშს სათავეში ტამპლიერები ედგნენ, მათ მიჰყვებოდნენ ბრეტანელები, ანჟუს მეომრები და მეფე ჰიუგო იერუსალიმელი თავის დაჯგუფებასთან ერთად. ნორმანებსა და ინგლისელებს მეფე რიჩარდმა თავისი დროშა ჩააბარა, ხოლო ჰოსპიტალიერები ფარად დააყენა. კოლონა დაახლოებით ორ კილომეტრზე იყო გადაჭიმული, ჰაერში მტვერი ტრიალებდა, ქრისტიანების მოფრიალე ალამი კი მოწინააღმდეგეს იმის ანიშნებდა, რომ არმიის ძირითადი ბირთვი და მისი მეთაურები ადგილზე იყვნენ. მთელი დღის მანძილზე, მარშის დროს, ესხმოდა თავს სალადინი თავისი მეომრებით ჯვაროსნებს, მაგრამ მაინც წინ მიიწევდნენ. როგორც წესი, ყველაზე მძაფრი შეტევის ობიექტი არიერგარდი ხდებოდა. ჰოსპიტალიერები ძალზე შეშფოთებული იყვნენ თანამოძმეებისა და ცხენების დალუპვით. მათმა მაგისტრმა რამდენჯერმე სცადა რიჩარდი დაეთანხმებინა კონტრიერიშზე, მაგრამ მეფე უარით ისტუმრებდა მის წარგზავნილებს.

ტევტონთა ორდენის რაინდების მონღოლებთან ბრძოლა





ჯვაროსნები პალესტინაში

ის ელოდა იმ მომენტს, როდესაც მოწინააღმდეგის ცხენები დაიღლებოდნენ და აი მაშინ კი ევროპელთა ცხენები შეძლებდნენ მეტოქეობა გაეწიათ მოწინააღმდეგეთა ბედაურებისათვის. ყველა ელოდა საყვირის ხმას, რომელიც ფორმირების თავში, ცენტრსა და ბოლოში ორჯერ უნდა გაჟღერებულიყო, მანამდე კი არავის ჰქონდა უფლება კონტრიერიში მიეტანა მოწინააღმდეგეზე. დრო გადიოდა, სიცხე, მტვერი, მაჰმადიანთა საყვირების ყურისმომჭრელი ზუზუნი და დაფდაფების ხმა, ასევე დანაკარგის ზრდა, განსაკუთრებით კი ცხენების, ჯვაროსნებს სასოწარკვეთილებაში აგდებდა. ამას ისიც დაერთო, რომ მტერი განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს ჰოსპიტალიერებს და არიერგარდს ავიწროებდნენ, რაც საფრთხეს უქმნიდა მწყობრის შენარჩუნებას. ორდენის მაგისტრმა ველარ მოითმინა, — მან და ბოდუენ დე კარუმ გადაწყვიტეს კონტრიერიში მიეტანათ მომხდურებზე. ჰოსპიტალიერებიც და ფრანგი მეომრებიც მათ მიჰყვნენ. კატასტროფა მხოლოდ იმიტომ არ მომხდარა, რომ რიჩარდის ჩანაფიქრი უკვე მომწიფებული იყო, — მეფე თავად აპირებდა კონტრდარტყმას. მისი არიერგარდი არსუფის მახლობლად მდებარე ჭალებსა და ბაღებს მიუახლოვდა. ბექა ედ დინი მოგვითხრობს: „მე თავად ვხედავდი, როგორ შეჯგუფდნენ რაინდები ფეხოსანთა რიგების უკან. მათ მოიმარჯვეს შუბები, ერთხმად დასცეს ყიჟინა, ქვეითებმა გზა გახსნეს და ისინიც სამივე მიმართულებით გაიშალნენ“.

ჯვაროსნები დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილზე მისდევდნენ ლტოლვილებს. მხედრები ისე დაწინაურდნენ, რომ ჩამოშორდნენ ქვეით ჯარს და მტრის ალყაში მოხვედრის საშიშროება შეიქმნეს. წარმატება მხოლოდ იმიტომ არ იქცა მარცხად, რომ მაჰმადიანებმა სწრაფად გადაადგილებისა და მოგერიების ტაქტიკა ირჩიეს. სანამ მათ ამ ხელსაყრელი მდგომარეობის გააზრება შეძლეს, რიჩარდმა მწყობრის აღდგენა მოასწრო. გამოცდილმა ნორმანებმა და ინგლისელებმა ფრთხილად წაიწიეს წინ და მდევარს საშუალება მისცეს, მათ ზურგს უკან მწყობრი აღედგინათ. მიიჩნევენ, რომ არსუფის ბრძოლის შედეგი ამ გაბედულმა ნაბიჯმა გადაწყვიტა, თუმც ეს არ არის სწორი. ჯვაროსნებმა ეს კიდევ ორჯერ გაიმეორეს.

თავდაპირველად უკუაქციეს სალადინის დაცვა, რომელიც 700 ყვითელი ხალათებით შემოსილი რჩეული მამლუქისაგან შედგებოდა. სასტიკი შეტაკების შემდეგ ამ მამაც მეომრებსაც კი გაქცევით გადაურჩენიათ თავი. ასე იყო თუ ისე, ჯვაროსანთა ქვეითი ჯარი არსუფამდე მივიდა და მყისვე დაიწყო კარვების გაშლა. ბანაკი არა მხოლოდ მოსასვენებლის, არამედ არმიის ბაზის ფუნქციასაც ასრულებდა, საიდანაც მას შეეძლო დარტყმა მიეყენებინა მტრისათვის.

არიერგარდზე უკანასკნელი იერიშის მოგერიებისას რიჩარდი თავად ჩაუდგა სათავეში კავალერიას და მტერს კარგა ხანს სდია. ინგლისის მეფე ამას დასჯერდა, რადგან შიშობდა, ეს წარმატება მარცხით არ დასრულებულიყო. ევროპელი ისტორიკოსების ცნობით, ჯვაროსნებმა მტრის დაახლოებით 7000 მეომარი გაანადგურეს, მათ შორის 32 ამირა იყო.

რა თქმა უნდა, მაჰმადიანებს არ შეუწყვეტიათ წინააღმდეგობა. დიდი დანაკარგის მიუხედავად, მეორე დღიდანვე განაახლეს ბრძოლა. უკვე იცოდნენ, რომ გონიერ მხედართმთავარსა და ძლიერ, დისციპლინირებულ ჯართან უწევდათ შერკინება.

შუა საუკუნეების ბრძოლების აღწერისას ძალზე ხშირად აქცენტი მხოლოდ კავალერიაზე კეთდება, ქვეითები კი ჩრდილში რჩებიან. მხედრებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს არსუფის ბრძოლისას, მაგრამ რომ არა ფეხოსნები, მათი გამარჯვების პერსპექტივა არ იარსებებდა.

**გაგრძელება იქნება**

*ანა ფალიანი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაპოლეონის

## "მეათე ლეგიონი"

### ნაპოლეონის გვარდიის დაკომპლექტება

XVIII-XIX საუკუნეების ევროპის თითქმის ყველა ძლიერ ქვეყანას ჰყავდა თავისი გვარდია, რომელიც ელიტური ქვედანაყოფის წოდებაზე აცხადებდა პრეტენზიას. საიმპერატორო გვარდიისაგან განსხვავებით, გვარდიები, ძირითადად, ფიზიკური მონაცემებით გამორჩეული კადრებისაგან კომპლექტდებოდა. აქ ჯარისკაცის სიმაღლესა და მხარბეჭიანობას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე გამორჩეული საომარი თვისებების გამოვლენას. ამგვარი იყო ინგლისის გვარდია.

ბრძოლის ველზე გამოვლენილი გუნდური, და არა ინდივიდუალური, ჰეროიზმი გახლდათ ერთადერთი კრიტერიუმი, რომლითაც შესაძლებელი ხდებოდა XIX საუკუნის რუსულ გვარდიაში მოხვედრა. შესაბამისად, მისი რიგები, ძირითადად, ჯარისკაცის პირადი და სამხედრო თვისებების გამორჩეულობის გამო კი არა, არამედ მთელი ლეგიონის მეტ-ნაკლები წარმატების გათვალისწინებით ივსებოდა; ან კიდევ, საგანგებოდ გამოყოფილი ერთი-ორი ბატალიონის შეერთების საფუძველზე ან ყველაზე გონიერი და ფიზიკურად ძლიერი რეკრუტებით კომპლექტდებოდა.



ნაპოლეონის საიმპერატორო გვარდია სრულიად განსხვავებული მოვლენა გახლდათ. იგი წარმოადგენდა ჭეშმარიტ ელიტას, სადაც ყურადღება არ ექცეოდა ჯარისკაცის გარეგნულ და ფიზიკურ მონაცემებს. ძველი გვარდიის ჩამოყალიბებისას ნაპოლეონმა ჯარისკაცებს ისეთი მოთხოვნები წაუყენა, რომელთაც ყოველი მეათე კანდიდატი თუ აკმაყოფილებდა. კერძოდ, გამოცდილება, განათლებულობა, სამხედრო კამპანიებში მონაწილეობა, გმირული საქციელი, სამაგალითო დისციპლინა. შესაბამისად, საიმპერატორო გვარდიის წევრების შერჩევისას ითვალისწინებდნენ სამხედრო მოსამსახურის პიროვნულ და პროფესიულ ღირსებებს. ამავდროულად, ახალგაზრდა გვარდიიის რიგითი შემადგენლობა ახალწვეულებით ივსებოდა, რომლებიც წვრთნას ვეტერანების ხელმძღვანელობით გადიოდნენ. ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის დევიდ ჩანდლერის მოსაზრებით, საიმპერატორო გვარდიაში ღირსეულთა შორის ყველაზე ღირსეულების შერჩევის ტენდენცია უარყოფითად მოქმედებდა ჯარის მთლიან შემადგენლობაზე. მისი აზრით, გვარდია საუკეთესო კადრებს ვამპირივით ისრუტავდა, რაც ასუსტებდა სხვა ლეგიონებს. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება არ არის მართებული, რასაც ნაპოლეონის არმიის თერთმეტწლიანი ბრძოლისუნარიანობაც ადასტურებს; ხოლო თუ ათვლას დავიწყებთ 1792 წლიდან, რესპუბლიკური საფრანგეთის მიერ მონარქიული ევროპის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყებიდან, თერთმეტწლიანი პერიოდის ნაცვლად ოცდასამ წელიწადს მივიღებთ. დაგვეთანხმებით, „ასაკი" მართლაც შთამბეჭდავია.

### გვარდია და ნაპოლეონი

XXI საუკუნის გადმოსახედიდან ძნელი წარმოსადგენია, რიგითი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ის უდიდესი სურვილი და აღტყინება, რითაც ისინი გვარდიის რიგებს უერთდებოდნენ. რაც მთავარია, თითქმის არც ერთი მათგანი მატერიალური ინტერესით არ ყოფილა მოტივირებული. საიმპერატორო გვარდ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

იისადმი ამგვარი დამოკიდებულება შემთხვევითი არ ყოფილა. ნაპოლეონი ჯარისკაცების გულის მოსაგებად სხვადასხვა ხერხს მიმართავდა: წერდა წერილებს ბრძოლაში გამორჩეულ მეომრებს; მედაფდაფესაც კი შეეძლო პირადად გადაეცა წერილი იმპერატორისათვის; საიმპერატორო კარზე ჯილდოთა განაწილების გამო გამართულ წვეულებებზე ჯარისკაცები გენერლებთან ერთად უსხდნენ საზეიმო სუფრას და ლაქიები, საგანგებო ინსტრუქციის თანახმად, პირველთ უფრო დიდი პატივით ემსახურებოდნენ. ასე რომ, საიმპერატორო გვარდია ჯარისკაცის კულტის ცოცხალ გამოვლინებას წარმოადგენდა.

ნაპოლეონის მომხიბლაობა უსაზღვრო იყო და ამიტომაც იმპერატორისათვის ყველაზე მძიმე წუთებშიც კი გვარდია მას მუდამ მხარში ედგა. მაგ., 1814 წლის გაზაფხულზე გვარდიამ არმიიდან მოღალატე გენერლები განდევნა და მოითხოვა მოწინააღმდეგესთან ბრძოლა სისხლის ბოლო წვეთამდე გაეგრძელებინა. არ იფიქროთ ეს ჰაერზე ნასროლი სიტყვები ყოფილიყო. ნაპოლეონი მათთვის დედამიწაზე მოვლენილი ღვთის ხატი იყო, რომლისაც სწამდათ და ენდობოდნენ, რომლის ბრძანებები უსიტყვოდ, ზუსტად და დროულად სრულდებოდა. სწორედ ამ ,,ზეადამიანისთვის“ შეუსვენებლივ დააბიჯებდნენ ესპანეთის მცხუნვარე მზის ქვეშ და რუსეთის სუსხიან ზამთარში, ითმენდნენ შიმშილსა და ავადმყოფობას. ყველაზე უფროსი თაობის გვარდიელები კი თავიანთ სიცოცხლეს ,,პატარა კაპრალის“ საკუთრებად აღიქვამდნენ.

მსოფლიო ისტორიაში ძნელია მოიძებნოს ისეთი პატივისცემისა და სიყვარულის მაგალითი, რომელსაც საიმპერატორო გვარდიის მეომრები ავლენდნენ თავიანთი პატრონისა და ევროპის მბრძანებლის მიმართ.

იმპერატორის ერთგულების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ძველი გვარდიის ქვეითთა გრენადერების პირველი ლეგიონის უმცროსი ლეიტენანტი კლოდ შარლ ნუაზო, რომელმაც თავისი ხარჯით ცნობილ ფრანგ მოქანდაკე რიუდს ნაპოლეონის ბრინჯაოს მონუმენტი გამოაკვეთინა და 1845 წელს მშობლიურ ქალაქ ფიკსენში დადგა. სიკვდილის შემდეგ, ანდერძის თანახმად, ნუაზო ფეხზე მდგარი დამარხეს იმპერატორის ქანდაკებიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით. მას სურდა სიკვდილის შემდეგაც თავისი იმპერატორის სამსახურში დარჩენილიყო...

გვარდიელების ნაპოლეონის ფანატიკურ სიყვარულსა და ნდობაზე მრავალი ლეგენდა დადიოდა. ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ, რომელიც ნაპოლეონის არმიისათვის უკანასკნელი შეიქნა, ერთ-ერთ ჰოსპიტალში ლუდოვიკო XVIII-ს ემისარი მივიდა და დაჭრილებს დახმარება შესთავაზა. ერთმა ვეტერანმა გვარდიელმა, უნტერ-ოფიცერმა, რომელსაც რამდენიმე წუთით ადრე ხელი მოაჭრეს, კიდური ემისარს ესროლა და მიაძახა: ,,გაეთრიე და ვინც გამოგგზავნა, მას მოახსენე, რომ მეორე ხელი ჯერ კიდევ ჯანსაღი მაქვს, რათა მომავალშიც ერთგულად ვემსახურო იმპერატორს!“

ჯარისკაცები ამაყობდნენ, რომ საიმპერატორო გვარდიის წევრები იყვნენ და ძალზე განიცდიდნენ მარცხს. ხშირად, რამე დანაშაულის გამო, გვარდიელები ნებით სხდებოდნენ ჰაუპტვახტში. ზოგიერთი ღირსების აყრის შიშით თვითმკვლელობითაც კი ასრულებდა სიცოცხლეს.

კეთილშობილებითა და ღირსებით განსაკუთრებით ძველი გვარდიის ჯარისკაცები და ოფიცრები გამოირჩეოდნენ. ერთ-ერთი, ქვეითი გრენადერების მეთაური, ბრიგადის გენერალი დორსენი ამბობდა: ,,მე რომ ოქრო მქონდეს, ჩემს გრენადერებს მივაბარებდი. იქ უფრო უსაფრთხოდ იქნებოდა, ვიდრე სეიფში“.

რუსეთიდან უკან დახევის დროს, სახიფათო მდგომარეობიდან გამომდინარე, საიმპერატორო გვარდიის ერთ-ერთმა ხაზინდარმა ხელწერილის გარეშე ძველი გვარდიის ქვეით გრენადერებს 2 მილიონი ფრანკი გადასცა. ეს თანხა მდინარე ბერეზინაზე უნდა გადაეტანათ. გვარდიელებმა დავალება პირნათლად შეასრულეს, — თანხამ მთლიანად მიაღწია ადრესატამდე, თუ არ ჩავთვლით იმ მცირე ნაწილს, რომელიც ერთ-ერთ გრენადერთან ერთად ჩაიძირა მდინარეში.

## გვარდია – იმპერატორის „ყვლაზე დიდი რეზერვი“ ბრძოლაში

საიმპერატორო გვარდიას უამრავი პრივილეგია ჰქონდა, რომელიც ხშირად იმპერატორისა და საფრანგეთისათვის თავგანწირული ჯარისკაცებისა და ოფიცრების უფლებებს ზღუდავდა.

გვარდიელები ბრძოლის ველზე სიკვდილს არ ეპუებოდნენ და თავიანთი მამაცობით მთელ არმიას ამხნევებდნენ და სიმტკიცეს უნერგავდნენ. ძველი მეომრების შეძახილი ,,Vive l’ Empereur!“ (გაუმარჯოს იმპერატორს!) წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა შემდრკალი ჯარისკაცების სულებზე. როდესაც რომელიმე ახალბედა გვარდიელი მოწინააღმდეგეთა ტყვიების ზუზუნზე ინსტინქტურად თავს ხრიდა, ოფიცრები ან სხვა ჯარისკაცები ლანძღვითა და საყვედურებით თავს ესხმოდნენ ,,დამნაშავეს“. გვარდიას ხომ მთავარი ,,პრივილეგია“ ჰქონდა — ტყვიას წელში გამართული შეხვედროდა.

1813 წლის დამდეგს ნაპოლეონის არმიის რიგები, ძირითადად, ახალბედებით იყო შევსებული (ბრძოლისუნარიანი მეომ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

რების დიდი ნაწილი რუსეთში დაიღუპა). ეს უკანასკნელნი განსაკუთრებული წარმატებით მაშინ იბრძოდნენ, თუკი მათ გვერდით გვარდიის ერთი დივიზია მაინც იდგა და ამხნევებდა ახალგაზრდა მეომრებს. მიუხედავად იმისა, რომ 1813-1814 წლებში საიმპერატორო გვარდიაში უფროსი თაობის ჯარისკაცების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ერთგულებისა და თავგანწირვის მაგალითები კვლავაც ხშირი იყო. ლაიფციგთან დამარცხების შემდეგაც კი არც დასცდენიათ საყვედური გვარდიელებს. როგორც ერთი რიგითი გვარდიელი იხსენებს: „ოფიცრებიც კი შეძრწუნებულნი იყვნენ ჩვენი სიმშვიდითა და დუმილით“.



დრაგუნი ნაპოლეონის გვარდიიდან

ნაპოლეონი საიმპერატორო გვარდიას არა მხოლოდ დიადი არმიის „ყველაზე დიდ რეზერვად“, არამედ მეთაურთა კადრების სამჭედლოდაც მიიჩნევდა. სამხედრო კამპანიების დროს იმპერატორს გვარდიაში გამორჩეული ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები ჯარის სხვა ნაწილებში გადაჰყავდა, რათა მათ თავიანთი საბრძოლო გამოცდილება სხვებისათვის გაეზიარებინათ და ამავდროულად არმიისა და გვარდიის დამაკავშირებელი რგოლების ფუნქციაც ეკისრათ.

გვარდიელებმა იმაზე მეტი გააკეთეს, ვიდრე ნაპოლეონი წარმოიდგენდა. მოწინააღმდეგეებში მოკრძალებასა და შიშს რომ ნერგავდე, ბუნებრივი და კანონზომიერია, მაგრამ ჯარისკაცს მტერი შეაყვარო, ეს მართლაც საოცარი მოვლენაა. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ მიხეილ ლერმონტოვის გუვერნიორი კაპე საიმპერატორო გვარდიის კაპიტანი იყო, რომელმაც მომავალ პოეტს ბავშვობიდან ნაპოლეონის დიდი პატივისცემა ჩაუნერგა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ბონაპარტის ქმედებანი ყოველთვის დადებითადაა შეფასებული რუსული მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე პატრიოტი პოეტის შემოქმედებაში. საინტერესოა, ნაპოლეონის მოთაყვანე რამდენი ელიტარი დატოვეს რუსეთში ტყვეებად დარჩენილმა ასობით გვარდიელმა...

## იმპერატორული გვარდია და არმია

საიმპერატორო გვარდია ყოველმხრივ პრივილეგირებული იყო — მომარაგებით (საკმარისია გავიხსენოთ ფრანგების რუსეთიდან უკან დახევა, როდესაც გვარდიელებს რამდენჯერმე უფრო მეტი სურსათის მარაგი ჰქონდათ, ვიდრე დანარჩენ არმიას), შეიარაღებით (გვარდიელებისათვის იარაღი მზადდებოდა ყველაზე ხარისხიანი მასალისაგან), უნიფორმით (უფრო მკვეთრი ფერის, საუკეთესო ქსოვილისაგან შეკერილი) და ფულადი ანაზღაურებით. ნაპოლეონი ცდილობდა, გვარდია ყოველმხრივ გამორჩეული, საუკეთესო და პირველი ყოფილიყო. თითოეული ბრძოლის შემდეგ გამორჩეული ყურადღება უპირველეს ყოვლისა, სწორედ დაჭრილ გვარდიელებს ექცეოდათ.

სამწუხაროდ, გვარდია მხოლოდ ბრძოლებში არ გამოირჩეოდა თავდადებით. ის ასეთივე შემართებით არბევდა და ძარცვავდა დაპყრობილ ქალაქებსა და ტერიტორიებს. მაგალითად, მოსკოვში გვარდიელებმა ნაქურდალი ნივთების გასაყიდად დახლები დადგეს და ლამის ვაჭართა ასოციაციაც დააარსეს. ნაალაფარს თანამებრძოლებს ათჯერ უფრო ძვირად აძლევდნენ, რის გამოც მალე „მოსკოველი ებრაელების“ სახელი დაიმსახურეს... არა, ნუ იჩქარებთ და სიბრალულით ნუ განიმსჭვალებით უფულო ლეგიონერებისადმი. „დაჩაგრულები“ ვალში არ დარჩენილან გვარდიელებს. როდესაც ნაპოლეონის გვარდიას მოსკოვიდან წამოღებული სურსათის მარაგი ამოეწურა, არმიამ მას ყველაფერი აზღვევინა. საკმარისი იყო რომელიმე მათგანი არმიელთა კოცონს მიახლოებოდა, რომ კუდამოძუებული გამორბოდა უკან. ნაპოლეონის არმიის არსებობის მანძილზე ეს გახლდათ გამონაკლისი და უპრეცედენტო შემთხვევა. საიმპერატორო გვარდიის რეპუტაცია ასე დაკნინებული არასოდეს ყოფილა.



ნაპოლეონი საიმპერატორო გვარდიას არა მხოლოდ დიადი არმიის „ყველაზე დიდ რეზერვად“, არამედ მეთაურთა კადრების სამჭედლოდაც მიიჩნევდა...

## მოწინააღმდეგეთა თვალით დანახული ნაპოლეონის გვარდია

გვარდიის დადებით მხარეებს უარყოფითი რომ სჭარბობდეს, განა გამოიწვევდა იგი ისეთ პატივისცემას, როგორითაც ის მოწინააღმდეგეებს შორის სარგებლობდა; ან ისტორიკოსები რატომ შეასხამდნენ ქება-დიდებას?

„როგორც იქნა, მოგვიახლოვდა ძველი გვარდია. მის შუაგულში თავად ნაპოლეონი იდგა. [...] მოწინააღმდეგემ, რომელმაც ჩვენი ხმაურიანი რიგები დაინახა, იარაღმომარჯვებულმა ფეხის აუჩქარებლად, ამაყად განაგრძო სვლა. რამდენჯერ ვცადეთ მათი მჭიდრო კოლონის გარღვევა, მაგრამ ამაოდ. ჩვენს ყველა იერიშს იგერიებდნენ და უვნებელნი რჩებოდნენ... ვერასოდეს დავივიწყებ მათ თავისუფალ და მძიმე ნაბიჯებს, რომლებიც სულ უფრო გვიახლოებდნენ სიკვდილს და შემზარავ შიშს გვინერგავდნენ. ვერ დავივიწყებ მრისხანე და სასტიკ მზერას, რომელიც განადგურებით გვემუქრებოდა!“ — იხსენებდა დენის დავიდოვი. 1812 წელს ფრანგებმა სმოლენსკი ბრძოლის გარეშე დატოვეს და რუსეთიდან გაბრუნება გადაწყვიტეს. გენერალ ერმაკოვის მტკიცებით, ამ ამბავმა ფელდმარშალი კუტუზოვი ფრიად გაახარა, რადგან იცოდა, რომ რუსებთან შედარებით ნაპოლეონის გვარდია უფრო გაბედულ ნაბიჯზე იყო წამსვლელი.

საიმპერატორო გვარდიის წინაშე ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა არტურ კონან დოილმაც მოიხადა ვალი. ბრიგადირ ეტიენ ჟერარის თავგადასავლის აღწერისას იგი წერს: „კავალერიის უკან იდგა ძველი გვარდია, თორმეტი

ლეგიონი, ყველა მათგანი ვეტერანი, მრისხანე და შეუპოვარი, გრძელ შინელებსა და დათვის ქუდებში... მათ გვერდით ჩავლისას ვფიქრობდი, რომ ეს ადამიანები არ ცნობენ მარცხს. მათი მკაცრი და მშვიდი სახეებისა შემხედვარე მივხვდი, რომ გვარდიის ძლევა შეუძლებელია“.

## გვარდიის როლი და მნიშვნელობა

არსებობს მოსაზრება, რომ საიმპერატორო გვარდიას ბრძოლაში არასოდეს დასჭირვებია „დამაგვირგვინებელი შეტევის“ გამოყენება. ეს მართლაც ასეა, მაგრამ გვარდია მხოლოდ ბრძოლას როდი გულისხმობდა. იგი საფრანგეთში ძლიერ საზოგადო-პოლიტიკურ ინსტიტუტს წარმოადგენდა, რომლის რიგებში სამსახური მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სოციალურ საფეხურზე დასაწინაურებლად, საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის მოსაპოვებლად.

ჯარის სხვა ნაწილებთან შედარებით, გვარდიისათვის პრივილეგიების მინიჭებით ნაპოლეონი ცდილობდა შეჯიბრების სული გაეღვიძებინა ქვეშევრდომებში. სოციალური კანონი ვალმოხდილი გვარდიელების უზრუნველყოფის შესახებ ასევე ხაზს უსვამდა მათ უპირატესობას. პირველი კონსულის 1802 წლის 9 ოქტომბრისა და 1805 წლის 29 იანვრის დეკრეტების მიხედვით, ისინი 1,5-ჯერ მეტ პენსიას იღებდნენ, ვიდრე სხვები. სამოქალაქო სამსახურში გადასვლის შემთხვევაში, პრივილეგიები არ იცვლებოდა. ბრძოლის დროს მიღებული მძიმე ტრავმების მქონე ჯარისკაცები და ოფიცრები სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ინვალიდების სახლებში ნაწილდებოდნენ, მათ ურიგებდნენ მიწებს, აძლევდნენ მაღალანაზღაურებად თანამდებობებს სასაზღვრო გარნიზონებში, საბაჟოებზე და სხვ.

ნაპოლეონის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო, შეექმნა „ერთიანი ევროპა“ (ევროპა აქ მთელ დედამიწას გულისხმობს), რომლის ლიდერიც საფრანგეთი იქნებოდა. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იმპერატორის გვარდიას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა: მის შემადგენლობაში შედიოდნენ არა მხოლოდ ევროპელები (გერმანელები, ბერძნები), არამედ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც (ჩერქეზები, ქართველები, სომხები, კოპტები). ნაპოლეონი არ იღებდა გვარდიაში მხოლოდ ესპანელებს, მის მონათესავე ერებსა და პირენეს ნახევარკუნძულზე მოსახლე ხალხებს. რა თქმა უნდა, ფრანგების რაოდენობა გვარდიაში ყველა სხვა ეროვნებას აღემატებოდა, ისინი თავს პრივილეგირებულ ერად მიიჩნევდნენ. 1809 წლის დეკემბერში, აღლუმზე ქვეითი გრენადერების მეორე ლეგიონმა უკმაყოფილება გამოთქვა, როდესაც ნაპოლეონმა ხორვატები შეაქო, ხოლო ფრანგებს ნაკლები ყურადღება მიაქცია. შესაძლოა, ვიღაცამ ეს ფაქტი შოვინიზმის გამოვლინებად ჩათვალოს, თუმც ჩემი აზრით, იგი სიცოცხლის ბოლო წვეთამდე ერთგული მეომრების „ბავშვურ“ ეჭვიანობას უფრო ჰგავს.

საიმპერატორო გვარდიაში შესვლისათვის სოციალური ბარიერი არ არსებობდა, რის გამოც იგი უპირატესად პლებეებისაგან, უბრალო ხალხისაგან შედგებოდა. 1810 წელს გრაფმა დორსენმა და როგემ იმპერატორს შესთავაზეს გვარდიის შემადგენლობა თავადაზნაურების ფენიდან შეევსო. ეს ნაპოლეონსაც ხელს აძლევდა, რადგან ამგვარად შეძლებდა რევოლუციამდელი და ახალი საზოგადოებების გარკვეულწილად მორიგებას. დორსენს შორს გამიზნული სურვილი ამოძრავებდა, — მას სურდა დაემყარებინა მჭიდრო კავშირი არა მხოლოდ ფრანგ საზოგადოებასთან, არამედ ევროპის მონარქიებთანაც, რასაც ხელი უნდა შეეწყო საფრანგეთისა და ევროპის სხვა სუვერენული ქვეყნების მორიგებისათვის.

დორსენისა და როგეს თამამი იდეები და საიმპერატორო გვარდიის განწყობილება არ ემთხვეოდა ერთმანეთს, რის შედეგადაც მათ რიგებში ჩარიცხულ ჯარისკაცთა ერთი ნაწილი (ჟანდარმები და საპატიო გვარდია) გვარდიამ გარიყა.

იმპერატორული საზოგადოების შექმნის მიზნით და ძველი და ახალი დროის დიდებულების ამბიციის დასაცხრომად შერწყმის პოლიტიკის სამოქალაქო და სამხედრო საზოგადოებებში გატარება კრახით დასრულდა, მათ შორის საიმპერატორო გვარდიაშიც.

საიმპერატორო გვარდია, რა თქმა უნდა, ნაპოლეონის სამხედრო ინსტრუმენტს წარმოადგენდა, მაგრამ არ შეიძლება, არ გავიხსენოთ მისი საქმიანობის სხვა ასპექტებიც. უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ ის საზოგადოებრივი ვითარება, რომლის წიაღშიც იგი აღმოცენდა. შესაძლოა, ნაპოლეონი მას არა მხოლოდ საერთო-ევროპული არმიის, არამედ საერთოევროპული საზოგადოების მოდელადაც ჭვრეტდა, სადაც ძველი გვარდიის როლს საფრანგეთი შეასრულებდა.

ნაპოლეონს სურდა ევროპაში ახალი სახელმწიფო შეექმნა, ისეთივე, როგორიც ალექსანდრე მაკედონელის და რომის იმპერიები იყო, ოღონდ ცენტრის როლი საფრანგეთს უნდა დაჰკისრებოდა.

განგებამ სხვაგვარად ინება... ათი წლის არსებობის შემდეგ ჩანასახში მყოფი ნაპოლეონის იმპერია უკვალოდ გაქრა. უდიდესი მხედართმთავრის, „პატარა კაპრალის“ ფანატიკური ერთგულებითა და თავგანწირვით გამორჩეულმა გვარდიამ კი ისტორიის ფურცლებზე დამსახურებული ადგილი დაიკავა.


არსებობს მოსაზრება, რომ საიმპერატორო გვარდიას ბრძოლაში არასოდეს დასჭირვებია „დამაგვირგვინებელი შეტევის“ გამოყენება. ეს მართლაც ასეა, მაგრამ გვარდია მხოლოდ ბრძოლას როდი გულისხმობდა. იგი საფრანგეთში ძლიერ საზოგადო-პოლიტიკურ ინსტიტუტს წარმოადგენდა, რომლის რიგებში სამსახური მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სოციალურ საფეხურზე დასაწინაურებლად, საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის მოსაპოვებლად.



# ბიოლოგიური საფრთხეები და ბიოუსაფრთხოება

## ბიოლოგიური იარაღი

ბიოლოგიური იარაღის შექმნის იდეა ადამიანმა ცოცხალი ბუნებისგან ისესხა. ბიოორგანული ტოქსინებისა და ცოცხალი არსებების (ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების) საბრძოლო საშუალებად გამოყენება იმაზე ადრე გაჩნდა, ვიდრე მეცნიერული ცოდნა მათ შესახებ.

ჩვ. წ. აღ.-მდე VI საუკუნეში ასირიელები მოწინააღმდეგეთა ჭებს შხამიანი სოკოთი აბინძურებდნენ, რაც მტრის ბანაკში ბოდვით აშლილობებს იწვევდა. ძველი ბერძნები მტრის სასმელ წყალში უშვებდნენ ტოქსიკურ მცენარეებს. ჩვ. წ. აღ.-მდე IV საუკუნეში ზოგიერთი ტომი ბრძოლაში იყენებდა ცხოველთა ექსკრემენტებში ამოვლებულ ისრებს, მტრის ჭრილობების ინფიცირების მიზნით. ჩვ. წ. აღ.-მდე 204 წელს, ჰანიბალის ბრძანებით, მისმა ჯარისკაცებმა პერგამონის საომარ გემებზე შხამიანი გველებით სავსე თიხის ქოთნები ისროლეს.

1346 წელს შავი ჭირით დაღუპული ჯარისკაცების გვამები ოქროს ურდოს მეომრებმა თეოდოსიის ციხე-ქალაქის შიგნით გადაყარეს, რითაც, სავარაუდოდ, დაიწყო შავი ჭირის დიდი ეპიდემია ევროპაში. შავი ჭირით დაღუპულთა გვამებისა და ექსკრემენტების კატაპულტებით გადაყრა მოწინააღმდეგეთა ციხეებში გავრცელებული ტაქტიკა იყო შუა საუკუნეებში.

XVII-XVIII საუკუნეებში ამერიკის კონტინენტზე ევროპელთა მიგრაციამ დიდად დააზარალა აბორიგენი მოსახლეობა, — გავრცელდა (ზოგიერთი მოსაზრებით — მიზანმიმართულად) ამერიკის კონტინენტისთვის იქამდე უცხო ინფექციური დაავადებები, რომელთა მიმართ იმუნიტეტი არ არსებობდა. შედეგი კატასტროფული აღმოჩნდა — ადგილობრივი პოპულაციების რიცხოვნება 50-90%-ით შემცირდა. XIX საუკუნეში კალიფორნიაში რუსეთიდან შეტანილი მეორადი, იაფფასიანი საქონლით ვაჭრობამ გაავრცელა ყვავილის ეპიდემია.

უკვე დღეს ბიოლოგიური იარაღი (BW), ისევე როგორც ბირთვული და ქიმიური, მიეკუთვნება მასობრივი განადგურების იარაღს (WMD) და წარმოადგენს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის მასობრივი განადგურებისთვის განკუთვნილ პათოგენურ აგენტებს (ბაქტერიები, ვირუსები, სოკოები, ბიოორგანული ტოქსინები, ინფიცირებული ორგანიზმები). მათი გადატანა შესაძლებელია მართვადი ჭურვებით, ავტომატური აეროსტატებით, ავიაბომბებით, ხელყუმბარებითა და აეროზოლებით.



ბიოლოგიური იარაღის დამაზიანებელი მოქმედება დამყარებულია პათოგენური მიკროორგანიზმებით, ვირუსებითა და ორგანული ტოქსინებით (როგორიცაა, მაგალითად, ბოტულინური ტოქსინი) დაავადების გამოწვევაზე. ადამიანი ავადდება ბიოლოგიური აგენტის მოხვედრით, ინჰალაციის გზით, რესპირატორულ სისტემაში, კანზე ან ლორწოვანზე კონტაქტით, დაავადებული ცხოველის (ყველაზე ხშირად — მწერის) ნაკბენით, საჭმლის მომნელებელ სისტემაში მოხვედრით საკვებიდან ან წყლიდან. ბიოლოგიური იარაღის სახით გამოყენებული დაავადებების უმრავლესობა ძლიერ გადამდებია და შეიძლება მასობრივი ეპიდემიის მიზეზი გახდეს.

მასობრივი განადგურების ბიოლოგიურ იარაღად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინფექციური დაავადებების ისეთი გამომწვევები, როგორებიცაა:

ბაქტერიული აგენტები — შავი ჭირის, ტულარემიის, ბრუცელოზის, ტიფის, ჯილეხის, ქოლერის გამომწვევები.

ვირუსული აგენტები — ყვავილის, ჰემორაგიული ცხელებების, გრიპისა და ენცეფალიტის გამომწვევები.



ანტიბიოლოგიური თავდაცვის სწავლებებს ყველა ქვეყნის სამხედრო უწყებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება

სოკოვანი აგენტები – კოკციდიომიკოზის, ჰისტოპლაზმოზის გამომწვევები.

ბიოლოგიური იარაღი შეიძლება, აგრეთვე, გამოყენებულ იქნეს მოწინააღმდეგის სოფლის მეურნეობის დაზარალების მიზნით. სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ინფიცირებისათვის გამოიყენება ჭირის, ქოლერის, ჯილეხის, აფრიკული ცხელების, ცოფის გამომწვევები. აგროკულტურების დაზიანების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ბაქტერიული და სოკოვანი აგენტები, ისე მწერი-მავნებლები.

მალაიზიისა და ვიეტნამის წინააღმდეგ აშშ-მა გამოიყენა ე.წ. ჰერბიციდული იარაღის პროგრამა, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბიოტოქსინებით განადგურებას ისახავდა მიზნად. ცივი ომის პერიოდში აშშ, საბჭოთა აგრესიის შემცირების მიზნით, ავითარებდა ბიოჰერბიციდულ პროგრამას მარცვლეული კულტურების წინააღმდეგ. დაავადების გამომწვევებისგან დამზადდა ბიოლოგიური იარაღი – საავიაციო ბომბების სახით, მათი მოწინააღმდეგის სარწყავ სისტემაში ჩასაყრელად და მცენარეთა დაავადების გამოსაწვევად.

1980 წელს საბჭოთა კავშირში, საიდუმლო პროგრამის ფარგლებში, კოდური სახელწოდებით „ეკოლოგია“, შეიმუშავეს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების დაავადებათა (საქონლისა და ფრინველის ჭირი, ღორის აფრიკული ცხელება) გამომწვევი ბიოლოგიური იარაღი, რომლის გამოყენება (მოსხურების გზით) და გავრცელება ავიაციას შეეძლო.

ბიოლოგიური იარაღის „იდეალური“ მახასიათებლებია:

ბიოლოგიური აგენტის (ბაქტერია, სოკო, ვირუსი) მაღალი პათოგენურობა;

იმუნიზაციის (ვაქცინა, შრატი) ხელმისაწვდომობა;

ადვილად გავრცელების (აეროზოლის საშუალებით) შესაძლებლობა;

გამოწვეული დაავადების მაღალი კონტაგიოზურობა და ლეთალობა;

სწრაფი და იოლი ტექნოლოგია.

ბიოლოგიური იარაღის ფლობის ძირითად სირთულეს წარმოადგენს არა იმდენად წარმოების ტექნოლოგია, არამედ სამიზნეზე გავრცელების ეფექტიანობა. ამ თვალსაზრისით, ჯილეხის ჩხირი (Bacillus anthracis) ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ბიოლოგიურ აგენტს წარმოადგენს, რაც ფაქტორთა რიგით არის განპირობებული: ჯილეხის ჩხირი წარმოქმნის მდგრად სპორებს, ჩხირი ადვილად ვრცელდება აეროზოლის საშუალებით, გამოწვეული ფილტვის ინფექცია სამიზნე ობიექტის მაღალი ლეთალობით (80%) ხასიათდება, დაავადება ექვემდებარება ანტიბიოტიკოთერაპიას. ჯილეხის ჩხირით თავდასხმა საჭიროებს 1,5 – 5 მკმ (მიკრომეტრი) ნაწილაკებიან აეროზოლს. შედარებით დიდი ზომის აეროზოლი გამოიყენება რესპირატორულ სისტემაში მოსახვედრად, უფრო მცირე კი – ექსჰალაციისათვის.

1925 წელს ჟენევის საერთაშორისო პროტოკოლით ბიოლოგიური იარაღის გამოყენება აიკრძალა, თუმცა სამწუხარო ფაქტები შემდეგაც არაერთხელ გამოვლინდა. მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის არმიის 731-ე დანაყოფმა ათასობით ჩინელსა და კორეელს მიაყენა ბიოლოგიური დარტყმა (ქოლერის ჩხირით), რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა.

1941 წელს, გერმანიისა და იაპონიის ბიოლოგიური შეიარაღების განვითარების საპასუხოდ, აშშ-მა, გაერთიანებულმა სამეფომ და კანადამ ბიოლოგიური იარაღის განვითარების პროგრამა დაიწყეს. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ცენტრები მერილენდში, იუტაში, ინდიანაში, მისისიპიში. ამ მიმართულებით მუშაობდნენ გაერთიანებულ სამეფოში, შოტლანდიაში.

1965 წელს რიჩარდ ნიქსონის ინიციატივით აშშ-ში შეჩერდა ბიოლოგიური იარაღის წარმოება და შენარჩუნდა მხოლოდ ბიოსაფრთხეების კვლევითი და პრევენციული მიმართულება.

1972 წელს აშშ-ში მიღებულ იქნა ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის კონვენცია, რომლის მიხედვით აიკრძალა მიკროორგანიზმებისა და მათი პროდუქტების წარმოება, განვითარება და გამოყენება საომარი მიზნებისათვის. 1996 წლისთვის ამ კონვენციას 137 ქვეყანა შეუერთდა. მიუხედავად ამისა, მონტერეის საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მონაცემებით, არსებობენ ქვეყნები (მათ შორის კონვენციის წევრი), რომლებიც მიჩნეული არიან ბიოლოგიური იარაღის შესაძლო მწარმოებლებად:

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 1987 წელს შეუერთდა ბიოლოგიური იარაღის კონვენციას, მაგრამ ვარაუდობენ, რომ კორეას სწორედ 80-იანი წლებიდან აქვს შეიარაღებაში ბოტულინური ტოქსინი, აგრეთვე, ტიფისა და შავი ჭირის გამომწვევი აგენტები.

ეგვიპტე ბიოლოგიური იარაღის კონვენციის წევრი ქვეყანაა. უსაფრთხოების ექსპერტების უმრავლესობის მოსაზრებით, მას არ აქვს ბიოლოგიური იარაღის შექმნისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, თუმც ისრაელის სპეცსამსახურების ვარაუდით, ეგვიპტეში პათოგენური აგენტების წარმოების მიზნით მაინც მიმდინარეობს სამხედრო-სამეცნიერო კვლევები.

მეზობელი სახელმწიფოების ვარაუდით, (სარწმუნო ცნობები არ არსებობს) ისრაელი, კერძოდ, nes-cionis ბიოლოგიური კვლევების ინსტიტუტი, ავითარებს ბიოლოგიური თავდასხმის იარაღის პროგრამას. მათივე მონაცემებით, 1948 წელს ისრაელის სამხედრო სპეცდანიშნულების ძალებმა ქალაქ ხაიფასთან სასმელ წყალში ტიფისა და დიზენტერიის გამომწვევი ბიოლოგიური აგენტები ჩაუშვეს. ისრაელის მოქალაქე აქტივისტების ჯგუფი აპროტესტებს ამ ინსტიტუტის გაფართოებას, რაც გამოწვეულია ინსტიტუტის თანამშრომელთა შორის ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების ზრდითა და ახლომდებარე რაიონებიდან მოსახლეობის მოსალოდნელი ევაკუაციით.

ინდოეთი ბიოლოგიური იარაღის კონვენციის წევრია 1974 წლიდან და მართალია, ინტენსიურად ავითარებს ინფექციური აგენტებისგან თავდაცვის პროგრამას, ზოგიერთი ექსპერტი ბიოლოგიური იარაღის პოტენციურ მწარმოებლად მიიჩნევს.

ერაყი ბიოლოგიური იარაღის პროგრამას 1985-1990 წლებში ახორციელებდა. მის ფარგლებში შექმნილია ბოტულინური ტოქსინის გამავრცელებელი 25 ერთეული სარაკეტო ქობინი და 166 ერთეული (თითოეუ-

ლი 180 კგ) ავიაბომბი. ერაყმა აღიარა, რომ ამ პერიოდში აწარმოებდა 20000 ლ ბოტულინური ტოქსინის შემცველ და 8425 ლ ჯილეხის ჩხირის შემცველ ხსნარებს, ვირუსული ინფექციების (მათ შორის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა) გამომწვევ აგენტებს. დღეისათვის ერაყში ბიოლოგიურ იარაღზე კონტროლს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ახორციელებს.

ირანი 1929 წლიდან წევრია ჟენევის პროტოკოლისა, ხოლო 1973 წლიდან ბიოლოგიური იარაღის კონვენციისა. ინფორმაცია ირანის შეიარაღებაში ბიოლოგიური აგენტების ფლობისა თუ წარმოების შესახებ, პრაქტიკულად, მიუწვდომელია, თუმცა აშშ-ის მთავრობა ვარაუდობს, რომ ირანში ბიოლოგიური იარაღის წარმოება სწორედ 70-იანი წლებიდან დაიწყო და დღესაც ფარულად გრძელდება მშვიდობიანი ბიოტექნოლოგიის პროგრამის ფარგლებში. ირანის ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს ამ ბრალდებას.



ამ სამხედროს თითქოს სახუმაროდ აქვს საქმე, მაგრამ ამ კასრებს მინიბზარი რომ ჰქონდეს...

ყაზახეთი არ არის ბიოლოგიური იარაღის კონვენციის წევრი, თუმცა, არაოფიციალურად, აღიარებს ბიოლოგიური იარაღის გაუვრცელებლობის პოლიტიკას. 1993 წელს ყაზახეთში, ჯანდაცვის სამინისტროს იურისდიქციით, შეიქმნა ეროვნული ბიოტექნოლოგიის ცენტრი, რომელმაც გააერთიანა საბჭოთა პერიოდში ქვეყანაში არსებული ბიოლოგიური იარაღის წარმოების ყოფილი ობიექტები, როგორებიც იყო: ჯილეხის ჩხირის მწარმოებელი „ბიომედპრეპარატი", სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების გამომწვევი ბიოლოგიური აგენტების მწარმოებელი „ბიოკომბინატი", შავი ჭირის კვლევითი ინსტიტუტი (ახლა ზოონოზური ინფექციების სამეცნიერო ცენტრი). უკანასკნელ ორ ობიექტზე დღემდე ინახება საშიშ მიკროორგანიზმთა შტამების დიდი რეზერვი, ხოლო „ბიომედპრეპარატი" ლიკვიდირებულია.

ლიბანი 1982 წელს შეუერთდა ბიოლოგიური იარაღის კონვენციას. აშშ-ის მთავრობის ვარაუდით, ლიბანი ბიოლოგიური იარაღის შექმნის მიზნით თანამშრომლობს სამხრეთ აფრიკელ სპეციალისტებთან, თუმცა ლიბანი კატეგორიულად უარყოფს ამ ბრალდებას.

სირია ჟენევის კონვენციის წევრია 1968 წლიდან, ხოლო 1972 წელს ხელი მოაწერა ბიოლოგიური იარაღის კონვენციას, თუმც რატიფიცირების გარეშე. ექსპერტები გერმანიიდან და ისრაელიდან ვარაუდობენ, რომ სირიას აქვს ჯილეხის ჩხირისა და ბოტულინური ტოქსინის რეზერვი, ქვეყნის ფარმაცევტული ინფრასტრუქტურა კი ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობის რეალურ შესაძლებლობას იძლევა.

ტაივანმა 1972 წელს ხელი მოაწერა ბიოლოგიური იარაღის კონვენციას, თუმც რატიფიცირების გარეშე. კანადის უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურის მონაცემებით, ტაივანი კულტივირებს 30-ზე მეტ ბაქტერიას, რომლებიც, სავარაუდოდ, განკუთვნილია სამხედრო მიზნებისთვის.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ბიოლოგიური იარაღის კონვენციის წევრია, თუმცა ახორციელებდა ბიოლოგიური შეიარაღების პროგრამას კოდური სახელწოდებით „ნაპირი". გამოითქვა ვარაუდი, რომ ხელისუფლება ჯილეხის გამომწვევსა და ბოტულინურ ტოქსინს იყენებდა პოლიტიკური მკვლელობებისთვის. 1990 წელს პრეზიდენტმა ფრედერიკ დე კლერკმა გამოსცა ბრძანება პათოგენური აგენტების სფეროში ნებისმიერი სამუშაოს შეწყვეტის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ბიოლოგიური შეიარაღების ყველაზე მსხვილი ობიექტი განთავსებული იყო უზბეკეთის ტერიტორიაზე. დღეს უზბეკეთი ბიოლოგიური იარაღის კონვენციის წევრი ქვეყანაა და მის მიერ ბიოლოგიური იარაღის წარმოების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, თუმცა საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ უზბეკეთმა საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით მიიღო ბიოლოგიური იარაღის მწარმოებელი რამდენიმე ობიექტი, პათოგენური ბაქტერიებისა და ვირუსების დიდი კოლექცია. უზბეკეთისა და აშშ-ის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია ბიოლოგიური შეიარაღების შემცირებისა და ბიოლოგიური რეზერვების უტილიზაციის ორეტაპიანი პროექტი. 2002 წელს პროექტის პირველი ეტაპის განხორციელების მიზნით (რომელიც ითვალისწინებდა ჯილეხის სპორებით დაბინძურებული 11 სამარხის გაუვნებლებას) აშშ-მა 6 მლნ დოლარი გამოყო.

სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოში რეალური გახდა ბიოლოგიური ტერორიზმის საფრთხე – საშიში ბიოლოგიური აგენტების გამოყენებით ცოცხალი რესურსის დაზარალება პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნებით. ამდენად, თანამედროვე ტერორიზმის ყველაზე უფრო გამოხატული ფორმა – ტერორისტული აფეთქებები მხოლოდ ზედაპირია იმ საფრთხისა, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს ტერორიზმი, რომლის სიღრმეში იმალება ისეთი ვერაგი საშუალება, როგორიც ბიოლოგიური იარაღია.

ეს კასრები კი ვიეტნამელების მოსაწამლად ივსებოდა...


მოამზადა
ნონა თადუმაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცივი გონებით, დაუნდობლად

**იმ ოცდაათწლიანი განუწყვეტელი ომის მსვლელობისას, რომლის დროსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიცია და სამხედრო ძალები კონტრპარტიზანულ ომს აწარმოებდა შავკანიან აჯანყებულთა წინააღმდეგ, შეიქმნა რამდენიმე საგანგებო დანიშნულების ქვედანაყოფი, რომლებმაც ამავე ომში ასეთი ძალების ეფექტიანობა და, აქედან გამომდინარე, აუცილებლობა დაამტკიცეს.**



ფართოდ გაითქვა სახელი №32-მა ბატალიონმა „ბუფალომ" და კომანდოსების სადაზვერვო ჯგუფებმა (Reconnaissance commando - Recces) უფრო ნაკლებცნობილი, მაგრამ არანაკლებ ეფექტიანი გახლდათ საგანგებო სტატუსის მქონე, სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის პოლიციის რაზმი „კოევეტი" („Koevoet").

სამხედრო სპეციალისტთა აზრით, „კოევეტი" სამხრეთ აფრიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი ანტიპარტიზანული შენაერთი იყო. მისი მოვალეობა იყო სამხრეთ აფრიკის მიერ ოკუპირებული ნამიბიის ტერიტორიის გაკონტროლება, რომელიც ანგოლასა და ზამბიას ესაზღვრებოდა. გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან სწორედ ამ ტერიტორიების გავლით შემოდიოდნენ შეიარაღებული აჯანყებულები ნამიბიაში.

ომი 1959 წელს დედაქალაქ უინდჰუკში დაიწყო, როცა შავკანიანი მოსახლეობის სეგრეაციულ რაიონებში გასახლების საპროტესტო დემონსტრაციის გარეკვის დროს სამხრეთ აფრიკის პოლიციას 11 შავკანიანი შემოაკვდა, 50 კი დაჭრა. სწორედ ამ მოვლენამ უბიძგა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო მოძრაობის ორგანიზაცია. 1966 წლის 26 აგვისტოს პირველად შეეჯახნენ ერთმანეთს აჯანყებულები და სამხრეთაფრიკელი პოლიციელები. ერთი თვის შემდეგ პარტიზანებმა სახელმწიფო ადმინისტრაციული კომპლექსების განადგურება და თეთრი ფერმერების სავარგულები ჩაიგდეს ხელთ. სახალხო მოძრაობის ძალები, რომელთა ძირითადი ბაზებიც საზღვარგარეთ, დამოუკიდებელ ზამბიასა (ყოფილი ჩრდილოეთი როდეზია) და ანგოლაში (1975 წლიდან) იყო განლაგებული, ნამიბიაში გადასასვლელად ანკლავ კაპრივს იყენებდნენ. ეს უკანასკნელი ქვეყნის საზღვართან, ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ხმელეთის ვიწრო ზოლი იყო. ამავე გზით სარგებლობდნენ აფრიკის ეროვნული კონგრესის ბოევიკებიც. სწორედ ამ სასიცოცხლო გზის გადასაკეტავად შეიქმნა საგანგებო დანიშნულების შენაერთები, რომელთაგან ერთ-ერთი „კოევეტიც" იყო. მოგვიანებით დასავლეთ კაპრივში განალაგეს საგანგებო ძალების ბაზა Reconnaissance Commando (Recces) ფოტი დოპისი. მდინარე ზამბეზიზე, რომელზეც საზღვარი გადიოდა, დააარსეს თავდაცვითი დასახლებები და შემოიღეს კომენდანტის საათი. აგრეთვე მიიღეს საკანონმდებლო აქტი, კანონი „ტერორიზმის შესახებ", რომლის მოქმედების ქვეშ მოექცა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა არასახელმწიფო შეიარაღებული პირი. საგანგებო ქვედანაყოფ „კოევეტის" შექმნის ინიციატორი ჰანს დრეიერი გამოცდილი კაცი იყო. იგი როდეზიის საგანგებო ძალებში მსახურობდა იან სმიტის რეჟიმის ზეობისას. პირადად მონაწილეობდა ანტიპარტიზანულ ბრძოლებში და კარგად იცნობდა „სელუსას სკაუტების" (ახალგაზრდული სპორტული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ბავშვთა ფიზიკური აღზრდა და სამხედრო მომზადება) ბრძოლის ტაქტიკას. გარდა ამისა, დრეიერს კარგად ჰქონდა შესწავლილი პორტუგალიის კოლონიური ძალების საგანგებო ქვედანაყოფების მოქმედება ანგოლასა და მოზამბიკში. ცხადია, ასეთი გამოცდილი ადამიანი მოუმზადებლად არ გადაეშვებოდა ბრძოლაში. იგი ჯერ ნამიბიაში ჩავიდა, სადაც რამდენიმე თვის განმავლობაში ეცნობოდა მდგომარეობას, აანალიზებდა დატყვევებული პარტიზანებისაგან მიღებულ ინფორმაციას და დაზვერვის მონაცემებს უდარებდა. ქვედანაყოფის პირველი რეკრუტები (რეკრუტი — ახალგაწვეული ჯარისკაცი) სახელმწიფო საპოლიციო ნაწილებიდან გაწვეული შავკანიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქეები იყვნენ. ოფიცრებად ინიშნებოდნენ სამხრეთ აფრიკის პოლიციაში ნამსახურევი მეომრები, როდეზიაში გამოცდილებამიღებული და სკაუტთა სკოლაგავლილი სამხედროები.

1985 წლის მაისამდე „კოევეტი" უშუალოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიციის კომისარს" გენერალ კოეტცეს ემორჩილებოდა. სწორედ მან აუნთო მწვანე შუქი ნამიბიაში სამოქმედოდ. ოთხმოციანი წლების პირველ ნახევარში კოევეტი თავის რიგებში ათასამდე მეომარს ითვლიდა და სამ ადგილას ბაზირებული სამი ქვედანაყოფისაგან შედგებოდა. მათი შტაბი განლაგებული იყო ქალაქ ოშაკატიში. ამ პერიოდში უკვე შეიძლებოდა საგანგებო ძალების ნებისმიერ დროს ნამიბიის ნებისმიერ წერტილში სწრაფი გადასროლა.



## „ლიტერელი" ქვედანაყოფი

საგანგებო შენაერთმა თავისი სახელწოდება „კოევეტი" იმ პირველი ოპერაციის კოდური სახელწოდებისაგან — ლიტერისაგან (ლიტერი — პირობითი ასოთი აღნიშნული დოკუმენტი) მიიღო, რომლითაც მისი საბრძოლო მოქმედებების ბიოგრაფია დაიწყო. ინფორმაციის გაჟონვის საწინააღმდეგოდ ოპერაცია ნამიბიის ერთ-ერთ რაიონ ოვამბოში ჩვეულებრივ საპოლიციო აქციის სახით დაიწყო. მოქმედი ჯგუფი ათი პოლიციელისგან შედგებოდა (თეთრკანიანები და შავკანიანები), მათ 64 ადგილობრივი შავკანიანი კონსტებელი ეხმარებოდა. თავიდან ოპერაცია წმინდა სადაზვერვო ხასიათისა გახლდათ. მისი მიზანი იმ ინფორმაციის მოპოვება და გადაცემა იყო, რომელიც პარტიზანებთან საბრძოლველად გამოდგებოდა (მოსახლეობის გამოკითხვა, აგენტურის მონაცემები, ეკლიანი მავთულით გაყოფილ საზღვრებზე მოწინააღმდეგის კვალის აღმოჩენა და სხვა). თავიდან ეს მცირე ზომის ლიტერული ორგანიზაცია მხოლოდ ამგვარ საქმეებს აგვარებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მას დაევალა უფრო სერიოზული საომარი ოპერაციები, კერძოდ, აჯანყებულთა დატყვევება ან მათი განადგურება. გაიზარდა რაზმების რიცხვი და მათი მოქმედების ეფექტიანობაც. ოფიციალური მონაცემებით, მარტო ერთი წლის განმავლობაში ქვედანაყოფმა გაანადგურა 511 პარტიზანი, თავად კი მხოლოდ 72 ჯარისკაცი დაკარგა. ამ დროისთვის უკვე ფრონტის ორივე მხარეს კარგად იყო ცნობილი „კოევეტის" სახელი.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან „კოევეტის" ტაქტიკამ ევოლუციური განვითარება დაიწყო: K-ს ქვედანაყოფები რამდენიმე „ხიპო"-ს ტიპის ჯავშანტრანსპორტიორით აღჭურვეს. მოგვიანებით ეს მოძველებული საომარი მანქანები სამხრეთ აფრიკაში დამზადებული უფრო თანამედროვე „კასპირ"-ებით შეცვალეს, „კასპირების" კონსტრუქცია სავანასა და უდაბნოში მისი ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლეოდა. საომარ მანქანას ჰქონდა საკმაოდ დიდი კლირენსი (კლირენსი — მანძილი ავტომობილის აგრეგატების ყველაზე დაბალ წერტილებსა და გზის ჰორიზონტალურ სიბრტყეს შორის), მძლავრი, ტყვიაგამძლე ბორბლები და დაჯავშნული ფსკერის V-მსგავსი ფორმა, რომელიც ნაღმების აფეთქებისაგან იცავდა მას. მძლავრი, გაწევუნარიანი, ექვსცილინდრიანი ძრავა, რომელიც საომარი მანქანის წინა ნაწილში იყო მოთავსებული, 6-მილიმეტრიანი ჯავშანფირფიტებით იყო დაცული. დახურულჯავშნიან კაბინაში მძღოლი და მეთაური თავსდებოდნენ. თავახდილ ძარაზე, რომლის ბორტებიც დაჯავშნული იყო, ხალვათად თავსდებოდა 12 სრულიად აღჭურვილი მეომარი. კაბინის სახურავზე ჩვეულებრივ მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი იყო დამონტაჟებული. გარდა ამისა, გვერდებზეც აყენებდნენ ორ-სამ, შედარებით მცირეკალიბრიან ტყვიამფრქვევს. არაჩვეულებრივი ფორმის კორპუსის გარდა „კასპირი" კიდევ ერთი ნიშნით გამოირჩეოდა — მას შეჯავშნულ გვერდებზე ტყვიაგაუმტარი შუშის ფანჯრებიც ჰქონდა. ჩრდილოაფრიკული პრესის მონაცემებით, იმ პერიოდში ქვეყანაში დაამზადეს და ნამიბიის სახმელეთო ჯარებს გადასცეს 2000-ზე მეტი „კასპირი".

„კასპირის" გარდა „კოევეტი" მშვენივრად იბრძოდა ჯავშანტრანსპორტიორ „ბუფელით", ამ საომარ მანქანას, მძღოლის ძარასთან გაერთიანებული ტყვიაგაუმტარფანჯრებიანი კაბინა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ კაბინის კოშკურა და ძარა თითქოს ცალკე ფუნქციონირებდა, იგი მჭიდროდ იყო მასზე მიმაგრებული და ნაღმების დეტონაციისგან დაცული საერთო-კონსტრუქციულ, ინტეგრირებულ ბლოკს ქმნიდა.

საომარი მანქანა ნებისმიერი ბორბლის ქვეშ აფეთქებული ნაღმის (ორი საბჭოთა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმის V-57-ის სიმძლავრეს) მოქმედებას უძლებდა. აუცილებლობის შემთხვევაში, დაზიანებული ბორბლის შეცვლა 40 წუთში შეიძლებოდა. შემინული შეჯავშნული კაბინა და ძარა საიმედოდ იცავდა ეკიპაჟს მოწინააღმდეგის ტყვიებისა და ყუმბარების ნამსხვრევებისგან. „ბუფალოს" ერთადგილიანი კაბინის უკან უსახურავო ძარა იყო მოთავსებული, რომლის გვერდების სიმაღლე მჯდომარე ჯარისკაცს თვალებამდე სწვდებოდა. ძარა ათ სრულად შეჭურვილ მეომარზე იყო გათვლილი. კაბინის სახურავზე და ძარის უკანა ნაწილში ტყვიამფრქვევები იყო დამონტაჟებული.

რაზმის საბრძოლო-ტაქტიკური ერთეულის საფუძველი გახდა ოთხი ჯავშანტრანსპორტიორისგან შემდგარი მექანიზებული ჯგუფი. თითო „კასპირში" ან „ბუფელში" ათ-ათკაციანი განყოფილება თავსდებოდა. ამას გარდა, ტაქტიკურ ერთეულს თან ახლდა სატვირთო ავტომანქანა და ბენზინმზიდი. თავისი არსით ეს ტაქტიკური ერთეულები აერთიანებდნენ მზვერავი ჯგუფებისა და მოტორიზებულ ქვეითთა ტაქტიკას. მათ შეეძლოთ ძირითად ძალებს მოწყვეტილებს შეესრულებინათ საომარი ამოცანები. ერთი კვირით ან უფრო მეტი ხნით გასულიყვნენ სავანაში საპატრულოდ ან პარტიზანებზე სანადიროდ. აუცილებლობის შემთხვევაში ჯგუფი შეიძლებოდა

რაოდენობრივად გაზრდილიყო. თითოეულ ჯგუფში ცალკე იყო გამოყოფილი რაზმი, რომელიც სადაზვერვო სამუშაოებს ასრულებდა: რაზმი, რომელიც მათ იცავდა და რაზმი, რომელიც „განსაკუთრებულ მისიას“ ასრულებდა. ძირითად ძალებს დიდი ხნით მოწყვეტის შემთხვევებში ჯგუფებს შვეულმფრენ „პუმებით“ ამარაგებდნენ. კავშირი კოდირებული რადიოტალღებით ხორციელდებოდა.

„კოევეტი“ გარდა პირადი შემადგენლობის საუკეთესო მომზადებისა, წარმატებას უპირველეს ყოვლისა, მოძრავი ჯგუფების ტაქტიკას უნდა უმადლოდეს. რაზმების თითოეულ ჯგუფს გამოყოფილი ჰქონდა ტერიტორია, რომელზეც პასუხს აგებდა. შტაბი თითოეული ზონის მდგომარეობას აფასებდა და აქედან გამომდინარე იძლეოდა დავალებებს.

სარდლობის შეფასებით, მობილური ჯგუფების წარმატების გარანტია იყო თავისუფალი და სწრაფი გადაადგილების უნარი და გადაწყვეტილების სწრაფი მიღება. არამოტორიზებული ქვეითებისგან განსხვავებით, ისინი რომელიმე ადგილმდებარეობასთან „მიბმული“ არ იყვნენ. პირდაპირ ჯავშანტრანსპორტიორიდან აწარმოებდნენ საომარ მოქმედებებს. დაზვერვის მონაცემების მიღებისთანავე ან მტრის დანახვისთანავე ებმებოდნენ ბრძოლაში. საომარი მანქანის სიჩქარე, მისი დაცულობა და საიმედოობა მებრძოლებს საშუალებას აძლევდა, სავანაში ან უდაბნოში, სწრაფად დასწეოდნენ მტერს, ალყა შემოერტყათ მისთვის და გაენადგურებინათ. აუცილებლობის შემთხვევაში სპეცრაზმელთა ნაწილი ჩამოქვეითებული აგრძელებდა გაქცეული მოწინააღმდეგის დევნას. ჯავშანტრანსპორტიორების „კასპირისა“ და „ბუფალოს“ სიმაღლე, რომელიც ჩვეულებრივ ბრძოლებში მათთვის დამღუპველი იქნებოდა (მაღალი პროფილის საომარი მანქანები არტილერიისთვის კარგი სამიზნეა), ადგილმდებარეობის კარგად დათვალიერებისა და ქვეითთა ჯგუფების ფლანგებიდან და ზურგიდან მხარდაჭერის საშუალებას იძლეოდა.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტაქტიკის დანერგვამდე სამხრეთ აფრიკის პოლიციური ძალების სარდლობას მიაჩნდა, რომ პარტიზანებთან ბრძოლებში ჯავშანმანქანების გამოყენება სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა. მთავარ როლს ანიჭებდნენ ავიაციასა და სპეცრაზმებს, რომლებიც გადასაადგილებლად ცხენებსა და მოტოციკლებს იყენებდნენ. მოგვიანებით კი, როგორც ზემოთ ვთქვით, „კოევეტმა“ დაამტკიცა ახალი ტაქტიკის უპირატესობა.

„კოევეტის“ ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა კვალმაძიებელთა განსაკუთრებული კატეგორია, ადგილობრივი ტომების წარმომადგენლები, რომლებიც ოდნავ შესამჩნევი ნიშნების მიხედვით სწრაფად ადგენდნენ, სავანის მოცემული მონაკვეთიდან რამდენი კაცი რომელი მიმართულებით იყო გადაადგილებული. გათელილი ბალახი, მოტეხილი ტოტები, გადაგდებული ნივთები, კოცონის ნარჩენები და სხვა, სპეცრაზმელთათვის ამოუცნობი ნიშნები მონადირე კვალმაძიებლებს საშუალებას აძლევდა ზუსტად მიეგნოთ მტრისთვის. გარდა ამისა, ქვედანაყოფი წარმატებით ნერგავდა ადგილობრივ ტომებთან ურთიერთობის სტილს, რომელიც თუ მეგობრული არა, ნეიტრალური ნამდვილად იყო. „კოევეტის“ თანამშრომლები პერიოდულად მიმართავდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა „გულისა და გონების დაპყრობის“ კამპანიას. ეს ღონისძიება „ბოფრის სტრატეგიის“ ჩარჩოებში მიმდინარეობდა. ფრანგი თეორეტიკოს ანდრე ბოფრის იდეებს დიდი ადგილი ეკავა სამხრეთ აფრიკის სამხედრო სასწავლებლების პროგრამაში, მათ შორის გაერთიანებული სამხედრო კოლეჯის პროგრამაში, რომელიც ჰქონდა დამთავრებული სპეცრაზმელთა ოფიცრების უმრავლესობას. ბოფრი დიდ ყურადღებას აქცევდა ბრძოლის „არაპირდაპირ“ ფორმებს, ბოფრის აზრით, კონტრპარტიზანულ ომში გამარჯვების გზა სწორედ ეს იყო. „იდეები იარაღზე გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია“, — ამბობდა იგი.

ნამიბიის პოლიციის მაღალჩინოსანთა აზრით, „კოევეტის“ სპეცრაზმელების მიერ წარმატებით გამოყენებულმა ანტიპარტიზანულმა ტაქტიკამ და მასთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის „გულისა და გონების“ დაუფლების კამპანიებმა დიდი როლი შეასრულა აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

1989 წლის ბოლოს საგანგებო ქვედანაყოფებმა გაანადგურეს 3900 აჯანყებული და დაატყვევეს ათასობით პარტიზანი, თავად კი მხოლოდ 167 მებრძოლი დაკარგეს.

## ძალადობამ სასწორის პინა გადაწონა

მიუხედავად ბოფრის თეორიის ფართოდ გამოყენებისა, „კოევეტის“ სპეცრაზმელებმა, ისევე როგორც „ბუფალოს“ 32-ე საგანგებო ბატალიონის ჯარისკაცებმა, დროთა განმავლობაში უპირატესობა საბრძოლო მოქმედებებს მიანიჭეს და დაივიწყეს ბატონი ბოფრიცა და მისი თეორიაც. ამის გამო სამხრეთ აფრიკის შეარაღებული ძალები საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკის ობიექტად იქცნენ. მათ „ტოტალურ მაროდიორობასა და ძალადობაში“ ადანაშაულებდნენ. პრესა საპოლიციო ოპერაციების ჩამტარებლებს ყველა ცოდვაში სდებდა ბრალს. გამოქვეყნდა აგენტების მიერ მოპოვებული სამხრეთ აფრიკის შეიარაღებული ძალების საიდუმლო დოკუმენტები, რომელთაგანაც ერთ-ერთში ნახსენები ის 50 ცნობილი ნამიბიელი, რომლებიც „კოევეტმა“ ღამით თავიანთივე სახლებში დახვრიტა. მალე ეს ამბავი სკანდალად იქცა და სამხრეთ აფრიკის პრესაშიც მოხვდა. 1983 წელს საგანგებო ნაწილების რამდენიმე მეომარი მკვლელობებისა და სხვა მძიმე ბრალდებებისთვის გაასამართლეს. სწორედ მაშინ გაიგო მსოფლიო საზოგადოებრიობამ ნამიბიის პოლიციაში ამ ქვედანაყოფების არსებობის შესახებ.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს „კოევეტი“ გაუქმდა. დასანანია, რომ ეს უნიკალური ქვედანაყოფი, რომელიც თითქმის მთლიანად შავკანიანი მებრძოლებისგან შედგებოდა, ძალადობისკენ გადახრამ დაღუპა.

**P.S.** ამავე „სცენარით“ და ასევე „ცივი გონებით და დაუნდობლად“ მოქმედებენ რუსები დღეს ჩრდილოეთ კავკასიაში, როგორც სამხრეთაფრიკული საგანგებო სამხედრო შენაერთი „კოევეტი“ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ნამიბიაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსხვილი კალიბრის ნიუანსები



BARRETT

მსხვილკალიბრიანი ხრახნილლულიანი სამხედრო იარაღი სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ვარიაციით, რამდენიმეჯერ გამოჩნდა. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ისინი ციხესიმაგრის შაშხანებს წარმოადგენდნენ, პირველ მსოფლიო ომში გამოჩნდა ტანკსაწინააღმდეგო თოფები, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის მიწურულს ისინიც ჩამოვიდნენ სცენიდან, თუმცა ორმოცი წლის შემდეგ ისევ აღდგა მსხვილკალიბრიანი სასნაიპერო შაშხანების სახით. კონსტრუქტორები მაშინ მის გაუმჯობესებაზე ფიქრობდნენ, საჭირო იყო გაეზარდათ მიზანმიმართული სროლის სიშორე და დამაზიანებელი მოქმედების ძალა, საჭირო იყო 12,7-მილიმეტრიანი ტყვიამფრქვევის ვაზნების ახალ იარაღზე მორგება და სროლის მიჯრილობის ეფექტიანობის ამაღლება. ახალ იარაღს მართალია ძლიერი უკუცემა ჰქონდა და მძიმეც იყო, სამაგიეროდ, მისმა მიზანმიმართულმა სროლის სიშორემ ათას ხუთას მეტრს გადააჭარბა. ამასთან, მცირეგაბარიტიანი შეჯავშნული სამიზნეების დაზიანების საშუალებაც გაჩნდა. ტერმინი „ანტისნაიპერული" შაშხანაც კი წარმოიშვა, იმის გამო, რომ იგი მიუწვდომელია ჩვეულებრივი, შედარებით მცირეკალიბრიანი შაშხანით შეიარაღებული სნაიპერისთვის. პრესის მონაცემებიდან ირკვევა, რომ მშვიდობის მხარდამჭერი საერთაშორისო ძალების ყოფილ იუგოსლავიაში მოქმედებისას წარმატებით გამოიყენებოდა ამერიკული ფირმა „მაკ მილანის" გამოშვებული 12,7-მილიმეტრიანი „კონტრსნაიპერული შაშხანები. გარდა ამისა, მსხვილკალიბრიან შაშხანას შეუძლია დააზიანოს სატრანსპორტო, მსუბუქჯავშნიანი მანქანები, რადიო და რადიოსალოკაციო სადგურები, სარაკეტო კომპლექსები, სათვალთვალო აპარატურა, აეროდრომებზე მდგარი შვეულმფრენები და თვითმფრინავები.

ასე რომ, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მსხვილკალიბრიანი, ხრახნილლულიანი იარაღის მრავალი სახეობა გამოჩნდა. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც სქემებით (ერთმუხტიანი, მჭიდიანი, თვითდატენვადი), ასევე კალიბრითა და ლულის სიგრძით. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მათგანი უზარმაზარი და მძიმეწონოსანი გამოვიდა. მაგალითად, ამერიკული M82A1 „BARRETT"-ი (ერთ-ერთი პირველი მსხვილკალიბრიანი

HECATE II



შაშხანაა, რომელიც 1991 წელს სპარსეთის ყურეში ომის დროს გამოიყენეს) P-50 ან „ბუმერ სერიეს“-ი, ფრანგული „ჰეკატე“, უნგრული „გეპარდ“-ი აგრეთვე საბჭოთა 14,5-მილიმეტრიან ტყვიაზე გათვლილი, ბელგიურ 15,5 მმ-იან და გერმანული 20-მილიმეტრიანი ტყვიის სროლაზე გათვლილი ნიმუშები. თუმცა ეს უკანასკნელი ქვემეხს უფრო ჰგავს, ვიდრე შაშხანას. ამავე თემაზე, რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირშიც მუშაობდნენ. სხვადასხვა სისტემის რიგ საცდელ ნიმუშებს შორის ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია თვითდატენვადმა შაშხანა OCB-91-მა (ტულის საკონსტრუქტორო ბიურო) და კოვროვის საიარაღო ქარხნის მსხვილკალიბრიანმა შაშხანა ACBK-მა. ორივე იარაღს შეუძლია 1000 მეტრის სიშორეზე დააზიანოს მსუბუქჯავშნიანი ტექნიკა, ხოლო ინდივიდუალურჯავშნიანი ცოცხალი ძალა 1500 მეტრის მანძილზე. ორივე შაშხანას აქვს მრავალჯერ გამადიდებელი ოპტიკური სამიზნე მოწყობილობები. იარაღის შესაძლებლობებს ამაღლებს 12,7-მილიმეტრიანი ვაზნა, რომელსაც ძლიერი ჯავშანგამტანობა და სროლის საუკეთესო მიჯრილობა ახასიათებს.

მსხვილკალიბრიანმა შაშხანებმა ახალ საომარ კომპლექსს „ვაზნა-იარაღი-სამიზნე“ ჩაუყარა საფუძველი.

# საიერიშო კომპლექსები

საგანგებო ძალების ქვედანაყოფებს პერიოდულად აწვდიან საიერიშო იარაღის ახალ ნიმუშებს, რომლებიც თითქმის იმავე ამოცანების გადასაწყვეტად არის განკუთვნილი. საგანგებო იარაღი გამოირჩევა ახლო ბრძოლებში ამაღლებული საცეცხლე თვისებებით, მაღალი დონის პორტატიულობით და სხვა შესაძლებლობებით. მსგავსი იარაღის ორი განსხვავებული მაგალითია „ჰეკლერ კოჰის“ MK23 MoD0 და რუსული კომპლექსი ОЦ-14 „გროზა“.




MK23 MoD0 საგანგებოდაა დამუშავებული აშშ-ის სპეციალური ოპერაციის ძალებისათვის. ეს იარაღი გაუმჯობესებული გერმანული USP-სა (ამერიკულმა ფირმებმა მარცხი იწვნიეს ამ კონკურსში) და ამერიკელებისათვის საყვარელი 45ACP-ს სროლას არის მისადაგებული. ისევე როგორც თანამედროვე პისტოლეტების უმრავლესობა, ისიც მარჯვენა და მარცხენა ხელით სროლაზეა გათვლილი. გარდა ამისა, პისტოლეტს საინტერესო დამატებები მოსდევს. კომპლექტში შედის უნივერსალური სამიზნებელი ბლოკი ლაზერული მიზნის მაჩვენებლისა და ფარანის ჩათვლით, აგრეთვე მოსახსნელი მაყუჩი. აწყობილი იარაღი 2 კილოგრამს იწონის და იმდენად უზარმაზარი ჩანს, რომ შესაძლოა მის მაგიერ სპეცრაზმელმა დავალების შესასრულებლად პორტატიული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის წაღება ამჯობინოს.




კომპლექსი ОЦ-14 „გროზა“ 9-მილიმეტრიანი ავტომატის საფუძველზე, მოდულის პრინციპითაა აგებული და СП-5 СП-6-ის ტყვიების სროლაზეა გათვლილი.

თავისი არსით ეს არის ჩემოდანში მოთავსებული „კონსტრუქტორი“, რომლისგანაც ადამიანს მოთხოვნილებისდა მიხედვით შეუძლია ააწყოს ოთხი ვარიანტიდან ერთ-ერთი: საიერიშო ავტომატი, მცირეგაბარიტიანი საიერიშო ავტომატი, სპეციალური ავტომატი (ПБС – მაყუჩით). ცხადია, გათვალისწინებულია მათზე ოპტიკური ან ღამის ხედვის სამიზნე მოწყობილობების დამონტაჟება.

კომპლექსმა საბრძოლო გამოცდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებში, მათ შორის აფხაზეთში გაიარა.

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. ფაშისტური გერმანის შეიარაღებული ძალები; 6. ინგლისური რევოლვერი; 7. ინგლისელი ფეხბურთელი ... კოული; 8. აშშ-ს ავიაბაზა გრენლანდიაზე; 9. ძველებური ხელის ცეცხლსასროლი იარაღი; 10. რომელიმე წყლის აუზში არსებული სამხედრო გემების ერთობლიობა; 13. ბრაზილიური რევოლვერი; 15. ჩვენებითი ნაცვალსახელი; 17. ამერიკული ავიაბაზა იტალიაში; 18. ჯარისკაცი თურქეთში; 19. დაქირავებული მკვლელი; 20. ჰოკეის სათამაშო დისკო; 2. ფრანგული რევოლვერი; 22. მომცრო სამხედრო გემი, რომელიც განკუთვნილია ბრძოლის საწარმოებლად ნაპირებთან; 25. საჰაერო ფლოტი; 27. სემინოლების ბელადი; 29. იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 30. ლითონის ფული; 31. ამერიკული კოსმოსური ხომალდი. 32. ავტომობილის ძარას ტიპი.

**შვეულად:** 1. ჯარის უფროსი ძვ. რუსეთში; 2. გერმანული პისტოლეტი; 3. უბანი თბილისში; 4. ბრიტანული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი; 5. ავსტრიული პისტოლეტი; 10. ესპანელი დიქტატორი, გენერალისიმუსი; 11. სამხედრო გემი, რომელიც განკუთვნილია წყალქვეშა ნაღმების აღმოსაჩენად და მოსასპობად; 12. ბერძნული ჯავშანტრანსპორტიორი; 14. ამერიკული პისტოლეტი; 16. გერმანული პისტოლეტი; 20. გერმანული პისტოლეტი; 23. ქართული ხალხური სიმღერა; 24. აშშ-ს რადიოელექტრონული სადაზვერვო თანამგზავრი; 26. ბუნების დამანგრეველი მოვლენა; 28. ინდური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის" პასუხები:* **თარაზულად:** 1. მენშიკოვი; 5. რახი; 6. რომსე; 8. ატლანტისი 11. შპანდაუ; 14. პანო; 15. არო; 16. მედინა; 17. შტეირი; 18. ტრეხო; 19. სიერა; 22. აგენტი; 23. სკაუტი; 24. არგო; 27. რადიუმი; 28. პორტუ; 29. ნატო; 30. ასი; 31. გოლფი; 32.სე; 33. ფიოდოროვი. **შვეულად:** 1. მერკავა; 2. ნოხალი; 3. კარატე; 4. ლეი; 7. მასრა; 9. იოვანოვიჩი; 10. მარში; 11. შობერი; 12. ნავიგაცია; 13. რომა; 14. პედერსენი; 19. სოკოლოვსკი; 20. ერუდიტი; 21. მატა; 25. რონალდო; 26. ორტგისი; 31. გრო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკრაინა კორვეტების მშენებლობას გეგმავს



ფრანგული პროექტ „გოვინდ 200“-ის კორვეტი

**უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ 2007 წლის 1-ელ ივლისს სევასტოპოლში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებს უახლოეს წლებში კორვეტის კლასის რამდენიმე ხომალდი დაემატება. პრეზიდენტის თქმით, ,,პროექტი უკვე ფორმირებულია და ეს იქნება ხომალდების მთელი სერია, რომლის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება“.**

შექმნის დღიდან პირველად უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალები (შეიქმნა 1992 წლის 5 აპრილს) სრულიად ახალ ხომალდს მიიღებს. უკრაინელ სამხედრო მეზღვაურებს ბოლო ხომალდი კორვეტი ,,ტერნოპოლი“ 2006 წელს თითქმის 15-წლიანი მშენებლობის შემდეგ გადაეცა.

გეგმის მიხედვით, 2007 წელს კორვეტის ესკიზური პროექტი დასრულდება, რისთვისაც ბიუჯეტიდან სპეციალური მუხლით 36 მილიონი გრივნია გამოიყო და 2008 წლისათვის განზრახულია ტექნიკური პროექტის დამთავრება. მოსალოდნელია, რომ 2009 წელს ნიკოლაევის ერთ-ერთ გემთსაშენ ქარხანაში ახალი პროექტის პირველ ხომალდს ჩაეყრება საფუძველი.

უკრაინელები ხომალდების აღჭურვისათვის სამამულო წარმოების სანავიგაციო აპარატურისა და მთავარი ენერგეტიკული დანადგარების გამოყენებას გეგმავენ, ხოლო შეიარაღებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები რუსეთთან, საფრანგეთთან, იტალიასა და ნიდერლანდებთან მიმდინარეობს.

ცნობილია, რომ კორვეტის წყალწყვა 3 ათასი ტონა, ცურვის სიშორე 4,5 ათასი მილი და ავტონომიურობა 30 დღე იქნება. ეს მაჩვენებლები განისაზღვრა უკრაინის გეოგრაფიული მდებარეობით, შავი და ხმელთაშუა ზღვების მასშტაბებითა და იმ ამოცანებით, რომლებიც უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების წინაშე შეიძლება დადგეს.

სხვა მონაცემების შესახებ უკრაინელები, ჯერჯერობით, არ საუბრობენ და ფართო საზოგადოებრიობისათვის, ალბათ, ესკიზური პროექტის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

იმ ამოცანათა შორის, რომლებიც ახალი პროექტის ხომალდმა უნდა გადაჭრას, განიხილება: სანაპირო რაიონების, სამხედრო-საზღვაო ბაზების, პორტების, რეიდების, გემებისა და ხომალდების სადგომების, ეკონომიკური ზონისა და საზღვაო საზღვრების დაცვა-პატრულირება; ბრძოლა წყალზედა და წყალქვეშა სამიზნეებთან; სამოქალაქო გემების გაცილება ზღვაში და ა.შ.

უკრაინას მაღალგანვითარებული გემთსაშენი პოტენციალი აქვს, სადაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს კორვეტის კლასის ხომალდებს აგებდნენ.

კიევის გემთსაშენი ქარხანა ,,ლენინსკაია კუზნიცა“ გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან აშენებდა 1060 ტონა წყალწყვის 1124 და 1124M პროექტების კორვეტებს და 1971-91 წლებში საბჭოთა ფლოტს 16 ხომალდი გადასცა.

უკრაინელმა სპეციალისტებმა ბოლო წლებში კორვეტის კლასის ხომალდის რამდენიმე პროექტი შეიმუშავეს: ,,პახარ-C“, ,,მირაჟი“, ,,მისტრალ-1500T“, ,,ჰაიდუკ-21“ და სხვ.

აბუ-დაბიში საერთაშორისო გამოფენა IDEX-95-ზე უკრაინამ პირველად წარადგინა კიევის ცენტრალურ საკონსტრუქტორო ბიურო ,,შხუნაში“ შექმნილი მრავალმხრივი დანიშნულების კორვეტის კლასის ხომალდის SHUR-66-ის პროექტი.

სპეციალისტებმა 800 ტონა წყალწყვის ხომალდს მოდულის პრინციპის შეიარაღება მოარგეს. ამოცანებიდან გამომდინარე, ხომალდს შეეძლო წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა, შემტევი ფუნქციების შესრულება, ნაღმსაწინააღმდეგო ოპერაციებში მონაწილეობა და სხვა.

ხომალდის აღჭურვაში მთავარი ადგილი უკრაინაში დამზადებულმა აგრეგატებმა, დანადგარებმა და ხელსაწყოებმა დაიკავა, თუმცა პროექტში რუსეთსა და NATO-ს ქვეყნებში წარმოებული შეიარაღებაც არის გათვალისწინებული.

კორვეტის 66 მეტრი სიგრძის კორპუსში მოიძებნა ადგილი კონტეინერისათვის რაკეტების ვერტიკალური სტარტით, რომელიც შემკვეთის მოთხოვნით შეიძლება ხომალდსაწინააღმდეგო ,,ჰარპუნის“ ტიპის საწინააღმდეგო ტიპის რაკეტებით დაკომპლექტდეს.

საჰაერო თავდაცვას მცირე რადიუსის ორი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის 16 რაკეტა უზრუნველყოფს. საზენიტო შეიარაღების ერთ-ერთი ვარიანტად ისრაელის სისტემა ,,ბარაქი“ განიხილება.

ხილულ საჰაერო, წყალზედა და სანაპირო სამიზნეებთან საბრძოლველად კორვეტს ცხვირზე ერთი 76 მმ-იანი ქვემეხი აქვს. ამავე დროს შესაძლებელია რუსული წარმოების ქვემეხის იმავე კა-

ლიბრის „ოტო-მელარათი“ ან 100 მმ-იანი „კომპაქტით“ ჩანაცვლება.

კიჩოს მხრიდან თავდაცვას ორი 30 მმ-იანი რუსული ავტომატი ან ამდენივე 20 მმ-იანი „ვულკან-ფალანქსი“ უზრუნველყოფს.

ხომალდის საპროექტო მაქსიმალური სიჩქარე 40 კვანძზე, ხოლო ეკონომიური კი 15 კვანძზეა გათვლილი. ცურვის სიშორე 2 ათასი მილით და ავტონომიურობა 7 დღით შემოიზღუდა.

ბოლო დრომდე უკრაინა თავისი სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის ახალი პროექტის ხომალდების აგებას ვერ ახერხებდა. საბჭოთა პროექტებით აგებული ხომალდები კი თანამედროვე მოთხოვნებს აღარ პასუხობენ და აუცილებელ მოდერნიზაციას ან შეცვლას მოითხოვენ. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანას ძლიერი გემთსაშენი ინდუსტრია აქვს, საჭირო გახდა საკუთარი პროექტის შექმნა და ამით გემთმშენებელი საწარმოების კრიზისიდან ნაწილობრივ გამოყვანა მოხერხდება.

არჩევანი კორვეტის კლასის ხომალდებზე შემთხვევით არ შეჩერებულა. ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების, საჰაერო თავდაცვისა თუ წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის კომპაქტური, თანამედროვე ნიმუშებით აღჭურვილი კორვეტი იმ უნივერსალური ხომალდის ფუნქციებს შეიძენს, რომელსაც ამოცანათა ფართო სპექტრის გადაჭრის უნარი შესწევს.

კორვეტი, როგორც სამხედრო ხომალდების ერთ-ერთი კლასი, XVII საუკუნეში გამოჩნდა. წყალწყვა 460 ტონიდან იწყებოდა და შეიძლება უფრო მეტიც ყოფილიყო. სამანძიანი, სწორი აფრებითა და ზედა გემბანზე 18-30 ქვემეხით აღჭურვილმა კორვეტმა წამყვანი საზღვაო ქვეყნების ფლოტებში ადგილი თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნა.

მეორედ კორვეტის დაბადება მეორე მსოფლიო ომის დროს მოხდა და მთავარი დანიშნულება წყალქვეშა ნავებთან ბრძოლა იყო. აშშ-ის, ბრიტანეთის, კანადისა და სხვა ქვეყნების ასეულობით კორვეტი გერმანულ წყალქვეშა ნავებს ატლანტის ოკეანეში წარმატებით ებრძოდა.

ომისდროინდელი კორვეტების წყალწყვა 500-დან 1600 ტონის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო შეიარაღებაში 76 მმ-იანი ან 102 მმ-იანი ქვემეხი, 20-40 მმ-იანი საზენიტო ავტომატები და ბომბჩამგდებები შედიოდა.

თანამედროვე კორვეტებით დაინტერესება პირველ რიგში პატარა საზღვაო სახელმწიფოებში შეიმჩნევა და იგი წამყვან ძალას ქმნის ისეთი ქვეყნების ფლოტებში, როგორიც არის შვეცია, ისრაელი, მალაიზია და სხვა.

ამერიკული კომპანია „ლოქჰიდ მარტინი“ ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის LCS-ის პროექტის საფუძველზე პერსპექტიული კორვეტის ვარიანტს ამუშავებს.

ხომალდის შეიარაღებაში გამოყენებულია ამერიკული სისტემა „იჯისის“ ვერტიკალური სტარტის ბლოკი Mk-41-ის გამშვები დანადგარით. გათვალისწინებულია ისრაელში წარმოებული 25 მმ-იანი დისტანციურად მართვადი ქვემეხი „ტაიფუნი“ და საზენიტო-სარაკეტო სისტემა „ბარაქი“.

ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალების მოთხოვნის შესაბამისად, ხომალდმა ყველა სახის წყალზედა, წყალქვეშა, საჰაერო თუ სახმელეთო სამიზნის დაზიანება უნდა შეძლოს.

ნაკლებშემჩნევადობის ელემენტებით აღჭურვილი კორვეტი განკუთვნილია საზღვაო ზონაში სანაპიროსთან მოქმედებისათვის. საბაზო კონსტრუქციის საფუძველზე გათვალისწინებულია ხომალდის სხვადასხვა ვარიანტის შექმნა საჰაერო თავდაცვის, წყალქვეშა ნავებსა და წყალზედა სამიზნეებთან ბრძოლის, დესანტის მხარდასაჭერი შეიარაღების გაძლიერებით.

შავიზღვისპირა ქვეყნებიდან უკრაინის გარდა თანამედროვე კორვეტებით ფლოტის შევსებას თურქეთიც გეგმავს. გერმანული MEKO A100 საფუძველზე თურქებმა საკუთარი პროექტი „მილჯემი“ შეიმუშავეს და მეწინავე ხომალდის „ჰეიბელიადას“ ფლოტისათვის გადაცემას 2010 წლისათვის აპირებენ.

12 ხომალდზე გათვლილი პროექტის დასრულება და ხომალდების მწყობრში შეყვანის პროცესი 2012 წელს უნდა დამთავრდეს.

კიდევ ერთი შავიზღვისპირა ქვეყანა, რომელიც კორვეტებით არის დაინტერესებული, ბულგარეთია. ფრანგულ ფირმა DCN-თან მოლაპარაკებები პროექტ „გოვინდ 200-ის“ ოთხი კორვეტის შეკვეთის თაობაზე მიმდინარეობდა. გარიგება 700 მილიონი დოლარი ჯდება, მაგრამ ამ ეტაპზე ბულგარეთი ბელგიის ფლოტის რეზერვში მყოფი რამდენიმე ხომალდის ყიდვას აპირებს, თუმცა ეს კიდევ საბოლოო უარის თქმას არ ნიშნავს.

ფრანგული პროექტის კორვეტები სანაპირო და საზღვაო ზონებში მოქმედებაზეა გათვლილი და მასში FREMM-ის პროექტის ფრეგატების მსგავსი უახლესი ტექნოლოგიებია გამოყენებული. მთავარი დანიშნულება წყალზედა და სახმელეთო სამიზნეებთან ბრძოლაა, რომელთანაც ავიაციისა და წყალქვეშა ნავების შემოტევებისაგან თავდაცვის სისტემებია შერწყმული.

ფირმა DCN დაინტერესებულ ქვეყნებს პროექტ „გოვინდ 200“-ის ოთხი მოდიფიკაციის 1200-დან 2000 ტონამდე წყალწყვის კორვეტს სთავაზობს.

ჩვენს მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე ამ ტენდენციათა გათვალისწინებით გაუგებარია, როცა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების თუნდაც შორეულ პერსპექტივაში ახალი ხომალდებით აღჭურვისათვის არაფერი იგეგმება. ბევრის მანიშნებელია, როცა საერთაშორისო სწავლებებზე საზღვაო ქვეყანას ოფიცრები წარმოადგენენ და არა საბრძოლო ხომალდები.

*თემურ ჩაჩანიძე*



შვედური „ვისბუ“ ტეხილი ფორმებითა და ნაკლებად შემჩნევადობის ელემენტებით თანამედროვე კორვეტთა კლასის ტიპური წარმომადგენელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცივი ომის გამოძახილი: მზვერავი ხომალდები

ძველ დროში, როცა სპეციალური მზვერავი ხომალდები ჯერ კიდევ არ არსებობდა, სავაჭრო გემები და საზღვაო ვაჭრობა ინფორმაციის მოპოვების ყველაზე მარტივ საშუალებად ითვლებოდა. სხვადასხვა ქვეყნის პორტებში გაგონილ-დანახულ ამბავს შემდგომში არაერთი საზღვაო ლაშქრობა თუ ექსპედიცია მოჰყოლია.

სპეციალური სადაზვერვო ხომალდი მოგვიანებით გამოჩნდა და ამ დანიშნულების ხომალდებს კარგ ზღვაოსნურ თვისებებთან ერთად სისწრაფე და შესაბამისი შეიარაღება ჰქონდა.

XVII-XIX საუკუნეებში ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ფლოტში მზვერავი ხომალდის მოვალეობას ბრიგანტინები ასრულებდა.

სპეციალური აპარატურით აღჭურვილი სადაზვერვო ხომალდი, ამ ტერმინის პირდაპირი გაგებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოჩნდა.

დასავლეთის ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის დაწყებული ცივი ომი საზღვაო შეიარაღების დიდ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ბირთვული იარაღით აღჭურვილი წყალზედა და წყალქვეშა ხომალდები მუდმივ მეთვალყურეობას მოითხოვდა. საჭირო ინფორმაციის მოპოვების მთავარ და თანაც ხელმისაწვდომ წყაროდ მზვერავები მოწინააღმდეგის სახომალდო რადიოკავშირის, რადიოლოკაციური თუ ჰიდროაკუსტიკური სისტემების რადიო და რადიოტექნიკურ გამოსხივებას იყენებდნენ.

პრაქტიკულმა ამერიკელებმა სადაზვერვო მისიები მეორე მსოფლიო ომის დროს აგებულ სატვირთო გემებს მოარგეს. გარეგნულად სადაზვერვო გემები ჩვეულებრივი სავაჭრო გემებისაგან ბევრად არ განსხვავდებოდა. ეკიპაჟებში სამოქალაქო მეზღვაურები მსახურობდნენ, მაგრამ სპეციალურ აპარატურას ეროვნული უშიშროების სამმართველოს თანამშრომლები ემსახურებოდნენ.

თავიდან ხომალდები საბჭოთა კავშირსა და ჩინეთზე ინფორმაციის მოპოვებით იყვნენ დაკავებულნი, მაგრამ თანდათან ინტერესთა წრე გაიზარდა და დაკვირვების ქვეშ სხვა ქვეყნებიც მოექცა.

ინფორმაციის მოცულობის ზრდამ ხომალდების დამატება მოითხოვა და რამდენიმე ყოფილ სამხედრო სატრანსპორტო გემს შესაბამისი გადაკეთება ჩაუტარდა. ეკიპაჟები სამხედრო მეზღვაურებისაგან დაკომპლექტდა, ხოლო რადიო და რადიოტექნიკურ პოსტებზე ფლოტისა და საზღვაო ქვეითთა სარდლობის რადიოტექნიკური დაზვერვის სპეციალისტები მსახურობდნენ.



საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალების მზვერავი „დიუპუი დე ლომი“

საბჭოთა ფლოტის სადაზვერვო საქმიანობის დასაწყისად 60-იანი წლების პირველი ნახევარი ითვლება და თავიდანვე დაკვირვების ქვეშ მოექცა შესაძლო მოწინააღმდეგის ყველა ის რაიონი, სადაც კი მისი მცურავი საშუალებები შეიძლება გამოჩენილიყო.

იმ დროში მიღებული განმარტებით შესაძლო მოწინააღმდეგედ ამერიკის შეერთებული შტატები და NATO-ს წევრი სხვა ქვეყნები განიხილებოდა.

საბჭოთა სადაზვერვო ხომალდების აღნიშვნაში გამოყენებულია აბრევიატურა CCB ანუ „სუდნო სვიაზი“ (კავშირის გემი), რომელიც პატარა, საშუალო და დიდი სადაზვერვო ხომალდების კლასებს აერთიანებდა. სულ საბჭოთა ფლოტმა 1965 წლიდან დაახლოებით 71 სადაზვერვო ხომალდი მიიღო.

პირველი საბჭოთა სადაზვერვო ხომალდი ვეშაპზე მონადირე გემის გადაკეთებით შეიქმნა და 1200 ტონა წყალწყვის „ვალი“ მწყობრში 1965 წელს ჩადგა. ახასიათებდა კარგი საზღვაოსნო თვისებები, ცურვის მაღალი სიჩქარე და დიდ მანძილზე ცურვის უნარი. ხომალდის აღჭურვილობაში რადიოტექნიკური და ჰიდროაკუსტიკური დაზვერვის საშუალებები შევიდა.

ხომალდების რაოდენობის მოკლე დროში გასაზრდელად მშენებლობის პროცესში მყოფი რამდენიმე ჰიდროგრაფიული გემი სადაზვერვო ხომალდებად გადაკეთდა.

პირველი სპეციალური სადაზვერვო დანიშნულების ხომალდი თევზმჭერი ტრაულერის პროექტის საფუძველზე აიგო და საბჭოთა ფლოტს 1970-72 წლებში „ზაბაიკალიეს“ სერიის 6 ხომალდი შეემატა.

აღჭურვილობაში შემავალი რადიო, რადიოტექნიკური და ჰიდროაკუსტიკური დაზვერვის მრავალფეროვან საშუალებათა დანიშნულება მოწინააღმდეგის წყალზედა და წყალქვეშა მცურავი საშუალებების, საფრენი აპარატებისა თუ სტაციონარული სადგურების რადიო და რადიოტექნიკურ გამოსხივებათა რადიოელექტრონული დაზვერვა იყო.

საწვავის მარაგი 13 ათას მილზე ცურვას უზრუნველყოფდა, ხოლო პროვიანტით ავტონომიურობა 100 დღეზე იყო გათვლილი. ავიაციისაგან თავდასაცავად ხომალდები საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „სტრელა-2“-ით აღიჭურვა.

საბჭოთა სადაზვერვო ხომალდების მუდმივი თვალთვალის ობიექტი აღმოჩნდა ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავების ბაზები: ჰოლა-ლოხი (შოტლანდია), ჩარლსტონი (სამხრეთ კაროლინა) და კინგ ბეი (ჯორჯია), აგრეთვე კანავერალის კონცხი (ფლორიდა) და მისი მიმდებარე რაიონი. დაცურავდნენ და აკონტროლებდნენ გიბრალტარის, სიცილიისა და ორმუზის სრუტეებს, ამერიკისა და NATO-ს წევრი ქვეყნების ყველა საზღვაო სწავლებას.

ამერიკისათვის ძალზე დიდ საშიშროებას ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავები ქმნიდნენ და ამ საფრთხის პრევენციისათვის ამერიკელმა სამხედროებმა გასული საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში სუბმარინების შორეულ მანძილებზე ჰიდროაკუსტიკური დაკვირვების სისტემა SOSUS აამოქმედეს.

სისტემის მთავარი ელემენტები სანაპირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურები და ოკეანის ფსკერზე განლაგებული აკუსტიკური ანტენები და სტაციონარული ჰიდროფონები იყო, რომლებიც წყალქვეშა ნავების პირველადი აღმოჩენის, ადგილმდებარეობის რაიონის განსაზღვრისა და ცურვის ელემენტების დადგენის საშუალებას იძლეოდა.

SOSUS-ის ბარიერები ჯერ ატლანტის ოკეანის ფსკერზე, შემდეგ ამერიკის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ განლაგდა. სისტემა წყალქვეშა ნავების ზუსტი კოორდინატების დადგენის საშუალებას არ იძლეოდა და უფრო წყალქვეშ გადაადგილებას აკონტროლებდა.

საბჭოთა კავშირს ასეთი სისტემების შექმნის საშუალება არ ჰქონდა და ამ ხარვეზის შესავსებად გაჩნდა წყალქვეშა მდგომარეობის გასაშუქებელი სპეციალური სადაზვერვო ხომალდების აგების აუცილებლობა.

ხომალდის შექმნისათვის გამოყენებულ იქნა დიდი თევზმჭერი ტრაულერის პროექტი და სამოქმედო არეალის გასაზრდელად აღჭურვილობაში ორი შეულმდგრენი შევიდა. გაძლიერდა საჰაერო თავდაცვა, რომელსაც საზენიტო სარაკეტო-კომპლექსი „სტრელა-3“ და 30 მმ-იანი საზენიტო ავტომატები წარმოადგენდა.

სერიის მეწინავე ხომალდი „კამჩატკა“ საბჭოთა ფლოტმა 1986 წელს მიიღო. მეორე ხომალდი „პრიდნეპროვე“, რომელიც ნიკოლაევში იგებოდა, 1992 წლის 12 აგვისტოს დასრულდა და თავისუფალი უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში U510 „სლავუტიჩის“ სახელით შევიდა.

საბჭოთა ფლოტისაგან განსხვავებით უკრაინის ფლოტი თავდაცვით ამოცანებს წყვეტს. შესაბამისად, ხომალდს დანიშნულება შეეცვალა და ზღვაზე სახომალდო შენაერთის მართვის ფუნქციები მიიღო.

„სლავუტიჩი“ სხვადასხვა სწავლებისა თუ ლაშქრობის დროს საქართველოს პორტებში არაერთგზის არის შემოსული.

საბჭოთა მზვერავი ხომალდების ფლოტილიაში გამორჩეული ადგილი უკავია იმ პერიოდისათვის დამახასიათებელ საბჭოთა სამხედრო აზროვნების ერთ-ერთ „შედევრს“ – ბირთვულ საწვავზე მომუშავე დიდ სადაზვერვო ხომალდ „ურალს“.

საბჭოთა ფლოტს 36 ათასი ტონა წყალწყვის „ურალი“ 1988 წლის 30 დეკემბერს გადაეცა. ხომალდის ეკიპაჟი 923 კაცს ითვლის და ავტონომიურობა 180 დღეზეა გათვლილი.

ხომალდის დანიშნულება მარშალის კუნძულებში შემავალ ატოლ კვაჯალეინზე მდებარე სარაკეტო პოლიგონის თვალთვალი იყო. პოლიგონზე ამერიკელები ჯერ ბალისტიკურ რაკეტებს და ამჟამად რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტებს ცდიან. „ურალს“ პოლიგონის რაიონში ჩამოვარდნილი ამერიკულ რაკეტებზე ტელემეტრიული მონაცემები უნდა მოეპოვებინა. გარდა ამისა, ხომალდის რადიოთვალთვალის ქვეშ ხვდებოდა წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში ყველა ამერიკული ხომალდის, თვითმფრინავის თუ სამხედრო ბაზის ეთერში გასვლა.

„ურალის“ საინფორმაციო უზრუნველყოფის მთავარი ელემენტების: ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა „ელბრუსის“ და სადაზვერვო კომპლექსი „კორალის“ მწყობრში შეყვანა არ მოხერხდა, ამიტომ ხომალდი დანიშნულებით არასოდეს გამოყენებულა და ახლა ვლადივოსტოკთან ერთ-ერთ ყურეში იჟანგება.

სადაზვერვო საქმიანობა ყოველთვის რისკთან არის დაკავშირებული და ამ მხრივ გამონაკლისი არც ზღვა არის, სადაც ინციდენტთა მთავარი მოქმედი პირნი ყველაზე აქტიური მზვერავები საბჭოთა და ამერიკის ფლოტის სადაზვერვო ხომალდები იყვნენ.

არაბეთ-ისრაელის მესამე ომის დროს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, სინას ნახევარკუნძულის ახლოს, საერთაშორისო წყლებში ამერიკული სადაზვერვო ხომალდი „ლიბერტი“ აღმოჩნდა.

„ლიბერტი“ მეორე მსოფლიო ომის დროს აგებული სტანდარტული „ლიბერტის“ ტიპის 2700 სატრანსპორტო გემიდან ერთ-ერთი იყო, რომელიც 1964 წლის 1-ელი აპრილიდან აშშ-ის ფლოტს ტექნიკური დაზვერვის ხომალდის სახით დაემატა. ოფიციალურად 7725 ტონა წყალწყვის „ლიბერტის“ დანიშნულება კავშირისა და ელექტრორადიაციის სფეროებში სამეცნიერო კვლევები იყო.

ომის დაწყების შესახებ ეკიპაჟის გაფრთხილება და საბრძოლო მოქმედებათა ზონიდან დროული გამოყვანა არ მოხერხდა და 1967 წლის 8 ივნისს ისრაელის ავიაციამ „ლიბერტის“ მოულოდნელად შეუტია. მფრინავებმა მთავარი მოკავშირის ხომალდს რაკეტებითა და ბომბებით შეუტიეს. დაბომბვა სატორპედო კატარღიდან გასროლილმა ტორპედომ დაასრულა, თუმცა ეკიპაჟის უნარიანი მოქმედების წყალობით ხომალდი ჩაძირვას გადაურჩა.

ამერიკელი მეზღვაურები კი SOS-ის გადაცემას ვერ ახერხებდნენ. არხს ისრაელის ავიაცია ახშობდა. თავდასხმა ერთ საათზე მეტხანს გაგრძელდა და 358-კაციანი ეკიპაჟიდან 34-ის დაღუპვითა და 171-ის დაჭრით დასრულდა.

რატომ დაიბომბა „ლიბერტი“? ამ კითხვაზე პასუხი დღემდე არ არის. ხომალდის კუთვნილებას დიდი ამერიკული დროშა მიუთითებდა, რომელსაც ისრაელელთა მფრინავები აუცილებლად შენიშნავდნენ. შემთხვევა, ალბათ, შეცდომას უნდა დაბრალდეს. საზღვაო ომებში სხვა ქვეყნის დროშით ხომალდის შენიღბვის არაერთი შემთხვევაა ცნობილი.

მეორე ინციდენტი ასევე ამერიკულ სადაზვერვო ხომალდ „პუებლოს“ უკავშირდება, რომელიც თავის პირველ საბრძოლო დავალებას ჩრდილო კორეის სანაპიროსთან ასრულებდა.

1968 წლის 23 იანვარს „პუებლო“ ჩრდილოკორეელთა სატორპედო და საპატრულო კატარღებმა ჯერ დაცხრილეს და შემდეგ დააკავეს. ეკიპაჟიდან ერთი მეზღვაური დაიღუპა და 10 დაიჭრა, რაც მთავარია, უახლესი სადაზვერვო აპარატურით აღჭურვილი ამერიკული ხომალდი ტყვეობაში აღმოჩნდა.

ინციდენტს ამერიკელთა ძალზე მწვავე რეაქცია მოჰყვა. ამერიკის მე-7 ფლოტი მზად იყო და ჩრდილო კორეის სანაპიროსთან ხომალდების თავმოყრის ბრძანება გაიცა. ატომური ავიამზიდი „ენტერპრაიზი“ საესკადრო ნაღმოსნების ესკორტით კორეის სანაპიროდან 80 მილის დაშორებით კურსირებდა.

რამდენიმე დღეში კორეის წყლების ახ-

საბჭოთა „ურალი“ ისე ამთავრებს სამსახურს, რომ თავისი დანიშნულებით არც ერთი დავალება არ შეასრულა



ეროვნული ბიბლიოთეკა




ისრაელელი პილოტების სამიზნე ამერიკული „ლიბერტი“

ლოს ამერიკელებმა 32 ხომალდი მოაგროვეს, მათ შორის იყო 4 ავიამზიდი.

„პუებლო“ იმ დროს ჩრდილო კორეის პორტ ვონსანში იდგა და ამერიკელმა სამხედროებმა შეიმუშავეს გეგმა: ავიამზიდ „ენტერპრაიზის“ თვითმფრინავების თანხლებით პორტში საესკადრო ნაღმოსანი საზღვაო ქვეითთა რაზმს შეიყვანდა და მედესანტეები იქიდან ბუქსირით სადაზვერვო ხომალდს გამოიყვანდნენ.

არსებობდა „პუებლოს“ დაბომბვის გეგმაც, მაგრამ სამხედროებს ერთი გარემოება აფრთხობდათ, – დაბომბვას შეიძლებოდა ეკიპაჟის დაღუპვა მოჰყოლოდა.

ზღვაში გასვლის წინ „პუებლოს“ მეთაურმა, III რანგის კაპიტანმა ლოიდ ბიუჩერმა ბრძანება მიიღო, რომ არანაირ ვითარებაში ხომალდის დატყვევება არ დაეშვა. დაკავების რეალური საშიშროების გაჩენისთანავე ეკიპაჟი საიდუმლო დოკუმენტებისა და აპარატურის განადგურებას შეუდგა, მაგრამ მთლიანად მისი მოსპობა ვერ მოასწრო.

26 იანვარს ფხენიანში, პრესკონფერენციაზე, ბიუჩერმა აღიარა, რომ ხომალდის ეკიპაჟი ჯაშუშობას ეწეოდა.

ამერიკული „პუებლოს“ აპარატურის შესწავლაში საბჭოთა სპეციალისტები მონაწილეობდნენ. რადიოტექნიკური დაზვერვის აპარატურის მთელი რიგი ელემენტები შემდგომში საბჭოთა საკვლევმა ინსტიტუტებმა და ლაბორატორიებმა გადაიღეს.

ეკიპაჟის გათავისუფლება 1968 წლის 23 დეკემბერს, თითქმის 11-თვიანი ტყვეობის შემდეგ მოხერხდა. „პუებლო“ კი ჩრდილო კორეამ დაიტოვა, მუზეუმად გადააკეთა და ფხენიანში მდინარე ტედონგანზე ამერიკის იმპერიალიზმზე გამარჯვების სიმბოლოდ დგას.

საბჭოთა სადაზვერვო ხომალდების ინციდენტები შედარებით ნაკლები ხმაურით ალინიშნა. საბჭოთა ჰიდროგრაფიული გემი „ბარომეტრი“ 1965 წლის 7 აპრილს, ამერიკული ხომალდების თვალთვალის დროს, პუერტო-რიკოს სანაპიროდან 2,8 მილზე აღმოჩნდა.

მეორე საბჭოთა ჰიდროგრაფიულმა გემმა „თეოდოლიტმა“ 1966 წლის 6 დეკემბერს ამერიკის ტერიტორიული წყლები სამჯერ დაარღვია, მაგრამ ამ შემთხვევას გართულებები არ მოჰყოლია.

ისტორიაში თავისი ადგილი დაიკავა არგენტინელთა მოკრძალებულმა სადაზვერვო ხომალდმა „ნარვალმაც“, რომელიც მობილიზებულ თევზმჭერ ტრაულერს წარმოადგენდა.

1982 წლის ფოლკლენდის ომის დროს კუნძულების გარშემო ბრიტანელების დაწესებული 200-მილიანი ზონის შიგნით, მოწინააღმდეგის ავიაციის ბატონობის პირობებში, თევზმჭერად შენიღბული „ნარვალი“ ბრიტანულ ესკადრას უთვალთვალებდა და საჭირო ინფორმაციას მოიპოვებდა.

ბრიტანელებს არ გამოჰპარვიათ ხომალდის ნამდვილი საქმიანობა და ჯერ ჰაერიდან დაბომბეს, ხოლო ეკიპაჟის დატყვევების შემდეგ, 1982 წლის 10 მაისს, „ნარვალი“ აფეთქეს და ჩაძირეს.

ორი მარცხიანი ოპერაციის შემდეგ ამერიკელმა სამხედროებმა სადაზვერვო ხომალდების შემდგომი გამოყენება მიზანშეუწონლად ჩათვალეს და ეს ფუნქციები მთლიანად წყალქვეშა ნავებს, საბრძოლო წყალზედა ხომალდებს, მზვერავ თანამგზავრებსა და თვითმფრინავებს გადაეცა.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა ატომური წყალქვეშა ნავებისგან საფრთხე კვლავინდებურად არსებობდა. ოკეანის იმ რაიონების გაკონტროლება, რომელსაც SOSUS-ის სისტემა არ მოიცავდა, სპეციალურ გემებს საჭიროებდა.

ოკეანეების დაშორებული რაიონების გაკონტროლებისათვის, 1982 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, დაიწყო სპეციალური ოკეანოგრაფიული მკვლევარი გემების სერიის მშენებლობა. 1984-90 წლებში ამერიკის ფლოტს „სტალვორტის“ სერიის 2285 ტონა წყალწყვის 18 ხომალდი გადაეცა, რითაც ჰიდროაკუსტიკური დაკვირვების გლობალური სისტემა მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსული წყალქვეშა ნავების აქტიურობამ შესამჩნევად დაიკლო და ბევრი ამერიკული მზვერავი ხომალდი ახლა სამეცნიერო კვლევებით არის დაკავებული ან ჯართად დაჭრის მოლოდინშია.

საინტერესოდ დაასრულებს 2008 წლისათვის თავის ბიოგრაფიას ერთი ამერიკული მზვერავი ხომალდი „ჯენერალ ჰოუტ ს. ვანდენბერგი“. მძლავრი რადიოტექნიკური აპარატურით აღჭურვილი ხომალდი 1963-83 წლებში სპეციალურ დავალებებს ასრულებდა.

ჩამოწერის შემდეგ 17250 ტონა წყალწყვისა და თითქმის 160 მეტრი სიგრძის „ვანდენბერგი“ ფლორიდასთან, კი-უესტის სანაპიროდან 6 მილში, ხელოვნური რიფის შესაქმნელად ჩაიძირება.

ამჟამად ხომალდზე მიმდინარეობს ისეთი მასალებისა თუ საგნების დემონტაჟი, რომელმაც ოკეანის ბინადარნი შეიძლება დააზიანოს. მხოლოდ ასეთი „რეკონსტრუქციის“ შემდეგ გადაწყდება ხომალდის ბუნების ინტერესებისათვის ჩაძირვა.

ზოგიერთი ქვეყანა სადაზვერვო დანიშნულების ხომალდებს ისევ აგებს. საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს 2005 წლის 21 დეკემბერს თანამედროვე მზვერავი ხომალდი A 759 „დიუპუი დე ლომი“ გადაეცა. ხომალდი სამხედრო დაზვერვის სამმართველოსათვის სპეციალურად რადიოელექტრონული დაზვერვის საწარმოებლად აიგო და დამხმარე სატრანსპორტო გემიდან მზვერავად გადაკეთებული „ბუგენვილი“ შეცვალა.

„დიუპუი დე ლომის“ მშენებლობა 122 მილიონი ევრო დაჯდა და ავტომატიზაციის მაღალი დონით გამოირჩევა. ეკიპაჟი 30 კაცს და მათ შორის 8 ოფიცერს ითვლის. გარდა ამისა, სპეციალურ აპარატურას 80 სამოქალაქო და სამხედრო პირი მოემსახურება.

ხომალდის რესურსები 350 დღეზეა გათვლილი და სამსახურისათვის ორი სრულფასოვანი ეკიპაჟის გამოყენება განიხილება.

ერთ დროს მრავალრიცხოვანი შავი ზღვის ფლოტის სადაზვერვო ხომალდებიდან ამჟამად 519-ე სადაზვერვო ხომალდების ცალკეულ დივიზიონს 4 ხომალდი შემორჩა.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ რუსული სადაზვერვო ხომალდი „ლიმანი“ 1999 წლის აპრილში იუგოსლავიის სანაპიროებთან გამოჩნდა, სადაც იუგოსლავიის წინააღმდეგ NATO-ს ოპერაციებს უთვალთვალებდა.

დაზვერვისა და კონტროლის თანამედროვე საშუალებებმა მზვერავ ხომალდებს სამოქმედო არეალი ბევრად შეუმცირა და ყოფილ „მზვერავთა“ დიდი ნაწილი ახლა გემსადგომებთან იჟანგება.

თემურ ჩაჩანიძე

# თავდაცვის პერსონალური იარაღი – PDW გერმანული MP7

## ახალი კომპაქტური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი ახალი ტყვიებით ჯავშანჟილეტებს 200 მეტრიდან ხვრეტს





MP7-ზე დაყენებული Picatini-ს ტიპის სამაგრზე კოლიმეტრული და სნაიპერული სამიზნეების ან ღამის ხედვის მოწყობილობის განთავსება შეიძლება.

გასული საუკუნის ბოლოსა და ახ-ლის დასაწყისში შეიარაღების კლას-იფიკაციაში ავტომატური შაშხანების, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებისა თუ პის-ტოლეტების გვერდით ადგილი ცეცხლ-სასროლი იარაღის ახალმა კლასმა – თავდაცვის პერსონალურმა იარაღმა – PDW-ემ დაიკავა.

ამ კლასის იარაღი განკუთვნილი იყო იმ სამხედრო მოსამსახურეებისთვის, რომ-ლებსაც შტატით არ ეკუთვნოდათ ავტომა-ტური შაშხანები (მაგალითად, საარტილე-რიო გათვლები, ჯავშანტექნიკის ეკიპაჟი და ა.შ.), ხოლო არსებული პისტოლეტები ველარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხ-ოვნებს, MP5 ტიპის პისტოლეტ-ტყვიამ-ფრქვევები კი მაინც მოუხერხებელი იყო ტანკის ეკიპაჟებისთვის.

ამასთან, მსოფლიო სხვადასხვა ქვეყ-ნის არმიების პირადი შემადგენლობის უდიდესი ნაწილი შეიმოსა თანამედროვე ჯავშანჟილეტებით, რომელთა გახვრეტა MP5 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევიდან თუ პისტოლეტიდან ნასროლი 9X19 PAR ტიპის ტყვიებს უკვე უჭირდათ ან საერ-თოდ აღარ შეეძლოთ. გასული საუკუნის ბოლოს ცნობილმა გერმანულმა საიარა-







ბის მტკიცებით, ამ ვაზნის ტყვია, რომელიც სულ რაღაც 1,6 გრამს იწონის და მისი საწყისი სიჩქარე 725 მ/წმ-შია, 200 მ-ის სიშორეზე 100%-ით ხვრეტს CRISAT-ის სტანდარტის (1,6 მმ სისქის ტიტანის ფილას, პლუს კევლარის 20 ფენა) ჯავშანჟილეტებს.

კონსტრუქციულად MP7 კომპაქტური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევია, რომელიც დაკეცილი კონდახით, ლეგენდარულ MP5-ზე 15 სმ-ით მოკლეა. 20 ან 40 ვაზნაზე გათვლილი მჭიდი იარაღის სახელურში თავსდება დაახლოებით ისევე, როგორც ცნობილ ებრაულ UZI-ში.

MP7-ის ავტომატიკა აირდგუშის მცირე გადაადგილებაზეა აგებული. საერთოდ, მისი ავტომატიკა და საცემ-სასხლეტი მექანიზმი ძალიან წააგავს ამავე ფირმის შექმნილ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო თანამედროვე ავტომატური შაშხანა G36-ის ანალოგიურ დეტალებს.

ცეცხლის გახსნა MP7-ით შეიძლება როგორც ერთჯერადი გასროლით, ისე ავტომატური ჯერით. სპეციალური შეკვეთის შემთხვევაში, შეიძლება იარაღზე დაყენდეს ფიქსირებული ჯერებით (2 ან 3 გასროლა) სროლის შემზღუდველიც. გადამტენის სახელური კორპუსის უკანა მხარესაა განთავსებული, დაახლოებით ისევე, როგორც ამერიკულ ავტომატურ შაშხანა M16-ზე, რაც მოსახერხებელია ცაციებისთვისაც.

ებრაული UZI-სგან განსხვავებით ავტომატური ჯერებით ზუსტი სროლა MP7-

MP7-ის ტარება შეიძლება სპეციალური ბუდით, როგორც დიდი პისტოლეტისა.



ლო ფირმამ Heckler & Koch-მა შეიმუშავა თავდაცვის პერსონალური იარაღი MP7.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ MP7-ი PDW კლასის მეორე სერიულად წარმოებული იარაღი იყო, რადგან მის შექმნამდე რამდენიმე წლით ადრე გამოჩნდა ბელგიური FN P90. ეს ძალზე ორიგინალური კონსტრუქციის იარაღი, ისევე როგორც იმავე ბელგიური ფირმის პისტოლეტი Five-seveN-ი, გათვლილი იყო ახალი 5,7 მმ კალიბრის ვაზნაზე, რომელსაც წაწვეტებული ტყვია ჰქონდა და დიდი ჯავშანგამტანობით გამოირჩეოდა.

გერმანელმა კონსტრუქტორებმა ბელგიელი კოლეგების მიბაძვით PDW-ს საკუთარი ვარიანტისთვის – MP7-ისთვისაც ახალი 4,6X30 მმ ტიპის ვაზნა შეარჩიეს, რომელიც ასევე გამოირჩევა მაღალი ჯავშანგამტანობით. კონსტრუქტორე-




იდან ბევრად უფრო მოსახერხებელია, რადგან ამ უკანასკნელს ტელესკოპური ტიპის გასაშლელი კონდახის გარდა,აქვს წინა, ხელის გასაშლელი მოსაკიდი. ფორმით და შედარებით მცირე მასით MP7-ი დიდ ავტომატურ პისტოლეტს წააგავს და მისი სროლა ერთი ან ორი ხელითაც შეიძლება როგორც ჩვეულებრივი პისტოლეტისა. თუმცა მიზნის უკეთესად და სწრაფად დასაზიანებლად მაინც სჯობია, ტელესკოპური კონდახის გამოხსნა და ხელის წინა მოსაკიდის ჩამოწევა.

თუმცა დასავლელი სპეციალისტების აზრით, ტელესკოპური კონდახი მოკლეა და მსროლელისთვის არცთუ ისე მოსახერხებელი. მათი ერთი ნაწილი ეჭვობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩვენი დოსიე:** MP7-ი 1,5 კგ-ს იწონის ვაზნებ-ის გარეშე. მჭიდში 20 ან 40 ცალი 4,6X30 მმ კალიბრის ვაზნა ეტევა. იარაღის სიგრძე 54 სმ-ია, დაკეცილი კონდახით იგი 34 სმ-მდე მცირდე-ბა, ლულის სიგრძე 18 სმ-ია. სროლის ტემპი 950 გასროლაა წუთში, რაც უარყოფითი მაჩვენებელია, რადგან MP5-ის სროლის ტემპი მხოლოდ 800 სრო-ლაა წუთში, ხოლო რუსუ-ლი ПП-2000-ისა კი არა უმეტეს 600 გასროლა წუთში. სწრაფსროლის მაღალი მაჩვენებელი ავ-ტომატურ რეჟიმში სროლი-სას მიზნის დაზიანების ალბათობას ამცირებს.



რამდენად ეფექტიანი იქნება 4,6 მმ კალ-იბრის ტყვიის შემაჩერებელი ეფექტი, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ჯავშან-გამტანობით გამოირჩევა.

რუსეთში ტულელმა კონსტრუქ-ტორებმა ბელგიური FN P90-ისა და გერ-მანული MP7-ის საპირისპიროდ შექმნეს პირველი რუსული PDW – კომპაქტური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი ПП-2000. იგი 9 მმ კალიბრის (როგორც „პარაბე-ლუმის“, ისე ახალი რუსული ვაზნის) ვაზნებზეა გათვლილი. რუს სპეციალ-ისტებს მიაჩნიათ, რომ თუკი MP7-ის ნას-როლი 4,6 მმ კალიბრის ტყვია კარგად ხვრეტს ჯავშანჟილეტს, მათი ПП-2000-ის ნასროლი 9 მმ-იანი ტყვია უფრო ეფექტიანი იქნება ჯავშანჟილეტების არმ-ქონეების წინააღმდეგ, რადგან უფრო მეტი შემაჩერებელი ძალა აქვს. ისე, გინდ კონ-




ბელგიური FN P90

სტრუქციულად და გინდ ტექნოლოგიურად გერმანული MP7 მთელი თავით მაღლა დგას რუსულ ПП-2000-ზე.

2001 წლიდან MP7 გერმანული სპე-ცრაზმების შეიარაღებაში მიიღეს, ხოლო 2006 წლიდან იგი ბუნდესვერის საიარა-ღო ოთახებშიც გამოჩნდა. ერთი წლით ადრე ეს კომპაქტური პისტოლეტ-ტყვი-ამფრქვევები დიდი ბრიტანეთის სამხედრო პოლიციამაც შეიძინა. ეს კი იმან განა-პირობა, რომ MP7-ის ეფექტიანი გამოყ-ენება ტანკისტების და არტილერისტებ-ის გარდა სპეცრაზმელებსაც შეუძლიათ, განსაკუთრებით ქალაქის პირობებში.

თანამედროვე კომპაქტური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები არც ჩვენს ტანკისტებ-სა თუ არტილერისტებს აწყენდათ და მით უმეტეს, არც სპეცრაზმელებს, თუმცა ახალი და ჯერ კიდევ ფართოდ გაუვრ-ცელებელი, ვაზნაზე გათვლილი MP7-ების შეძენა ამ ეტაპზე გაუმართლებელი იქნე-ბოდა. ამასთან, სამთავრობო დაცვის სპე-ცრაზმელები სულაც არ უჩივიან თავი-ანთ MP5-ებს, ხოლო ტანკებში ძველი АКС-74У-ებიც იოლად თავსდება.



რუსული ПП-2000

ირაკლი ალადაშვილი




არსენალი

# H&K MP7

ISSN 1987 - 5061

673/2